


წმინდანთა ცხოვრებანი
ყრმათათვის


თარგმნა ნინო გულიაშვილმა



თბილისი

2005

იბეჭდება
ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს
დიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით



რედაქტორები: ნინო კვანტალიანი
ვლადიმერ წამალაშვილი

მხატვრები: მარიამ ჩხაიძე
ნინო მკერვალიძე

თარგმანი შესრულებულია დეკანოზ ვიქტორ ილიენკოს
წიგნიდან Избранные Жития Святых для юношей.
ტექსტები ითარგმნა მცირეოდენი შემოკლებებითა და
შესწორებებით.

შინაარსი


მოწამენი აღრიანე და ნატალია	5
მოწამე დედოფალი ალექსანდრა	13
დიდმოწამე გარბარე	30
მოწამენი ჰისტინი, ელვიდი, ალაპი და დედა მათი სოფია	38
ღირსი გერასიმე	46
დიდმოწამე ევსტათი-კლაკიდა	51
დიდმოწამე ეკატერინე	62
ღირსი იოანე დამასკველი	67
წმინდა იოანე ოქროპირი	75
ღირსი იოანე მმტალაპრე	83
დიდმოწამე მარინე	91
მოწამე ნიკიფორე	97
მოციქულთასწორი ნინო – ქართველთა განმანათლებელი	102
დიდმოწამე და გუბუნალი კანტელეიმონი	114
ღირსი სერაფიმე საროველი	122
ღირსი სერგი რაღონეჟელი	131
მოწამე ტატიანა	141
მოწამენი ქრისტანთე და დარია	147
ღირსი პროკოფი, ქრისტესთვის სულელი	155
მართალი ფილარეტ მოწყალე	165



ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. და რომელმან უვარძეოს მე წინაშე კაცთა, უვარძეო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა (მათე 10,32).

აჲა მცნება, რომელსა აღასრულებდენ ყოველნი წმიდანი განმავლობასა შინა მრთელისა მათისა ცხოვრებისასა; იგინი აღიარებდენ სახელსა უფლისასა წინაშე ყოველთა კაცთა, იგინი ჰქადაგებდენ სჯულსა ქრისტესსა და აუწყებდენ ყოველსა ქვეყანასა დიდებასა ღვთისასა. რომელნიმე მათგანნი, ვითარცა საქმითა, ეგრეთვე უმეტესად ენითა და სიტყვითა აღიარებდენ სახელსა ქრისტესსა. მიმავალნი სოფლითი სოფლად ახარებდენ იგინი ყოველთა ტომთა, მოაქცევდენ ურწმუნოთა, განანათლებდენ დაბნელებულთა, აღაშენებდენ ეკლესიათა და ესრეთ ზირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა დააფუძნეს სჯული ქრისტიანობრივი. ხოლო რომელნიმე მათგანნი, თუმცა არა ჰქადაგებდენ ენითა თვისითა სახარებასა, გარნა წმიდა მათი ცხოვრება, კეთილი და საყვარელი მათი ყოფა-ქცევა ხმამაღლად ჰქადაგებდენ დიდებასა ქრისტესსა, ვინაითგან მრთელი მათი სიცოცხლე იყო გამონატვა და აღსრულება ქრისტეს სახარებისა... მათ ცხოვლად გვიჩვენეს, რა ძალა აქვს სახარებასა ქრისტესსა, ვითარ გამოსცვლის და განაბრწყინებებს იგი ბუნებასა კაცისასა, ოდესცა კაცი სრულად დაემორჩილება მას.

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი



მოწამენი აღრიანე და ნატალია

სსქმეპა 26 აგვისტოს (ძვ. სტ.)

რომის იმპერატორი მაქსიმიანე ქრისტიანების სასტიკი მღევნელი იყო. მან მათი მოძებნისა და წამების ბრძანება გამოსცა. ერთხელ, როცა იმპერატორი აღმოსავლეთში იმყოფებოდა, მისმა მეომრებმა ქალაქნიკომიდიის მახლობლად ერთ-ერთ გამოქვაბულში დამალული ქრისტიანები იპოვნეს. ისინი ოცზე მეტნი იყვნენ. მაქსიმიანემ ბრძანა ქრისტიანები იქამდე ეწამებინათ, ვიდრე ქრისტეს არ უარყოფდნენ. მათ წვაგდნენ, სხეულებს კაუჭებით უფლეთდნენ, ტუჩებზე ქვებს ურტყამდნენ, ენის მოჭრით ემუქრებოდნენ, რადგან ხმამაღლა აღიღებდნენ ქრისტეს და კერპების თაყვანისცემა არ სურდათ.

შემდეგ წამებით გატანჯული ქრისტიანები პრეტორიაში (სასამართლო დაწესებულება) მიიყვანეს, რათა მათი, როგორც სიკვდილმისჯილთა სახელები ჩაეწერათ. აქ ისინი დაინახა აღრიანემ, ახალგაზრდა წარმართმა, რომელიც იმ სასამართლო

დაწესებულების უფროსი იყო, სადაც მსჯავრდებული ქრისტიანები მიიყვანეს.

— მითხარით, — ჰკითხა მათ აღრიანემ, — რა ჯილდოს მოელოთ ღვთისაგან თქვენზე მოყენებული ყველა ტანჯვისათვის? შეუძლებელია, რომ ამოდ იტანჯებოდეთ და კვდებოდეთ!

— ჩვენი ტანჯვა არაფერია იმ ღიდებასთან შედარებით, რომელიც ზეცაში მოგველის, — უპასუხა ერთ-ერთმა წმინდა მოწამემ. სიტყვები არ არსებობს იმის სათქმელად, თუ რა განუზადა უფალმა თავის მოყვარულთ.

აღრიანეს სულს ამ სიტყვებთან ერთად თვით უფალი შეეხო და მან სასამართლოს მწერლებს უბრალოდ და მშვიდად მიმართა: მეც ჩამწერეთ. მე ქრისტიანი ვარ. თუ საჭიროა, ქრისტეს სახელისათვის მეც მათთან ერთად მოკვდები.

მეფეს ამის შესახებ მაშინვე მოახსენეს და მაქსიმიანემ მასთან მიყვანილ აღრიანეს მრისხანედ მიმართა: — შენ რა, გაგიჟდი? ამ უბედურებთან ერთად გინდა დაიღუპო? ეგ სისულელე თავიდან ამოიგდე და ახლავე გონს მოდი.

— არა, მეფეო, — უპასუხა აღრიანემ, — სწორედ ახლა გავხდი კეთილგონიერი, როცა ვირწმუნე ქრისტე. ისლა დამრჩენია უფალს ვევედრო, რომ ჩემი აღრინდელი ცლომილება მომიტევოს. მაქსიმიანემ, რომელმაც აღრიანეს სიმტკიცე დაინახა, მისთვის ბორკილის დადება და ქრისტიანებთან ერთად საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა. აღრიანეს მსახური ყოველივე ამის მოწმე იყო და სასწრაფოდ გაეშურა მის ცოლთან, რათა იმ დღეს პრეტორიაში მომხდარი შეეტყობინებინა. ნატალიას მწუხარება ამ ცნობის მიღების გამო არც ცრემლით, არც ქვითინით არ გამოუხატავს. იგი თვითონ ფარული ქრისტიანი იყო, აღრიანეს ოდესღაც სიყვარულით მისთხოვდა და ოჯახურ ცხოვრებაში

მეტად ბედნიერი იყო. მას უყვარდა ქმარი, მაგრამ უფრო მეტად უყვარდა უფალი. იგი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე აღრიანეს მოქცევის იმედით ცხოვრობდა. გაიგო თუ არა ნატალიამ, რომ მისმა ქმარმა თავი ქრისტიანად გამოაცხადა, სიხარულით შესძახა:

— ამისრულდა ნატკრა! უფალმა ჩემი ლოცვა შეისმინა! ბედნიერი ვარ, რომ აღრიანე ქრისტიანია! ახლა ველარაფერი დაგვაშორებს ვერც ამ ცხოვრებაში და ვერც ცათა სასუფეველში — იქაც ერთად ვიქნებით!

ნატალია შეიმოსა ყველაზე საუკეთესო ტანსაცმლით, რაც ჰქონდა და ფრთაშესხმული გაეშურა საპყრობილისაკენ. იქ აღრიანეს ფეხებთან დაეცა, მის ბორკილებს კოცნიდა, ტირილით სიხარულს გამოხატავდა:

— აღრიანე, ჩემო ბატონო, ჩემო საყვარელო მეუღლე! ნეტარი ხარ, რადგან იწამე ქრისტე. გევედრები, შენს გადაწყვეტილებაზე მტკიცედ იდექი! დაივიწყე, რომ გყავს ცოლი, მეგობრები, გაქვს სიმდიდრე და ახალგაზრდობა. გახსოვდეს, რომ ამიერიდან ქრისტეს ეკუთვნი. თუკი ეს გზა ტანჯვაზე გაივლის, ნუ შეშინდები, მისდევ მას, რადგან ამ გზის ბოლოს სინათლის სამეფოა, სადაც ჩვენ ყველანი შევხვდებით. მრავალი სხვა სიტყვითაც არწმუნებდა ნატალია აღრიანეს, რომ ტანჯვა მამაცურად აეტანა და ამით თავისი სახელი გაემართლებინა (აღრიანე ნიშნავს მამაცს). ის კი უდიდესი სიყვარულით უყურებდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს, უკვირდა მისი სიტყვები და უხაროდა, რომ არა თუ არ ტიროდა და საპყრობილესი მისი ბორკილებით ნახვის გამო არ მოთქვამდა, არამედ ქრისტესადმი ერთგულებაში არწმუნებდა.

საღამოს, როცა საპყრობილის დატოვების დრო მოვიდა, ნატალიამ ყველა ტუსადი ჩამოიარა და თითოეულს ევედრებოდა მისი მეუღლე გაემხნეებინათ, რათა ტანჯვის არ შეშინებოდა. გამოთხოვებისას ადრიანე ცოლს დაჰპირდა, რომ შეატყობინებდა დღეს, როცა დაკითხვაზე გამოიძახებდნენ: – საწამებლად რომ წამიყვანენ, შევეცდები გაცნობო, რათა შენ თვალწინ მოვკვდე, – უთხრა მას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ადრიანეს დაკითხვის დღე დაინიშნა და მან გადაწყვიტა დანაპირები შეესრულებინა. ზედამხედველებმა დიდი საზღაურის ფასად ნება დართეს მას მცირე ხნით სახლი მოენახულებინა. ერთ-ერთმა მსახურმა ბატონი შორიდან დაინახა და სასწრაფოდ გაემართა ქალბატონის გასაფრთხილებლად. ნატალიამ, რომელმაც აღარ იცოდა რა ეფიქრა, გადაწყვიტა ქმარი სახლში იქამდე არ შეეშვა, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ მან თავისუფლება განდგომის ფასად არ იყიდა. ხომ ყოფილა შემთხვევები, როცა ქრისტიანები წამებას ვერ უძლებდნენ, კერპებს მსხვერპლს სწირავდნენ და ღალატის საფასურად თავისუფლებას იღებდნენ.

ნატალია ცრემლითა და მღელვარებით დადგა დაკეტილ კართან და, როცა ადრიანე მოვიდა, განდგომილებაში დაადანაშაულა:

– მომშორდი, მატყუარავ! შენი ხმის გაგონებაც არ მინდა. ქრისტეს მოღალატესთან ლაპარაკი არ მსურს. მე ჩემს თავს უკვე ვუწოდებ მოწამის ცოლი და უცებ რწმენისაგან განდგომილის ცოლი შევიქენი. ხანმოკლე იყო ჩემი სიხარული!

ადრიანეს ეს გამკიცხველი სიტყვები და ახალგაზრდა ქალის სულის სიმტკიცე უკვირდა და ხარობდა.

– ნუ გეშინია, შემომიშვი, – თქვა მან. – ქრისტეს არ განვდგომილვარ, როგორც შენ ფიქრობ, ტანჯვას არ გავექცევივარ. მე შენს წასაყვანად მოვედი, რათა ჩემი აღსასრულის მოწმე გაგხადო. ჩქარა გამიღე კარი, თორემ შენს უნახავად მომიწევს უკან დაბრუნება და შემდეგ იტირებ, რომ უკანასკნელად არ მნახე.

მაშინ ნატალიამ კარი გააღო და ქმარს გულში ჩაეკრა. მოკლედ საუბრის შემდეგ ისინი საპყრობილისაკენ ერთად გაემართნენ. საპყრობილეში შესული ნატალია მოწამეთა ფერხით დაემხო, მათ ჭრილობებს ჰკოცნიდა, მოთმინებისათვის აქებდა და კვლავ სთხოვდა მათ, მისი ქმარი თავიანთი მაგალითითა და ლოცვებით გაემხნევენათ. ქალი ხედავდა რა გასაჭირიც ჰქონდათ მათ და ჭრილობების სახვევებისა და წამლებისათვის სახელში კაცი გაგზავნა. ნატალია ასე უვლიდა წმინდა მოწამეებს მთელი კვირის განმავლობაში იმ დღემდე, ვიდრე აღრიანე სასამართლოზე არ გამოიძახეს.

მაქსიმიანე კვლავ არწმუნებდა აღრიანეს, უარეყო ქრისტიანობა, მაგრამ მის უწინდებურ სიმტკიცეს წააწყდა. მაშინ ბრძანა, ის სასტიკად ეცემათ. ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ, რომელიც აღრიანემ მამაცურად აიტანა, მისი საპყრობილეში წაყვანა ბრძანეს. იქ მას მოწამენი სიყვარულით შეეგებნენ, აღრიანემ კი უთხრა მათ:

– თქვენი ლოცვებით უფალმა შემწეობა მომივლინა და ყველაფრის ატანა შევძელი. ვილოცოთ, რომ მან ბოლომდე არ მიგვატოვოს!

საპყრობილეში აღრიანესთან ერთად ნატალიაც მივიდა. ის მოწამეებს ემსახურებოდა. ამის შესახებ სხვა ქრისტიანმა ქალებმაც შეიტყეს და მის მაგალითს მიჰბაძეს; მათ საკვები მიჰ-

ქონდათ ტუსაღებთან, ჭრილობებს უხვევდნენ, ალერსიანი სიტყვით ანუგეშებდნენ, არწმუნებდნენ, რწმენას არ განდგომოდნენ. როცა მეფეს ამის შესახებ მოახსენეს, მან საპყრობილეში ქალების შეშვება აკრძალა. მაშინ ნატალიამ თმა მოიკვეცა, მამაკაცის სამოსი ჩაიცვა და ქმართან შეაღწია, რათა ტანჯვის დროს მის გვერდით ყოფილიყო. ხშირად, როცა ჭრილობებს უხვევდა, მის ფერხთით ჯდებოდა და ალერსიანი ხმით ეუბნებოდა:

— ჩემო ბატონო! გახსოვდეს ჩვენი ურღვევი სიყვარული და იცოდე, რომ სულთ შენთან ერთად ვიტანჯები. მხოლოდ ერთს — ცათა სასუფეველს გისურვებ. როცა ქრისტე მაცხოვრის წინაშე წარდგები, ილოცე ჩემთვის, რომ მეც თავისთან წამიყვანოს. ყველაზე მეტად მეშინია, მეფემ მეორედ გათხოვება არ მაიძულოს. მინდა შენი სიკვდილის შემდეგაც შენი ერთგული ვიყო.

მეფემ შეიტყო, რომ მოწამეები ძლიერ დასუსტდნენ და ბევრი მათგანი უკვე სიკვდილის პირას იყო. მან საპყრობილეში იარაღის მიტანა და სასიკვდილო განაჩენის იქ აღსრულება ბრძანა. განკარგულება გაიცა თავდაპირველად ყველასთვის ხელ-ფეხი დაემსხვრიათ. ჯალათები საპყრობილეში როცა შევიდნენ, ნატალია მათ შეევედრა დასჯა მისი ქმრით დაეწყოთ. ეშინოდა, სხვისი დასჯის შემხედვარე ადრიაწე სულთ არ დაცემულიყო და არ შეშინებოდა. ნატალიას ქრისტესადმი რა სიყვარული, რა სიმაძაძე დასჭირდა, რომ ჩაქუჩის ქვეშ ქმრის ფეხები საკუთარი ხელით დაეწყო!

დაეშვა ურო და ქრისტეს მოწამის დამსხვრეული კიდურები სხეულს მოშორდა. ამის შემდეგ ადრიაწეს კიდევ შერჩა ძალა ცოლისაკენ ხელი გაეწვდინა. ქალმა ქმარს გრდემლზე ხე-

ლი თვითონ დაუკავა. საშინელმა დარტყმამ მოწამეს ორივე ხელი მოამსხვრია. დანარჩენი ტუსალებიც ასევე დაისაჯნენ. ყველანი უშიშრად აწყობდნენ გრდემლზე ხელებსა და ფეხებს და ამბობდნენ: „უფალო იესო ქრისტე, მიიღე ჩვენი სულები!“

სასჯელის შემდეგ მეფემ განკარგულება გასცა მოწამეთა სხეულები დაეწვათ. უზარმაზარი ქურა გაახურეს და შიგ გასისხლიანებული ნაწილების ჩაყრა დაიწყო. უცებ იელვა, დაიქუხა და თავსხმა წამოვიდა. მეფის მსახურები შიშით მიმოიფანტნენ. წმინდა დედებმა ნატალიას მეთაურობით ჩამქრალი ქურიდან მოწამეთა ნაწილები ამოიღეს და იქვე დამარხვა უნდოდათ, მაგრამ ერთმა კეთილმსახურმა ოჯახმა, რომელიც ბიზანტიაში მიემგზავრებოდა, სთხოვა მათ წმინდა ნაწილები შესანახად მათთვის მიეცათ. ასეც მოიქცნენ.


ავი წინათგრძნობით მოცული წმინდა ნატალია მთელ სახლში მარტო დარჩა. მოხდა ის, რისიც ქალს ყველაზე მეტად ეშინოდა: მეფესთან დაახლოებულმა ერთმა მდიდარმა წარმართმა მისი ხელის ძიება დაიწყო. მეფემ მას ქორწინებაზე თანხმობა განუცხადა და ნატალიაც მოსაჩვენებლად დათანხმდა. იმავე ღამეს, მხურვალე ლოცვის შემდეგ, ცრემლიანს ჩაეძინა. ძილში ერთ-ერთი მოწამე გამოეცხადა და უბრძანა ხომალდით დაუყოვნებლივ ბიზანტიაში გამგზავრებულიყო. იქ მას ქრისტიანები სიყვარულით შეხვდნენ. ყველას აკვირვებდა, რომ ასეთმა ახალგაზრდა და ლამაზმა ქალმა ბედნიერ ცხოვრებაზე უარი თქვა, ქმარი დაარწმუნა, ქრისტესთვის ვნებულიყო და ახლა აღარაფერზე ფიქრობდა გარდა იმისა, რომ მისი წმინდა ნაწილების სიახლოვეს ყოფილიყო.

ბიზანტიაში პირველსავე ღამეს ნატალიას წმინდა ადრიანე გამოეცხადა და უთხრა: — კარგია, რომ აქ ჩამოხვედი, შენ მოხ-

ვედი განსვენებისათვის, რომელიც უფალმა განგიმზადა. ეს იქნება ჯილდო შენი ღვაწლისათვის.

გამოლვიძებულმა ნატალიამ ნანახის შესახებ ყველას მოუთხრო და სთხოვა მისთვის ელოცათ. შემდეგ კვლავ დაიძინა და ასე, მშვიდად მიიცვალა. თუმცა მას ხორციელი ტანჯვა არ აუტანია, მაგრამ ქმრისა და სხვა მოწამეთა გამო სულით იტანჯებოდა, მათთვის საპყრობილეში მძიმე შრომას ეწეოდა, ყოველგვარ გასაჭირს მათთან ერთად ნებაყოფლობით ითმენდა, უმწიკვლო ცხოვრებისათვის სამშობლოდან წავიდა. ამიტომ ისიც მოწამედ ითვლება. ახლა ის გვირგვინითაა შემკული ქრისტე მაცხოვრის მიერ, რომლისთვისაც მან, რაც ებადა არაფერი დაიშურა.





მოწამე დედოფალი ალექსანდრა

სს. 23 აპრილს

თავი პირველი

რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს მეფობის ბოლო წლები იდგა. მისი თანდასწრებით „ღმერთებისადმი“ საზეიმო მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა. საკერპოში ბინდი იყო, შანდლების ალი ირხეოდა და მარმარილოს კერპების მკვდარ, უძრავ სახეებზე სისხლისფრად ირეკლებოდა. იდგნენ კერპები ცივად და გულგრილად უყურებდნენ ყველაფერს, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა.

რალაც უჩვეულო ხდებოდა! სულ ახლახან ტადარში ყვავილებითა და ფერადი ბაფთებით მორთული სამსხვერპლო ცხოველი მოიყვანეს. წარმართული სიმღერებით ის ჩვეული რიტუალით დაკლეს, მაგრამ მისი შიგნეულის დათვალიერებისას ქურუმები საჭირო საიდუმლო ნიშნებს ვერ პოულობდნენ, რითაც „ღმერთების“ ნება უნდა გაეგოთ. მათთვის ეს მოვლენა გაუგებარი იყო: მკითხაობა არ ხერხდებოდა, „ღმერთები“ არ წინასწარმეტყველებდნენ.

ისინი მოლოდინში დადუმებული ბრბოს წინაშე აღელვებულნი იდგნენ. მათ თავებზე რაღაც ბოროტი, ავისმაუწყებელი ღრუბელი შეიკრა. რის გამო მრისხანებენ „ღიადი ღმერთები“? უმაღლესი ქურუმ ტატისს თავზარი დაეცა, მაგრამ მაინც ბრძანა მსხვერპლის შეწირვა. გუნდრუკი დააფრქვიეს, მსხვერპლი შეწირეს, მაგრამ „ღმერთებმა“ თავიანთი ნება ამის შემდეგაც არ გაამჟღავნეს.

– ღმერთები მსხვერპლზე უარს ამბობენ! – დაიყვირა შეძრწუნებულმა ტატისმა, – ეს იმიტომ, რომ აქ არიან ადამიანები, რომლებიც მათთვის საძულველი ნიშნების გამოჩენას ხელს უშლიან. ყველამ იცოდა, რომელ ადამიანებზე ლაპარაკობდა ქურუმი და რა ნიშანს გულისხმობდა. ვიღაცამ შენიშნა, რომ ქრისტიანებმა, რომლებიც იმპერატორის ამაღლაში მრავლად იყვნენ, მსხვერპლშეწირვის ღროს ჯვარი გამოისახეს იმის ნიშნად, რომ მსხვერპლის შეწირვაში არ მონაწილეობდნენ. იქ კი, სადაც ქრისტიანები იყვნენ, არა მხოლოდ ქურუმები, თვით მათი „ღმერთებიც“ უძლურნი ხდებოდნენ!

ღრუბელივით მოლუშული იმპერატორი საკურთხეველიდან გამოვიდა. ხარობდა მხოლოდ გალერი, დიოკლეტიანეს თანამართველი და ქრისტიანების დაუძინებელი მტერი. ის ღიდი ხანი იყო, რაც იმპერატორს ქრისტიანობის აღმსარებელთა დევნას ურჩევდა, მაგრამ დიოკლეტიანე აყოვნებდა, თავს იკავებდა იმათი სისხლის დაღვრისაგან, რომლებიც ყოველთვის სახელმწიფოს ერთგული მსახურნი იყვნენ. წარუმატებელი მსხვერპლშეწირვა ქრისტიანთა ახალი დევნის ერთ-ერთი მაუწყებელი იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ აპოლონის ტაძრის ქურუმმა აზრი გამოთქვა ქრისტიანებზე, როგორც სახელმწიფოს მტრებზე და ამან შავი ღრუბელი კიდევ უფრო მოაახლოვა. დიოკლეტიანე

თანდათან გაღერის გავლენის ქვეშ ექცეოდა. ცოტა ხნით ადრე მან იმპერატორს გამოაცემინა განკარგულება, რომ მსხვერპლ-წირვაში მონაწილეობა ყველა მეომარს მიეღო. ჯარში მომსახურე ქრისტიანებმა ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვეს. ამის გამო ზოგი თანამდებობიდან დაითხოვეს, ზოგი კი სიკვდილით დასაჯეს.

ეს იმ საშინელებათა მაუწყებელი იყო, რაც ქრისტიანულ ეკლესიას უნდა გადაეტანა და ამისათვის ქრისტიანები მამაცურად ემზადებოდნენ. ეს ხომ ეკლესიის პირველი დევნა არ იყო მას შემდეგ, რაც მსოფლიოში ქრისტე მაცხოვარზე ქადაგება გაისმა.

პირველად იმპერატორ ტიბერიუსის მეფობის დროს, იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმიდის მოფენის შემდეგ, ძველ წარმართულ სამყაროში გაისმა ადამიანთა ცხოვნების, აღდგომისა და საუკუნო ცხოვრების შესახებ კეთილი უწყება. თითქმის სამი საუკუნის მანძილზე რომის სახელმწიფო და წარმართული საზოგადოება ახალი რწმენის წინააღმდეგ საშინელ ბრძოლას აწარმოებდნენ.

ქრისტეს რწმენის გასანადგურებლად წარმართობა ყოველ ღონეს ხმარობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ძველ მსოფლიოში დღითიდღე უფრო ხმამაღლა ისმოდა ხარება ქრისტეს შესახებ. წარმართობა გრძნობდა, რომ მას ადგილი თავმდაბალი და უწყინარი ქრისტიანებისთვის უნდა დაეთმო, მაგრამ ბრძოლის გარეშე ამის გაკეთება არ სურდა.

ქრისტიანებისადმი წარმართების სიძულვილის ყველაზე მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ქრისტიანული სწავლება ადამიანისაგან ცხოვრების მთლიანად შეცვლას მოითხოვდა. წარმართი მიეჩნეოდა ფუფუნებასა და ნადიმში ცხოვრებას, რაც უხარმა-

ზარი ფული ღირდა. მას ჰყავდა უამრავი მონა, რომლებიც არა მხოლოდ მუშაობდნენ და მას ემსახურებოდნენ, არამედ ბატონის თავშესაქცევად მოვალენი იყვნენ თავიანთი სისხლი ცირკის არენაზე დაეღვარათ.

ქრისტეს სწავლების მიმღები მაშინვე უნდა გადასხვაფერებულიყო. მდიდარი თავის განძს საკუთარი ნებით აძლევდა ღარიბებს. სიმდიდრესა და სიამოვნებას მიჩვეული ადამიანი თითქმის მათხოვარი და მმარხველი ხდებოდა. ძველი მეგობრები მისთვის შორეულნი და უცხონი ხდებოდნენ. ერთი სიტყვით, გაქრისტიანებული ადამიანი წარმართული სამყაროდან სამუდამოდ მიდიოდა. წარმართებს, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანობისათვის ამის პატიება არ შეეძლოთ.

წარმართობა შეუპოვრად ებრძოდა ქრისტიანობას. ორ-ნახევარი ასწლეულის განმავლობაში ქრისტეს ეკლესია სისხლიან დევნას განიცდიდა, მაგრამ მოწამეთა სისხლს სულ ახალი და ახალი ყლორტები გამოჰქონდა. დიოკლეთიანეს გამეფების დროისათვის ქრისტიანები საზოგადოების ყველა ფენაში გვხვდებოდნენ. ისინი საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში იდგნენ. წარმართობამ ქრისტიანობის გასასრესად უკანასკნელი ძალები დაძაბა.

ბოროტი გალერი იმპერატორს ქრისტიანობის წინააღმდეგ განაწყობდა და დიოკლეთიანე თანდათან ემორჩილებოდა. ქრისტიანებმა ჭეჭა-ქუხილის მოახლოება იგრძნეს. სასახლეში ამას იმპერატორისათვის ახლობელი და ძვირფასი ორი ადამიანიც გრძნობდა — მისი მეუღლე ალექსანდრა-პრისკა და ასული ვალერია.

ჩვენ არ ვიცით, როდის და რა ვითარებაში გაეცნო იმპერატორის ცოლი ქრისტიანულ სწავლებას, მაგრამ მას ვხედავთ,

როგორც ქრისტიანს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქრისტიანობისადმი კეთილად განწყობილს, მშვიდსა და მამაცს, რომელმაც ქრისტეს ერთგული შვილი აღზარდა. ჩვენ ძნელად თუ წარმოვიდგენთ, რა წამება იყო ეს: სამეფო კარის წარმართულ გარემოში, წარმართი მეუღლის გვერდით, რომლის ხელთაც იყო ქვეშევრდომთა და ოჯახის წევრთა სიკვდილ-სიცოცხლე – ყოფილიყო ქრისტიანი და ქრისტესათვის კიდევ ერთი განძი შეენახა: ცოცხალი სული საკუთარი შვილისა!

ვალერიას წინ დიდი განსაცდელი ელოდა: მშვიდი, მოსიყვარულე, ნაზი, მორწმუნე გოგონა მამამ უხეშ თანამმართველ ვალერიის მიათხოვა. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან ესმოდა, რომ ეს უაზრობა იყო, მაგრამ როგორ იტანჯებოდა იმისი გული, ვინც ამ გულს ქრისტესათვის ინახავდა?

იმ წუთებში, როცა ადამიანის სული მწუხარებისაგან იქანცება, მასთან დასახმარებლად თვით ღმერთი მოდის. და აი, დედოფალ ალექსანდრას სულში სწორედ ეს უდიდესი ძალა, ქრისტესადმი ეს უსაზღვრო რწმენა, სრული იმედი ჩაიღვარა. როცა დედოფალი ქალიშვილს ათხოვებდა, მან ის გონებით ღმერთს მიანდო და ღმერთმაც იმედი არ გაუცრუა: ვალერია ქორწინებაში ისეთივე სუფთა, ქრისტესადმი ისეთივე ერთგული დარჩა, როგორიც დედასთან იყო. და მისი სულიერი სილამაზის, მისი მხურვალე ღვთისმოსაობისა და უწყვეტი ლოცვის სხივები, როგორც მშვიდი საღამოს სინათლის ანარეკლი, გარყვნილ და უხამს ვალერიასაც კი ეფინებოდა.

მალე ვალერიი ნიკომიდიისაში, აღმოსავლეთ იმპერიის ყოფილ დედაქალაქში გაემგზავრა. ვალერია კვლავ დედასთან იყო. ორივემ იცოდა, რა გეგმებს აწყობდა ვალერიი და რას აპირებდა დი-

ოკლექტიანე. ასევე ორივემ იცოდა, რომ მხოლოდ „სიკვდილამდე ერთგულთ ეძლევათ უფლისაგან გვირგვინი ცხოვრებისა“.

ორივენი ქრისტეს სახელის დიადი აღიარებისათვის ემზადებოდნენ, ემზადებოდნენ შიშითა და თრთოლვით, ემზადებოდნენ სინარულითა და გამარჯვების გალობით: „აღილუია“.

თავი მეორე

ქრისტეს შობიდან 303 წლის 23 თებერვლის დილა იდგა. ამ დღეს მთელი ქალაქი წარმართულ დღესასწაულს აღნიშნავდა. ქრისტეს ეკლესიის დევნის დასაწყისად სწორედ ეს დღე იქნა არჩეული. ცაზე ვარსკვლავები ჯერ არ ჩამქრალიყო, აღმოსავლეთით ალიონი ჯერაც არ ანთებულიყო, როცა ნიკომიდი-აში დედა ეკლესია ააღდა. დიოკლექტიანე და გალერი აღმოდებულ ტადარს თავიანთი სასახლის ფანჯრებიდან უყურებდნენ, ხედავდნენ, როგორ დაღეწეს მეომრებმა ეკლესიის კარი, ტადარში როგორ შეცვივდნენ და დილის მსახურებაზე შეკრებილ შემინებულ ქრისტიანებს თავს დაეცნენ, როგორ ყრიდნენ ცეცხლში წმინდა წიგნებსა და საეკლესიო ნივთებს.

უყურებდნენ ამას მმართველები და აზრად არ მოსდიოდათ, რომ ამ სანახაობას იმავე სასახლიდან ორი ქრისტიანი ქალი უყურებდა, რომლებიც თავიანთ შეჭირვებულ ძმებს ვერაფრით ეხმარებოდნენ. ამიტომ ორივენი მღუმარენი და თავიანთ უზომო წუხილს დამორჩილებულნი იდგნენ. ესენი იყვნენ: დედოფალი ალექსანდრა და მისი ასული ვალერია.

24 თებერვალს გამოიცა განკარგულება: 1) შეწყდეს ქრისტიანთა შეკრება, 2) დაინგრეს ყველა ქრისტიანული ეკლესია, 3) განადგურდეს მათი წმინდა წიგნები, 4) ქრისტიანებს მოეთ-

ხოვოთ თავიანთი სარწმუნოებიდან განდგომა მძიმე სასჯელის მუქართ.

ქრისტიანთაგან ვისაც მაღალი თანამდებობა ეკავა, ყველა უფლების აღკვეთა ემუქრებოდათ; დაბალი ფენის ადამიანებს — მონობა; მონებს კი — გათავისუფლების იმედის დაკარგვა.

ღევნა დაიწყო.

ქრისტიანები მამაცები აღმოჩნდნენ და ეს დიოკლეტიანეს აღიზიანებდა. სასახლეში ხანძარი გაჩნდა. ხანძრის გაჩენაში ბრალი ქრისტიანებს დასდეს. იმპერატორის რისხვა ნიკომიდიის ქრისტიან მოსახლეობას დაატყდა. ეპისკოპოსები და ეკლესიის სხვა მსახურნი, მათი ოჯახები და მეგობრები, მსახურებიც კი შეიპყრეს და აწამეს. და ამ საშინელ დროს გაისმა ყოვლად ძლიერი იმპერატორისადმი ცოლის ჩუმი, მშვიდი ყვედრება. ეს იყო ქრისტიანების გაუბედავი დაცვა, იმის მცდელობა, რომ უდანაშაულოებისადმი დიოკლეტიანეს ბრმა რისხვა დაეცხრო.

ამ დროს კი ღევნა საშინელ ზომებს იღებდა. იმპერატორის განკარგულება, ოთხჯერ ზედიზედ გამოცემული, ქრისტიანთა მდგომარეობას სულ უფრო ამძიმებდა. მესამე განკარგულებით გამოცხადდა, რომ ეპისკოპოსებს, მღვდლებს, დიაკვნებსა და მეღვთისმეტყველებს ღმერთებისათვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ, თუ არადა სიკვდილით დაისჯებოდნენ. მეოთხე განკარგულების შემდეგ ღევნა კიდევ უფრო სასტიკი გახდა.

ბრძანება გაიცა, რომ ყველას, მთელ იმპერიაში მსხვერპლი კერპებისათვის საჯაროდ შეეწირა. ქრისტიანთა სისხლი ნაკადულებად იღვრებოდა. დიოკლეტიანესთან ყველაზე დაახლოებულ ქრისტიანებს დაუნდობლად სჯიდნენ ან კლავდნენ. ამის ყურება ძრწოლის გარეშე არ შეიძლებოდა. ისინი, ვინც ცოტა

ხნის წინ სამეფო ტახტს გარს ეხვივნენ, დღეს დასასჯელად მიჰყავდათ. მღვდლებს დაკითხვის გარეშე უგდებდნენ ჯალათებს ხელში. უბრალო მოქალაქეებს ცეცხლში ყრიდნენ და რადგანაც ბევრნი იყვნენ, ჯგუფურად წვაავდნენ, სხვებს ზღვაში ახრჩობდნენ. არავის ინდობდნენ. ყოველდღე ახალ-ახალ სასჯელს იგონებდნენ.

ამ ამბების თანამედროვე ერთი ქრისტიანი მწერალი წერდა: — ასი ხელი და რკინის ენა რომ მქონოდა, მაშინაც კი ვერ დავითვლიდი ყველა იმ ტანჯვას, რომელსაც მორწმუნენი იტანდნენ. ასე მძვინვარებდა დიოკლეტიანე, მაგრამ დევნა მხოლოდ აძლიერებდა ქრისტიანთა მოშურნეობას. ისინი სიკვდილს როგორც გამარჯვებას, ისე უყურებდნენ და უშიშრად იღებდნენ.

„რომელმან სძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი და არა აღვზოცო სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთაჲსა და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა ჩემისა და წინაშე ანგელოზთა მისთა“ (გამოცხ. 3,5). ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ ამას უფალი მის მოყვარულთ და მისთვის ვნებულთ შეჰპირდა და კვდებოდნენ რწმენით, რომ საუკუნო ცხოვრებაში მიდიოდნენ, ზეციურ სასუფეველში. ამიტომაც იყო მათი სიკვდილი ესოდენ ნათელი და მშვენიერი.

თავი მესამე

დაკითხულ, შემდეგ კი წამებულ და მოკლულ აღმსარებელთა შორის იყო ჭაბუკი და მამაცი მეომარი გიორგი. მას დიდი თანამდებობა ეკავა, იმპერატორთან იყო დაახლოებული და მისი კეთილგანწყობით სარგებლობდა. მას წინ ბრწყინვალე მომავალი ელოდა.

ბავშვობიდანვე ქრისტიანად აღზრდილი გიორგი თავის წინაშე სულ სხვა გზას სახავდა. გიორგიმ, რომელიც იმპერატორს მოგზაურობებში თან ახლდა, მის საბჭოს სხდომებს ესწრებოდა, იცოდა ქრისტიანებს რაც ელოდათ. და მაშინ, როცა მათთვის სიმწარის თასი მზადდებოდა, არ შეეძლო მშვიდად ყოფილიყო და მიწიერი სიკეთეებით დამტკბარიყო. მან მთელი თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა და ქრისტეს აღიარების ღვაწლისათვის მზადებას შეუდგა.

და აი, როცა დადგა უკანასკნელი თათბირის დღე, როცა მსჯელობდნენ, თუ როგორ მოქცეოდნენ ქრისტიანებს, გიორგი მათ მოულოდნელ დამცველად და დიოკლეტიანეს სისასტიკის მამნილებლად წარმოდგა:

— თქვენი კერპები ღმერთები არ არიან! არის ერთი ღმერთი — ქრისტე! ის — ერთი უფალია, შემოქმედია ცისა და ქვეყანისა... შეიცანით ჭეშმარიტება და ქრისტიანებისაგან ისწავლეთ კეთილმსახურება! — ასე მხურვალედ ლაპარაკობდა გიორგი.

გაოგნების შემდეგ გამოფხიზლებულმა იმპერატორმა თავის საყვარელ ჭაბუკს დარწმუნება დაუწყო, გონს მოსულიყო, ქრისტეს განდგომოდა, სამხედრო დიდება და პატივი არ დაეკარგა, მსხვერპლი შეეწირა ღმერთებისათვის. დიოკლეტიანე შეჰპირდა, რომ მის თავხედურ სიტყვას დაივიწყებდა და წინანდელზე მეტი პატივით ადავსებდა. ამ დაპირებებს და შეგონებას, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო დაებრკოლებინა გიორგის წმინდა გადაწყვეტილება — ქრისტესმიერი საქმისათვის თავი გაეწირა.

— გულწრფელად ვისურვებდი, მეფეე, რომ ჩემი მეშვეობით შენც შეგეცნო ჭეშმარიტი ღმერთი და მისთვის შეგეწირა მსხვერპლი ქებისა! — ასე შთაგონებით სცემდა პასუხს იგი დი-

ოკლეთიანეს სიტყვებს. მაშინ კი შეგონებიდან და ალერსიდან ტანჯვაზე გადავიდნენ.

გიორგი საპყრობილეში ჩაადგეს, ტერფები დაუმსხვრიეს, მკერდზე დიდი ქვა დაადგეს, კირით სავსე ორმოში ჩაფლეს, ჩექმები ჩააცვეს, შიგნიდან წვეტიანი ლურსმნებით და ქალაქში ასე დაატარებდნენ, მაგრამ მოწამეს ღვთის ძალა იფარავდა და ამხნევებდა. ამიტომაც უვნებელი რჩებოდა, მისი მხურვალე სიტყვა კი აღანთებდა სულმოკლე ქრისტიანთა მერყევე გულებს.

საშინლად მძვინვარე დიოკლეთიანემ გიორგის მხეცურად წამება ბრძანა. მოიტანეს ბორბალი ბასრი კბილებითა და დანებით, მასზე ჭაბუკი მიაკრეს და დაატრიალეს. ორი-სამი მობრუნება და მოწამის მთელი სხეული დაიფლითა და სისხლით შეიღება, მაგრამ გიორგის ბაგეთაგან ისმოდა არა კვნესა, არამედ — ღვთის დიდება.

იმპერატორი ტახტზე იჯდა, მარგალიტით ნაკერი სამოსი ეცვა, ძვირფასი ქვებით მოციმციმე გვირგვინი ედგა. მოახლოებულები პირქვე ეცემოდნენ და ის გრძნობდა, რომ თავის ქვეშევრდომთ თავისი დიდებულებით აცვიფრებდა. ირგვლივ წითელ მაქმანიან თეთრ სამოსში გამოწყობილი წარჩინებული სენატორები, კონსულები, პრეტორები, ქურუმები, ვესტალები (ქურუმი ქალები) ისხდნენ, მაღალ ქვაფენილზე ამალით გარშემორტყმული დედოფალი იჯდა. საშინელი სანახაობით შეძრული ვერავის და ვერაფერს ხედავდა მოწამის გარდა, რომელიც ქრისტესათვის სიცოცხლეს სწირავდა... თავს ძლივს იკავებდა, რომ ქრისტიანად თავი ხმამაღლა არ ელიარებინა... ის მთელი არსებით ისწრაფოდა მის წინაშე გახსნილი მარადისობისაკენ, ქრისტესადმი სიყვარულით ინთებოდა. მასთან თუნ-

დაც ასეთივე ტანჯვის, მწუხარების, სასტიკი წამებისა და სიკვდილის გზით მისვლა — აი რით იყო დედოფლის სული სავსე.

ამ დროს კი გიორგი სულ უფრო სუსტდებოდა და ბოლოს სულაც მიჩუმდა.

— გიორგი, შენი ღმერთი სადღაა? შენს გამოსახსნელად რატომ არ მოვიდა? — ამბობდა დიოკლეტიანე და ცოტა ხნის წინ სიცოცხლით სავსე ჭაბუკის დასახიჩრებულ, უსიცოცხლო სხეულს უყურებდა, — დასანანია, რომ ასე უაზროდ გაწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე ქრისტეს მონამ, მაგრამ დიდება ღმერთებს, რომლებმაც თავიანთი შეურაცხყოფა არ დაუშვეს! დიოკლეტიანე ის იყო ადგილიდან წამოდგა, რათა აპოლონის ტაძარში წასულიყო და მისთვის მსხვერპლი შეეწირა, რომ უცებ იქაურობა და ყველა იქ მყოფი საშინელმა ქუხილმა გააყრუა. ღრუბლებით დაფარული ცა უეცრად დამაბრმაველმა ელვამ გაანათა და მრავალმა გაიგონა ხმა: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთან ვარ!“

ამ დროს ბორბალს ზეციური ნათება შემოერტყა და ამ ცივალში ჯვალათებმა ნათელი ჭაბუკი დაინახეს, რომელმაც მოწამეს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „გიხაროდენ!“ კიდევ წუთი და ნათება გაქრა, გიორგი კი, გახარებული და ჯანმრთელი, თვითონ ჩამოვიდა ბორბლიდან. ყველა ისეთმა შიშმა, ისეთმა გაოგნებამ შეიპყრო, რომ დადუმდნენ და ისე უყურებდნენ გიორგის, როგორც იმ ქვეყნიდან მოსულ მოჩვენებას.

დიოკლეტიანე დედოფლის საქციელის შესახებ სანამ რამეს შეიტყობდა, დედოფალმა სასახლეს მიაშურა, მაგრამ გზა, რომლითაც უნდა ევლო, საბოლოოდ დაისახა. მისი სული უკვე ქრისტესთან დაიწინდა და არანაირ ძალას აღარ შეეძლო მისგან მისი მოწყვეტა...

გიორგის ხვედრი გადაწყვეტილი იყო. დიოკლეტიანე უკანასკნელად შეეცადა იგი ქრისტეს უარყოფაზე დაეყოლიებინა. — დაუბრუნდი ღმერთებს, შენთან სამეფოს გავიყოფ და ჩემს თანამმართველად გაქცევ! — ეუბნებოდა მას იმპერატორი.

— შენ, ხელმწიფეო, თავიდანვე ასეთი წყალობა უნდა გეყო ჩემთვის, ამის ნაცვლად კი ტანჯვისთვის გამწირე, — უპასუხა გიორგიმ. გახარებულმა იმპერატორმა პირობა დადო, რომ ყველა ტანჯვისათვის მოწამეს დააჯილდოვებდა.

დიოკლეტიანეს ნებართვით გიორგი აპოლონის ტაძარში შევიდა. ყველა მოელოდა, რომ ის მსხვერპლს შესწირავდა ღმერთებს, მაგრამ მან აპოლონის კერპს და სხვა კერპებს მიმართა სიტყვებით: — აქ დარჩენას როგორ ბედავთ, როცა მე, ჭეშმარიტი ღმერთის მსახური, აქა ვარ? იმავე წამს საშინელი ხმაური და საცოდავი კვნესით დაემხნენ და დაილეწნენ კერპები. როგორც ქარიშხლის დროს აბობოქრებული ზღვა, გიორგის თამამი ქცევით გაცოფებული წარმართები წამოიშალნენ. ზოგი მას მოგვად მიიჩნევდა და ერიდებოდა. ქურუმები მის სიკვდილს მოითხოვდნენ... დიოკლეტიანეს მრისხანებისა და შეურაცხყოფისაგან თავი აღარ ახსოვდა.

— ასე სწირავ მსხვერპლს ღმერთებს? — იკითხა ბოლოს იმპერატორმა.

— დიახ, სწორედ ასე ვექცევი იმათ, ვისაც შენ ღმერთებად მიიჩნევ, — უპასუხებდა გიორგი.

— ახლა კი, მეფევ, გრცხვენოდეს. განა შეიძლება შეწევნასა და წყალობას მოელოდე იმათგან, რომლებიც ღვთის მონების იქ ყოფნასაც ვერ უძლებენ?

ბრბოს გამძვინვარებულმა შეძახილმა, რომელიც გიორგის სიკვდილს ითხოვდა, მისი სიტყვები ჩაახშო, მაგრამ იმ ხმამა-

ღალი ყვირილის ჩახშობა არავის შეეძლო, რომელიც უეცრად საკერპოში გაისმა: — ღმერთო გიორგისაო, შემიწყალე! შენ ხარ ერთი ჭეშმარიტი და ყოვლადძლიერი ღმერთი! — ამ ყვირილმა ხალხის შეძახილები მიაჩუნა. იმპერატორს საშინელება მსუნთქვა შეუკრა და გული შეუძრა: გიორგის ფერხითი დიოკლეტიანეს მეუღლე — ალექსანდრა იწვა.

ის, რაც მის სულში წლების მანძილზე მწიფდებოდა, ბოლოს გარეთ გადმოიღვარა. თასი ბოლომდე იყო სავსე. მგზნებარე, შეუმუსრავმა რწმენამ მთელი მისი არსება მოიცვა. მან ქრისტეს რწმენა უშიშრად აღიარა, ის განადიდა და წარმართული ღმერთები გაკიცხა.

გაფითრებულმა, აღელვებულმა დიოკლეტიანემ ისლა მოახერხა, რომ ეკითხა: — რა დაგემართა, ალექსანდრა, რომ ამ მოგვის ჯადოთი მოიხიბლე და ჩვენს ღმერთებს ურცხვად უარყოფ? — მაგრამ დედოფალს პასუხი არ გაუცია.

განა იმპერატორს შეეძლო იმის გაგება, რაც ახლა მას განეცხადა? დიდი ხნიდან იგრძნობოდა, რომ მათ შორის უფსკრული იყო და ახლა ამ უფსკრულმა ისინი საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს.

რამდენიმე წუთის შემდეგ დიოკლეტიანემ გიორგისა და მისით „მოჯადოებულ“ დედოფალ ალექსანდრას თავის მოკვეთა ბრძანა. ალექსანდრას არა მხოლოდ ქრისტიანები, წარმართებიც მისტიროდნენ. ის კი ნათელი და ბედნიერი, როგორც კრავი ქრისტესი, სასიკვდილოდ გაეშურა და თან ღმერთს ადიდებდა. ორივე განსასჯელი ქალაქგარეთ გაიყვანეს.

ამ დროს მოწამეს ფიზიკურმა ძალებმა უღალატეს. ქალი საშინელმა დაღლილობამ შეიპყრო და იძულებული გახდა დამჯდარიყო. ის იყო ჩამოჯდა და თავი კედელს მიაყრდნო, რომ

გონებაც დაკარგა. ყველას ეგონა, რომ მოკვდა. გიორგიმ ღმერთს მადლობა აღუვლინა, რომ მან თავის აღმსარებელს იოლი სიკვდილი არგუნა და სასჯელის ადგილზე მარტო მივიდა, სადაც მას თავი მოჰკვეთეს.

დელოფლის გაციებული, უსიცოცხლო სხეული სასახლეში წაასვენეს და იმპერატორის კარის მთავარმა მინისტრმა ლუკიანემ, რომელიც ქრისტიანი იყო, ის ცნობისმოყვარეთაგან დამალა, თუმცა კი ის, რაც ყველას სიკვდილი ეგონა, მარტოდენ გონების დაკარგვა იყო. წმინდა მოწამეს კიდევ ელოდა სიცოცხლესთან დაბრუნება, რათა მწუხარების თასი ბოლომდე შეესვა.

თავი მეოთხე

ლუკიანემ დედოფალს ურჩია დიოკლეთიანეს რისხვას ცოტა ხნით გარიდებოდა. ეს იმ მხრივ იყო მოსახერხებელი, რომ 304 წლის სექტემბერში იმპერატორი ნიკომიდიიდან რომს გაემგზავრა, რათა იქ თავისი იმპერატორობის ოცი წლისთავი აღენიშნა.

დიოკლეთიანემ შემდეგ შეიტყო, რომ მისი ცოლი ცოცხალი გადარჩა, ისიც გაიგო, სად იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დევნის საშინელებებმა თავადაც შეძრა და ის აღარ უდევნია. მას ხელისუფლების მძიმე ტვირთი ქანცავდა. დეკემბერში იმპერატორი ავად გახდა. გამოჯანმრთელების არანაირი იმედი არ იყო, მაგრამ ბუნებრივად ჯანმსაგარმა დიოკლეთიანემ გაუძლო ავადმყოფობას და 1 მარტს კვლავ გამოვიდა ხალხთან, მაგრამ ეს უკვე ფერმკრთალი, გალეული, გატეხილი ბერიკაცი იყო.

1 მაისს დიოკლეტიანემ ტახტის დატოვებაზე ხელი მოაწერა და მშობლიურ დალმაციაში გაემგზავრა. მასთან ერთად ხელისუფლებიდან მისი თანამმართველი მაქსიმიანეც უნდა წასულიყო. ის რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს მართავდა.

აღმოსავლეთში მთელი ხელისუფლება გალერიის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც თანამმართველად ლიკინიუსი დააყენა, ხოლო დასავლეთში იმპერატორი გახდა კონსტანცი, მისი თანამმართველი კი — მაქსიმიანე. დიოკლეტიანემ გალერიი თავის დამხმარედ სამხედრო ნიჭის გამო აირჩია. და მართლაც, გალერიი, უპირველეს ყოვლისა, ჯარისკაცი იყო. იგი, იმპერატორად ქცეული, ისეთივე უხეში და სასტიკი დარჩა, როგორც ბრძოლის ველზე იყო თავის ქვეშევრდომებთან და ჯარისკაცებთან.

ქრისტიანთა მოძულე გალერიი მათ დევნას აგრძელებდა, რაც მის დროს განსაკუთრებულად სასტიკი გახდა. თანამედროვეთა თქმით, ის საერთოდ მძვინვარებით გამოირჩეოდა. დასჯისას ჩვევად ჰქონდა: დაწვა, ჯვარზე გაკვრა, მხეცებისაგან დაფლეთა. ადვილი წარმოსადგენია ქრისტიანთა მდგომარეობა!

და უცებ, 311 წელს ქრისტიანთა ამ შეურიგებელმა მტერმა გამოსცა განკარგულება: „ჩვენ, ჩვენი კაცთმოყვარეობის გამო, ადამიანებისათვის მიტევების ჩვეულების გამო, კეთილ ვინებეთ მათზე წყალობა მოგველო. ამიტომ ნებას ვრთავთ აღიარონ ქრისტიანული სარწმუნოება და შეიკრიბონ, ოღონდ არ ჩაიდინონ რაიმე უკანონობა. დაე, ისარგებლონ ჩვენი შემწყნარებლობით და თავიანთ ღმერთს ჩვენი ჯანმრთელობა, იმპერიის კეთილდღეობა და თავიანთი სიკეთე შესთხოვონ, რათა იმპერია მარადჟამ ყვაოდეს და მათაც მშვიდად იცხოვრონ“.

გალერის აზროვნებაში ეს გარდატეხა იმან გამოიწვია, რომ რაღაც საშინელი სნეულება შეეყარა, მისმა სხეულმა ლბობა დაიწყო. იგი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

წმინდა დედოფალ ალექსანდრას, რომელიც თავისი ქალიშვილის მფარველი იყო ბავშვობასა და ყრმობაში, მისთვის მხარის დაჭერა ისევ მოუწია. ამჯერად ისინი სიკვდილამდე აღარ დაშორებიან ერთმანეთს. თუკი ვალერიას კიდევ მრავალი მწარე წუთის გადატანა მოუხდა, ამის გამო კიდევ უფრო მეტად ალექსანდრას გული იტანჯებოდა. გალერის სიკვდილს შემდეგ ორივემ მფარველობა და თავშესაფარი მაქსიმიანესგან ითხოვა, რომელსაც გალერი ერთ დროს მრავალ სიკეთეს უკეთებდა.

მაქსიმიანემ, ნაცვლად იმისა, რომ მარტონხელა ქალებისათვის მფარველობა გაეწია, ვალერიას ცოლად გაყოლა მოსთხოვა. ვალერია უარზე იდგა: მას ჯერ სამგლოვიარო კაბაც არ ჰქონდა გახდილი და მეორედ გათხოვებაზე ფიქრიც არ შეემდლო. მაშინ მაქსიმიანემ დედა-შვილი სირიის ერთ მიყრუებულ სოფელში გადაასახლა. ოდესღაც დიდ პატივში მყოფი ქალები ახლა აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ.

ისინი ვერც გადასახლება, ვერც მარტობამ, ვერც აკრძალვებმა ვერ შეაშინა: მათთან იყო უფალი, რომელიც მათ მძიმე ცხოვრებისათვის ძალებს აძლევდა. დიოკლეტიანემ თავისი ცოლ-შვილის საბრალო მდგომარეობა შეიტყო და მაქსიმიანეს მოსთხოვა მასთან გაეშვა ისინი, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.


მაქსიმიანეს სიკვდილის შემდეგ ორივე საიდუმლოდ ჩამოვიდა ნიკომიდიაში და დახმარება ითხოვა. ლიკინიუსი ქრისტიანთა მფარველი ჩანდა და თავიდან ისინი ალერსიანად მიი-


ლო. მაგრამ მალე გამოძულავენდა მისი ნამდვილი განწყობა: მან მოკლა ვალერიის ვაჟი კანდიდიანე, რომელსაც ვალერია დედობრივი სიყვარულით ექცეოდა. დედოფალი ალექსანდრა და ვალერია სასახლიდან შეძრწუნებულნი გამოიქცნენ.

კიდევ რამდენიმე ხანი გავიდა და ლიკინიუსი უკვე აღარ ფარავდა ქრისტიანებისადმი თავის სიძულვილს, დაიწყო მათი გაძევება და დევნა. დედოფალი ასულთან ერთად ექვსი თვე იმალებოდა, ბოლოს ორივენი შეიპყრეს. მათი ტანჯვის გზა დასასრულს მიუახლოვდა. წმინდა დედოფალ ალექსანდრას შვილთან ერთად სიკვდილი მიუსაჯეს. ხალხი ტირილით მიაცილებდა მათ სასჯელის აღსრულების ადგილისაკენ, ისინი კი სიკვდილთან შესახვედრად მამაცურად და სიხარულით მიაბიჯებდნენ, ისე როგორც ათი წლის წინ.

დედოფალმა ალექსანდრამ სრულიად უშიშრად, ბაგეზე ლოცვით დახარა კუნძზე თავისი მეფური თავი და სული ქრისტე ღმერთს მიაბარა. მასთან ერთად ვალერიაც დასაჯეს სიკვდილით. მათი სხეულები ზღვაში გადაყარეს.

წმინდა მოწამე დედოფლის მოწამებრივ აღსასრულს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგისთან ერთად, 23 აპრილს იხსენიებს.





დიდმოწამე ბარბარე

ხს. 4 ღეკემბერს

რომის უწმინდური მეფის, მაქსიმიანეს მეფობის ჟამს აღმოსავლეთში ერთი კეთილშობილი, მდიდარი და სახელოვანი კაცი, სახელად — დიოსკორე, ცხოვრობდა. ის რწმენით წარმართი იყო, ჰყავდა ქალიშვილი — ბარბარე და, რადგან სხვა შვილი არ ჰყავდა, მას თვალისჩინივით უფროთხილდებოდა. გოგონა წამოიზარდა და ისე დამშვენდა, რომ მთელ ქვეყანაში სილამაზით გამოირჩეოდა. დიოსკორე თვლიდა, რომ უბრალო და უჩინო აღამიანები მისი ცქერის ღირსნი არ იყვნენ. მან მაღალი კოშკი ააგო, მდიდრულად მოაწყო და ბარბარე იქ გამოკეტა. გოგონას დედა გარდაცვლილი ჰყავდა, ამიტომ მამამ მას კარგი აღმზრდელი და მონა ქალები მიუჩინა.

ცხოვრობდა ქალწული კოშკში, სარკმლიდან ღვთივექმნილ ბუნებას უცქერდა, ნუგეშს ცისა და მიწის სილამაზის ჭვრეტით იღებდა, ცაზე მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, აყვავებულ

მინდვრებს, ბალებს, ვენახებს, მთებსა და წყლებს აკვირდებოდა და ერთხელაც თავის აღმზრდელებს ჰკითხა: ვისმა ხელმა შექმნა ეს ყოველივე?

და მოისმინა პასუხი:

– ეს ყველაფერი ღმერთებმა შექმნეს.

ქალწულმა იკითხა:

– რომელმა ღმერთებმა?

– იმ ოქროსა და ვერცხლის ღმერთებმა, რომლებსაც მამა-შენი ეთაყვანება; ყველაფერი, რასაც ხედავ, მათი შექმნილია, – უპასუხეს მონებმა. ამ სიტყვებმა გოგონა დააეჭვა და თავისთვის ამბობდა: – ღმერთები, რომლებსაც მამაჩემი ეთაყვანს სცემს, ადამიანის ხელითაა შექმნილი. როგორ შეეძლოთ ამ ღმერთებს, უსულო კერპებს ასეთი ნათელი ცა და მიწიერი სილამაზე შეექმნათ?

ერთხელ, როცა ბარბარე ცას შეჰყურებდა და სურდა გაეგო, ვინ იყო ამ ზეციური სილამაზის შემქმნელი, უეცრად მის გულში ღვთაებრივი მაღლის ნათელი აკიაფდა. და მან გულში თქვა:

– უნდა იყოს ისეთი ერთი ღმერთი, რომელიც ადამიანის ხელით არ შექმნილა, არამედ თავისთავად არსებობს და ყოველივე თავისი ხელით შექმნა; ერთი უნდა იყოს ის, ვინც განაგრცო ზეცა, დააფუძნა დედამიწა და მაღლიდან მთელ ქვეყანას მზის სხივებით ანათებს, მთვარით და ვარსკვლავებით აბრწყინებს, მიწას კი ხეებით, სხვადასხვა ყვავილით რთავს და წყაროებით რწყავს. უნდა იყოს ისეთი ერთი ღმერთი, რომელიც ყოველივეს ფლობს, ყოველივეს განაგებს, აცოცხლებს და ყველაზე ზრუნავს.

ასე სწავლობდა ყრმა ბარბარე ქმნილების მეშვეობით შემოქმედის შეცნობას. მის გულში ნელ-ნელა ღვთაებრივი სიყ-

ვარულის ალი აენტო. ბარბარეს არც დღე და არც ღამე მოსვენება არ ჰქონდა, მხოლოდ ერთზე ფიქრობდა, ერთი რამ სურდა – ყოველივეს შემოქმედი ღმერთი შეეცნო.

ბარბარეს გათხოვების დრო რომ დადგა, მრავალი მდიდარი და დიდგვაროვანი ჭაბუკი, რომლებსაც მისი მშვენიერების ამბავი სმენოდათ, დიოსკორეს ქალიშვილის ხელს სთხოვდა. დიოსკორე შვილთან კოშკში მივიდა და ქორწინებისა და რომელიმე სასიძოზე დაწინდვის აუცილებლობაში არწმუნებდა.

ამ სიტყვებზე უმწიკვლო ბარბარეს აღმური მოედო. მას არათუ ამის გაგონება, ამაზე ფიქრიც არ სურდა და გათხოვებაზე გადაჭრით თქვა უარი. დიოსკორემ მისი იძულება რომ განაგრძო, ბარბარემ უთხრა:

– მაძაჩემო, თუკი ისევ გათხოვებას მაიძულებ, თავს მოვიკლავ, შენ კი ერთადერთ ქალიშვილს დაკარგავ. დიოსკორე ამ სიტყვებმა შეაძრწუნა და ძალა აღარ დაუტანებია. ის ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო გათხოვებაზე დარწმუნებით დაეყოლიებინა, ვიდრე იძულებით. იგი იმედოვნებდა, რომ დრო თავისას იზამდა და ბარბარე აზრს შეიცვლიდა. სულ მალე მას შორეულ მოგზაურობაში მოუხდა წასვლა და ფიქრობდა, რომ მამას მონატრებული ბარბარე მის ნებას ხალისით დაემორჩილებოდა, ამიტომ დიოსკორემ აღმზრდელებს უბრძანა მისთვის ხელი არაფერში შეეშალათ, ეკეთებინა ის, რაც მოესურვებოდა. ის ფიქრობდა, რომ თუ მისი ასული გამოვიდოდა კოშკიდან, ხალხს შეხვდებოდა, მათთან ისაუბრებდა, ნახავდა, როგორ თხოვდებიან მისი თანატოლები, გათხოვება თავადაც მოუნდებოდა.

დიოსკორე გაემგზავრა თუ არა, ბარბარეს თავისი საცხოვრებელიდან თავისუფლად გამოსვლის საშუალება მიეცა, შეეძლო ელაპარაკა ვისთანაც მოესურვებოდა. მან რამდენიმე ქრის-

ტიანი ქალწული გაიცნო, დაუმეგობრდა მათ და ცდილობდა დაწვრილებით შეეტყო უფალ იესო ქრისტეს შესახებ. ქალწულებმა მოუთხრეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან მის სასწაულებრივ განხორციელებაზე, ვნებაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე, მომავალ სამსჯავროზე, იმ მარადიულ ტანჯვაზე, რომელიც კერპთაყვანისმცემლებს ელოდათ და მართალ ქრისტიანთა დაუსრულებელ სინარულზე ცათა სასუფეველში. ყოველივე გაგონილმა ბარბარეს გული დაატკბო და აღანთო ქრისტესადმი სიყვარულით. მას მონათვლა მთელი არსებით ეწადა. სწორედ იმ დროს ქალაქში, სადაც ბარბარე ცხოვრობდა, ერთი ეპისკოპოსი ჩამოვიდა. ბარბარემ მას თავისთან უხმო და მისგან ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებანი შეისწავლა. შემდგომში, უკვე მონათლული, ღვთის სიყვარულით კიდევ უფრო აღენთო და მარხვითა და ლოცვით დღედაღამ იღვწოდა, ემსახურებოდა თავის უფალს და უბიწოების აღთქმა დადო.

დიოსკორე მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, კვლავ განაახლა შვილთან გათხოვებაზე საუბარი, მაგრამ ბარბარემ მამას მტკიცე უარი განუცხადა და არც ის დაუმალა, რომ იესო ქრისტეს აღმსარებელი გახდა. გაიგო თუ არა დიოსკორემ, რომ მისი შვილი გაქრისტიანდა, საშინელმა მრისხანებამ შეიპყრო. გაცეცხლებულმა მახვილი იშიშვლა და წმინდა ბარბარესთვის დარტყმა უნდოდა. ბარბარე გაიქცა, დიოსკორე შიშველი მახვილით ხელში დაედევნა, როგორც მგელი ცხვარს. უცებ გოგონას მაღალმა კლდემ გზა გადაუღობა. ბარბარემ მთელი ძალები მოიკრიბა, უფალს მოუხმო, კლდის შვერილებით მწვერვალზე ავიდა და გამოქვაბულში დაიმალა. დიოსკორემ დიდხანს ეძება შვილი და ბოლოს ერთი მწყემსის მითითებით იპოვა. როგორც მხეცი ნადავლს, ისე დააცხრა ბარბარეს, თმებში სწვდა და უმოწყალოდ ცემა დაუწყო. შემდეგ შინ წაათრია, ვიწრო,

ბნელ ოთახში ჩაკეტა, მცველი მიუჩინა და ღვიძლ შვილს შიმშილითა და წყურვილით კლავდა.

ამის შემდეგ დიოსკორე ოლქის განმგებელთან — მარტიანესთან წავიდა და თავისი შვილის შესახებ ყველაფერი უამბო: როგორ უარყოფს ღმერთებს და ჯვარცმულ ქრისტეს აღიარებს; სთხოვდა ეწამებინა, რათა კვლავ მამისეულ რწმენაზე მოექცია. მმართველის თანხმობა მიიღო თუ არა, დიოსკორემ გამოიყვანა ბარბარე ჩაკეტილი ოთახიდან, მმართველს მიჰკვარა და თქვა:

— მასზე უარს ვამბობ, რადგან ის ჩემს ღმერთებს განუდგა. და თუკი კვლავ მათკენ არ მოიქცევა და ჩემთან ერთად არ სცემს თაყვანს, აღარ იქნება ჩემი შვილი, მე კი — მისი მამა. შენ კი, მმართველო, ისე ტანჯე, როგორც შენი უდიდებულესობა ისურვებს.

ბარბარეს უჩვეულო სილამაზით აღტაცებულმა მმართველმა ქალწულს თავიდან მშვიდად და ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი, თან მის სილამაზესა და წარჩინებულობას აქებდა.

— მშვენიერო ქალწულო! — ამბობდა ის. — მოწყალე იყავ საკუთარი თავის მიმართ და ღმერთებისადმი ჩვენთან ერთად გულითადი მსხვერპლის შეწირვა იჩქარე, რადგან მინდა შენდამი მოწყალე ვიყო, დაგინდო და ასეთი მშვენიერება ტანჯვისათვის არ გავწირო, მაგრამ თუკი ყურს არ დამიგდებ და მამას არ დაემორჩილები, ჩემს სისასტიკეს შეიტყობ.

წმინდა ბარბარემ უპასუხა:

— მე მხოლოდ ჩემს ღმერთს ვეთაყვანები, მხოლოდ მას ვწირავ მსხვერპლს — ლოცვებს და მინდა თავადაც მისი მსხვერპლი ვიყო, რადგან ის — ცისა და მიწის შემქმნელი ჭეშმარიტი ღმერთია, თქვენი ღმერთები კი არარაობანი არიან და თქვენი მათზე დამყარებული იმედიც ამაოა.

წმინდანმა ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, მმართველი განრისხდა და ბარბარეს გაშიშვლება ბრძანა, რაც სუფთა, უმწიკვლო და წმინდა ქალწულისათვის მძიმე ჭრილობებზე არანაკლები ტანჯვა იყო. შემდეგ მტარვალმა მისი მიწაზე დაწვენა და ხარის ძარღვებით ცემა ბრძანა. მიწა მისი სისხლით ირწყვებოდა, ჭრილობებზე კი ბეწვის ნაგლეჯებს და თიხის ნატეხებს უსვამდნენ, რათა ტკივილი გაძლიერებოდა. ყველა ამ ტანჯვამ ვერ შეარყია მოწამის ძლიერი რწმენა, რომელიც როგორც კლდეზე, უფალ იესო ქრისტეზე იყო დამყარებული, რომლის გამოც ის ასეთ ტანჯვას ითმენდა. ამის შემდეგ მმართველმა მისი საპყრობილეში წაყვანა ბრძანა და ახალი სატანჯველის მოფიქრებას შეუდგა.

წმინდა ბარბარეს ჭრილობებისაგან სული ძლივს ედგა. საპყრობილეში უფალ იესო ქრისტეს ევედრებოდა და დავით წინასწარმეტყველის მსგავსად ხმობდა: „*ნუ დამაგლებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე შეწევნად ჩემდა*“ (ფსალმ. 37, 21-22).

ლოცვის დროს უეცრად ნათელი გამობრწყინდა და წმინდანმა გულში გამოუთქმელი სიხარული იგრძნო, მას იესო ქრისტე გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: — „*ბარბარე, იღვაწე და ნუ შეშინდები! მე შენთან ვარ და გიფარავ, შენს ღვაწლს ვუმზერ და ტანჯვას გიმსუბუქებ. შენ საუკუნო სიხარული გელის ჩემს ზეციურ სასუფეველში*“. ასე ანუგეშა უფალმა თავისი საყვარელი მოწამე ბარბარე და მისი ჭრილობები ისე განკურნა, რომ მათგან კვალიც არ დარჩენილა.

დილით, როცა წმინდა ბარბარე კვლავ მმართველის წინაშე წარდგა, ყველამ დაინახა, რომ ქალწული ჯანმრთელი იყო, სახე ნათელი ჰქონდა და უწინდელზე უფრო მშვენივრად გამოიყურებოდა. მმართველმა მას უთხრა:

– ხედავ, ასულო, როგორ ზრუნავენ შენზე ჩვენი ღმერთები! ჯერ კიდევ გუშინ სასტიკად ნაგვემი იყავი, დღეს კი გამოგა-
ჯანსაღეს და უწინდელზე უკეთესი ჯანმრთელობა მოგცეს.
ემადლიერე, თაყვანი ეცი და მსხვერპლი შესწირე!

წმინდანმა უპასუხა:

– რას ამბობ, მმართველო! შენს ბრმა, უტყვე და უგრძობ
ღმერთებს ავადმყოფთა კურნება და მკვდართა აღდგინება სად
შეუძლიათ! მათ არც ჩემი გამოჯანმრთელება შეეძლოთ და რის-
თვის ვემადლიერო? მე ჩემმა ღმერთმა, უფალმა იესო ქრისტემ
გამამრთელა. ის არის ყოველგვარ სნეულებათა მკურნალი და
მკვდართათვის სიცოცხლის მიძემი. მას მადლიერებით ვეთაყ-
ვანები და მსხვერპლად საკუთარ თავს ვწირავ.

წმინდანის ამ სიტყვებმა მმართველი საშინლად განარისხა.
მან მისი ხეზე დაკიდება და რკინის კაუჭებით სხეულის და-
სერვა ბრძანა. წმინდა ბარბარე ყოველივეს უღრეკი სიმამაცით
ითმენდა. შემდეგ თავში ჩაქუჩის ჩარტყმა დაუწყეს. ასეთ ვითა-
რებაში არა თუ ყმაწვილი ქალისათვის, ღონიერი მამაკაცისათ-
ვისაც შეუძლებელია ცოცხლად დარჩენა, მაგრამ მოწამეს ქრის-
ტეს ძალა ამტკიცებდა. მტარვალმა დაინახა, რომ ბარბარეს
მოთმინებას ვერ დაამარცხებს, კერპების თაყვანისცემას ვერ
აიძულებს და სიკვდილი მიუსაჯა.

სასტიკ დიოსკორეს – ბარბარეს მამას, არა თუ გული არ
სტკიოდა შვილის ტანჯვის გამო, მისი ჯალათობაც არ შერ-
ცხვა. ერთი ხელი გოგონას ჩაავლო, მეორე შიშველ მახვილს
და ქალაქგარეთ, დასჯის ადგილზე წაიყვანა.

გზად მიმავალი წმინდა ბარბარე ღმერთს ევედრებოდა:

– დაუსაბამო ღმერთო! შენი მხველისა ისმინე! შენი მად-
ლი მოჰფინე ყოველ ადამიანს, ვინც ჩემს ტანჯვას მოიხსენებს.
არ მიეახლოს მას უეცარი ავადმყოფობა და არ მიეწიოს მოუ-

ლოდნელი სიკვდილი. ბარბარეს ამ ლოცვის პასუხად ზეციდან ხმა გაისმა, რომელმაც თხოვნის შესრულება აღუთქვა.


მოწამე სიხარულით წავიდა სიკვდილთან შესაგებებლად, უნდოდა სწრაფად დაეტოვებინა სხეული და უფალთან წასულიყო.

დანიშნულ ადგილს რომ მიაღწიეს, ქრისტეს კრავმა ბარბარემ თავისი წმინდა თავი მახვილს შეუშვირა და უმოწყალო მამამ მას თავი მოჰკვეთა.

დიოსკორეს და მმართველ მარტიანეს ღვთის უეცარი რისხვა დაატყდათ: პირველს – როცა ის მთიდან ეშვებოდა, ხოლო მეორეს – თავის სახლში მეხი დაეცათ და ისე ჩაინაცრნენ, რომ მათი ფერფლიც ვერსად იპოვეს.

ამ ქალაქში ერთი კეთილმსახური კაცი ცხოვრობდა, სახელიად გელენტიონი. მან აიღო წმინდა ბარბარეს პატიოსანი ნაწილები, ქალაქში მიიტანა და შესაფერი პატივით დაკრძალა. შემდგომში ამ საფლავზე ეკლესია აშენდა, სადაც მრავალი სასწაული აღესრულებოდა მადლითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა შვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.





მოწამენი პისტი, ელპიდი, ალაპი და ღელა მათი სოფია

ხს. 17 სექტემბერს

ადრიანეს მმართველობის დროს რომში ცხოვრობდა წარჩინებული ქვრივი, სახელად სოფია. მას სამი ქალიშვილი ჰყავდა, რომლებსაც ქრისტიანულ სათნოებათა სახელები დაარქვა: პირველს – პისტი (სარწმუნოება), მეორეს – ელპიდი (სასოება), მესამეს კი – ალაპი (სიყვარული). მოშურნე ქრისტიანი, კეთილმსახური სოფია მკაცრად ცხოვრობდა, ღმერთს ლოცვით, მარხვითა და მოწყალების გაცემით ემსახურებოდა. მისმა სამივე გოგონამ შესანიშნავი აღზრდა მიიღო.

სათნო ოჯახის შესახებ ხმებმა მეფე ადრიანეს ყურამდე მი-აღწია. მან სოფიასი და მისი ქალიშვილების პირადად ნახვა ისურვა. ადრიანი შემოდგომის დილა იდგა. მზე ის-ის იყო ას-

ცდა ხის კენწეროებს, სადღაც სახედარი ყურისწამლებად ყრო-
ყინებდა. ღამის ხანმოკლე დასვენების შემდეგ ნელ-ნელა იღვი-
ძებდა სიცოცხლე.

ზღურბლზე მაცნე რომ გამოჩნდა მეფესთან დაუყოვნებელი
მისვლის ბრძანებით, ოჯახი უკვე შეკრებილი იყო. სოფიამ მიწ-
ვევის მიზეზი შეიტყო, იცოდა, რომ რწმენის შესახებ ჰკითხავ-
დნენ და შვილებთან ერთად ლოცვად დადგა:

ღმერთო ყოვლადძლიერო, შენი წმინდა შეწევნა მოგვივლი-
ნე, დაე, ჩვენი გული არ შეუშინდეს მტარვალს, ნუ შეგვაძრწუ-
ნებს შენი სახელისათვის ტანჯვა და მწარე სიკვდილი!

ლოცვის დასრულების შემდეგ დედამ და შვილებმა ერთმა-
ნეთს ხელი ჩაჰკიდეს და სასახლეში წავიდნენ. როცა მიუახ-
ლოვდნენ, ჯვარი გამოისახეს და სამეფო დარბაზში თამამად
შევიდნენ. იქ, მთელი თავისი თვალისმოძებრელი დიდებით, უკ-
ვე იჯდა ამაყი და სასტიკი ადრიანე. სოფია და მისი ქალიშვი-
ლები ტახტს მშვიდად მიუახლოვდნენ, თაყვანის სცეს მეფეს
და შეკითხვებს დაელოდნენ.

მეფემ, ჩვეულებისამებრ, სოფიას წარმოშობისა და რწმე-
ნის შესახებ ჰკითხა. თავის შესახებ ყველაფერი რომ უთხრა
და რწმენის საკითხამდე მივიდა, სოფიამ თქვა, რომ იგი ქრის-
ტიანია, მაშინვე წარმოთქვა დოგმატები და ქრისტეს, როგორც
სამყაროს ერთადერთ მაცხოვარს, ისე იხსენიებდა.

ადრიანე გააოცა სოფიას სიბრძნემ და სიმამაცემ. ბრძანა ის
შვილებთან ერთად განსწავლულ ქალთან, პალადიასთან მიეყ-
ვანათ, რათა მას ისინი ქრისტეს განდგომაზე დაეყოლებინა. პა-
ლადია კეთილშობილი ქალი აღმოჩნდა და დედისა და შვილე-
ბის განმარტოებით ყოფნას ხელს არ უშლიდა. ის მშვენივრად
გრძნობდა დამუქრებულ საფრთხეს და რწმენაში მათი სიმტკი-

ცით აღტაცებული, ცდილობდა პატარა გოგონებისა და მათი თავგანწირული დედისათვის უკანასკნელი დღეები გაელამაზებინა.

ის, რომ შესაძლებელი იყო ქრისტეს სარწმუნოებისათვის ეტანჯათ, სოფიას ადრე არასდროს უთქვამს შვილებისათვის. მას ეჩვენებოდა, რომ ისინი მეტად პატარები იყვნენ და ვერ გაიგებდნენ, თუ რისთვის იყო მათი ტანჯვა საჭირო, მაგრამ ახლა დადგა ამის თქმის დრო, რათა ბავშვებში სიმამაცე განემტკიცებინა.

დედამ მათ უთხრა: — ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენი ღვაწლის დრო დადგა. აჩვენეთ უფლისადმი თქვენი მტკიცე რწმენა, მისდამი თქვენი სასოება და სიყვარული! თქვენი სულების საუკუნო ცხონებისათვის სხეულებს ნუ დაზოგავთ და მიიღეთ თქვენთვის განმზადებული ტანჯვა, როგორც უფალმა არ დაზოგა საკუთარი სხეული თქვენთვის და ტანჯვა და სიკვდილი დაითმინა. ნუ დაგენანებათ თქვენი სილამაზე. როცა მას წამებით წაგართმევენ, ქრისტე ზეციური სილამაზით შეგამკობთ! საყვარელო შვილებო, ცრუ სიტყვებით ნუ მოტყუვდებით. მეფე თავიდან ალერსიანი იქნება და მრავალ საჩუქარს შეგპირდებათ, მაგრამ მისი პირმოთნე სიტყვები ნუ გაცდუნებთ. ყველა მიწიერი სიხარული მტკვერს ჰგავს — დაჰბერავს ქარი და ყოველივე გაქრება.

— შვილებო, იცოდეთ, რომ ტანჯვისას მე ერთი წამითაც არ მიგატოვებთ და თქვენთვის ვილოცებ. გაიხსენეთ, ღვთის შიშს როგორ გასწავლიდით, როგორ ვზრუნავდი თქვენზე და გივლიდით, როცა ავად იყავით. მამაცური აღმსარებლობით აწ ანუგეშეთ ჩემი სიბერე. ჩემი ღირსება და დიდება ის იქნება, მოწამეთა დედა რომ დამერქმევა. მაშინ გაიხარებს ჩემი სული და

ჩემი ჭეშმარიტი შვილები მაშინ იქნებით, როცა ბოლომდე გამგონენი დარჩებით.

ასე მოძღვრავდა, ეალერსებოდა და კოცნიდა ღედა მოწამეობრივი სიკვდილის ღირსად გამხდარ თავის გოგონებს. მას თვალზე ცრემლი არ მოსდგომია, არც ხმა აჰკანკალებია, დიმილიც ხალისიანი ჰქონდა. მესამე ღღეს კეთილმსახური ოჯახი მეფის წინაშე წარდგა. ბავშვების ზეციური სილამაზით დამტკბარმა ადრიანემ უთხრა მათ: — მებრალებით, ბავშვებო! თქვენ იცით, რა მკაცრად სჯის ჩვენი კანონი ქრისტიანებს. თავყვანი ეცით ქალღმერთ არტემიდას და თქვენს ადრინდელ შეცდომას არა მხოლოდ გაპატიებთ, დაგიახლოვებთ კიდევ, ჩემს შვილებს გიწოდებთ, დიდ პატივში, დიდებასა და სიმდიდრეში იცხოვრებთ; თუკი იურჩებთ, მრავალ ბოროტებას მოგაწევთ და დღეათქვენს სიბერე გაუძწარდება.

გოგონებმა ერთხმად უპასუხეს: — ჩვენ ერთი მამა გვყავს, უფალი და ღმერთი ჩვენი, ჩვენ იმისი შვილები ვართ. ის ზრუნავს ჩვენთვის, შენი მუქარის არ გვეშინია და მზად ვართ ტანჯვის დასათმენად.

გოგონები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. მათ ხმაში ისეთი სიმამაცე და ტანჯვის არად ჩაგდება იგრძნობოდა, რომ მეფე უნებურად აიძვრა. მან სოფიას ბავშვების ასაკი ჰკითხა: — უფროსი თორმეტისაა, საშუალო — ათის, უმცროსი კი — ცხრისა, — უპასუხა სოფიამ.

მეფე ბავშვების ღიღმა სიმამაცემ გააოცა. თავდაპირველად უფროსს მიუბრუნდა, არწმუნებდა, არტემიდასთვის თავყვანი ეცა, მაგრამ პისტიმ მეფის ყველა მოთხოვნა უყოყმანოდ უარყო. მაშინ განრისხებულმა ადრიანემ ოჯახის შიდა ეზოში წაყვანა ბრძანა.

იქ მეფე და მასთან დაახლოებული პირები ხეების ჩრდილში მოთავსდნენ და წამების დასაწყებად ნიშანი მისცეს.

პისტი

მეფემ ბრძანა პისტისთვის შიშველ სხეულზე ხარის ძარღვები ერტყათ. ბავშვს უმოწყალოდ სცემდნენ და თან ეუბნებოდნენ: თაყვანი ეცი ქალღმერთ არტემიდას! პისტი ღუძდა, თუმცა მისი ნაზი სხეული მათრახის დარტყმისაგან ძრწოდა. შემდეგ ჯალათებმა სადგისებით ჩხვლეტა დაუწყეს. ჰოი სასწაული! ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძე გადმოვიდა. აღრიანესთან დაახლოებულმა პირებმა, როცა ასეთი აშკარა სასწაული დაინახეს, სისასტიკისათვის მეფის გაკიცხვა დაიწყეს, მაგრამ მეფემ მათ დრტვინვას ყური არ უგდო. მან ნიშანი მისცა და რკინის გისოსი მოიტანეს, გაახურეს და ამ ცეცხლოვან საწოლზე პისტი დააწვინეს. მას არც ამჯერად დაუკვნესია, მხოლოდ დედას უყურებდა, თითქოს მისგან მოთმინებისათვის შექებას მოელოდა.

მოწამე ორი საათის განმავლობაში იწვა გისოსზე და აუწერელ ტანჯვას განიცდიდა, მისი სხეული არ დაზიანებულა, არ შეცვლილა და უწინდებურად მშვენიერი დარჩა. ეს იყო მეორე სასწაული. აქვე იდგა მღულარე ფისით სავსე უზარმაზარი ჭურჭელი. პისტი ამ აალებულ მასაში ჩაუშვეს. გოგონა ამჯერადაც უვნებელი გადარჩა. მაშინ მეფემ ბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ. პისტიმ განაჩენი მოისმინა და დედას უთხრა: — დედა! ილოცე ჩემთვის, დასასრულს ვუახლოვდები, სულ მალე უფალთან ვიქნები! თავის დებს კი ასე მიმართა: — საყვარელო დებო, იცოდეთ, ჩემი სურვილია, რომ თქვენთვის ბოლომდე მაგალითი ვიყო!

ეს თქვა მოწამემ, დედას და დებს მოეხვია, ჰკოცნიდა მათ, თითქოს განშორება ეძნელებათ, მაგრამ მოვიდა ჯალათი და მისი პატიოსანი თავი მიწაზე ჩამოგორდა. პატარა მოწამე პისტიმ ასე დაასრულა სიცოცხლე.

ელპიდი

უწმინდური მეფე ამ მსხვერპლით ვერ დაკმაყოფილდა. მან ელპიდის თავისთან უხმო და დაყოლიება დაუწყო: ჩემო საყვარელო შვილო, ისმინე ჩემი რჩევა — თაყვანი ეცი ქალღმერთ არტემიდას! შენ იხილე შენი ღის საშინელი ტანჯვა და სიკვდილი, თუკი ყურს არ მიგდებ, შენც იგივე მოგეღის.

ელპიდემ ასე უპასუხა: — მეფეო, ნუთუ მე იმისი და არა ვარ, ვინც შენ აწამე? მე პისტისთან ერთად გავიზარდე, მასთან ერთად ვსწავლობდი, ერთად ვლოცულობდით უფლის მიმართ და მზად ვარ მასთან ერთად მოგკვდე.

მეფემ პატარა მოწამე ჯალათებს გადასცა. ისიც ეზოს შუაგულში მიიყვანეს, სამოსი გახადეს და დაუნდობლად სცემდნენ. დედა ყოველივე ამას უყურებდა, მაგრამ თავისი მღელვარება არც ერთი მოძრაობით არ გაუცია. ის ლოცულობდა.

პირველი წამების შემდეგ გოგონა ხელისკვრით ღუმელში შეაგდეს, საიდანაც ღვთის ძალით უვნებელი გამოვიდა. შემდეგ მწვალებლებმა ის ხეზე დაკიდეს და რკინის კაუჭებით ფხეკა დაუწყეს ისე, რომ მისმა უმწიკვლო სისხლმა მიწა დააღბო, მაგრამ პატარა მოწამე ყველაფერს ითმენდა, მხოლოდ დედას და დას შეჰყურებდა... აღსასრულის წინ მას სახე ანგელოზით გაუსხივოსნდა და ყველამ შეიგრძნო კეთილსურნელება, რომელიც მისგან იფრქვეოდა. მაშინ მეფემ უკანასკნელ საშუალებას მიმართა: ელპიდი ცხელი ფისით სავსე ჭურჭელში ჩას-

ვეს, მაგრამ ჭურჭელი რაღაც უხილავი მიზეზით სანთელივით დადნა და ფისი ეზოში დაიღვარა, რომელმაც გარშემო მყოფთ დამწვრობაც კი მიაყენა. მაშინ მეფემ ელპიდის თავის მოკვეთა მიუსაჯა.

ალაპი

დარჩა უმცროსი გოგონა, ცხრა წლის ალაპი. მეფემ მას კიდევ უფრო დაჟინებით დაუწყო ქრისტეს უარყოფაზე დაყოლიება. ეალერსებოდა, თავის საყვარელ შვილს უწოდებდა, ბრძანა მისთვის ძვირფასი სათამაშოები მოეტანათ, ოღონდაც თაყვანი ეცა ქალღმერთ არტემიდასათვის, მაგრამ პატარა ალაპი მტარვალს თვალს უსწორებდა და ამბობდა: — ვის შეუძლია ღმერთს დამაშოროს? არაფრის მეშინია, მეფევ, არც შენი!..


მოთმინებიდან გამოსულმა ადრიანემ გოგონას ბორბალზე მიბმა და მარილიანი ღვედებით ცემა ბრძანა. როცა ჯალათებმა გოგონა მიაბეს, მას სახსრები ამოსცვივდა და მიწა მოწამის სისხლით მოირწყა. ამის შემდეგ ღუმელი გაახურეს და მეფემ უთხრა: — თაყვანი ეცი არტემიდას, თორემ ცოცხლად დაიწვები!

ალაპიმ ამაზე ისე უპასუხა, როგორც წმინდა დედამ ასწავლა: — დიდ არს ღმერთი ჩემი იესო ქრისტე, მხოლოდ მას ვცემ თაყვანს!

მაშინ მეფემ ღუმელში მისი შეგდება ბრძანა. გოგონა ჯალათებს არ დალოდებია, ისე შევიდა ღუმელში, მაგრამ ცეცხლი არ შეეხო. დედა შვილს ამხნევებდა მზერითა და სიტყვებით: — მესამე რტოვ ჩემო, საყვარელო პაწიავ, ბოლომდე მოითმინე! შენტვის ზეცაში გვირგვინი უკვე იწნება და ზეციური პალატები იღება. მეფემ გოგონასთვის თავის მოკვეთა ბრძანა...

დედამ მოწიწებით მიიღო სამივე სხეული, ძვირფას კიდობანში ჩაასვენა, ზედ ყვავილები მოაბნია და ქალაქგარეთ მამულში დაკრძალა. უჭმელ-უსძელმა სოფიამ საფლავზე სამი დღე-ღამე დაყო. იგი ღმერთს ეკედრებოდა, შვილებთან მალე შეეხვედრებინა.

ღმერთმა შეისმინა დედის ლოცვა: მესამე დღეს სოფია მშვიდად მიიცვალა, მარადიულ ცხოვრებაში გადავიდა, სადაც თავის შვილებს აღარასოდეს განშორდება.





ღირსი გერასიმე

სს. 4 მარტს

მრავალი წლის წინ ცხოვრობდა ერთი ბერი, სახელად გერასიმე. მან მთელი ცხოვრება ლოცვაში, მარხვასა და შრომაში გაატარა და სიცოცხლის ბოლოს დიდ სიწმინდეს მიაღწია. ბერს ებრალებოდა ცხოველები, ადამიანებისადმი მოწყალე იყო, მაგრამ ამქვეყნად ყველაზე მეტად ღმერთი უყვარდა.

ღმერთის ხსოვნა გულში ყოველთვის რომ ჰქონოდა, ღირსმა გერასიმემ პალესტინის იმ შორეულ მიწაზე დასახლება გადაწყვიტა, რომელზეც ოდესღაც უფალმა იესო ქრისტემ თავისი ყოვლადწმიდა ფეხი დადგა. მან დატოვა თავისი მშობლიური ქალაქი მცირე აზიაში და იერუსალიმის შორიანლო, მდინარე იორდანეს გაღმა, უდაბნოში დასახლდა.

დღისით უდაბნო მშრალი და ცხელი იყო, მზეზე გახურებული ქვიშა ოქროსფრად ელავდა, ღამით კი სიგრილე ეშვებოდა და მძინარე დედამიწის თავზე კაშკაშა, მსხვილი ვარსკვლავები ბრწყინავდნენ.

უდაბნო წყნარი და უდაბური იყო. იშვიათად საქონლით დატვირთული აქლემების ქარავანი თუ ჩაივლიდა ან ნადავლს დადევნებული ტურა და ლომი გაირბენდა. გერასიმემ უდაბნოში პატარა სენაკი აიშენა და იქ დღედაღამ შრომობდა, პალმის ტო-

ტებისაგან გასაყიდად კალათებს წნავდა, ღამით კი მარტო, სიჩუმეში ღვთისადმი ლოცულობდა.

მალე იმ მხარეში მისი წმინდა ცხოვრების შესახებ ხმები გავრცელდა. შორიდან სხვა ბერები მოდიოდნენ, რათა მასთან ერთად ეცხოვრათ, ელოცათ და ეშრომათ. ამგვარად, ბერის გარშემო ასამდე მონაზონი შეიკრიბა. გერასიმემ მათთვის მთაზე, უდაბნოს შუაგულში, მდინარე იორდანეს შორიანლო, მონასტერი ააგო. ბერები კალათებს წნავდნენ და იერუსალიმში გასაყიდად მიჰქონდათ. გერასიმემ მათ სახელდარი უყიდა, რომლითაც ხელკასრებით იორდანედან წყალი მოჰქონდათ. მალე მონასტერში ადგილი აღარ დარჩა და ბერებმა გერასიმეს მიბაძვით სენაკების დადგმა შუა უდაბნოში დაიწყეს.

კვირაობით წირვაზე ყველანი ეზიარებოდნენ ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს, ბერის საუბრით ტკებოდნენ და ტრაპეზს იყოფდნენ. ტრაპეზის შემდეგ ერთი კვირის სამყოფ წყალს, ცოტაოდენ პურს იღებდნენ და სარწმუნოებრივი ღვაწლის, შრომისა და ლოცვისათვის თავიანთ სენაკებს უბრუნდებოდნენ. ძმები ცხოვრობდნენ მეგობრულად, სიყვარულით, თანხმობით და ღვთივსათნო ცხოვრებისათვის ბერისაგან მაგალითს იღებდნენ. ბერი კი ღვთის სიყვარულში სულ უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა და ისეთ სიწმინდეს მიაღწია, რომ მისგან არა მხოლოდ ადამიანები სწავლობდნენ მუყაითობას, სიყვარულსა და მოთმინებას, არამედ ცხოველებიც ემორჩილებოდნენ, როგორც ერთ დროს ადამს — ღვთის მიერ შექმნილ სამოთხეში.

ერთხელ გერასიმე იორდანეს უდაბნოში მიდიოდა და დაინახა: მის წინ გახურებულ ქვიშაზე ვეება ლომი გაჭიმული იწვა. დააკვირდა ბერი, მხეცთან ახლოს მივიდა, ის კი არ იძვროდა, ნაღვლიანად უყურებდა გერასიმეს, წინა თათი გაჭირვებით აწია და ბერს გაუწოდა, თითქოსდა რაღაცას ემუდარებო-

და. გერასიმემ ლომის თათი ყურადღებით დაათვალიერა და შენიშნა, რომ დიდი ეკალი შერჭობოდა, თათი გასიებული და დანირქებული ჰქონდა. ბერმა ლომს ჭრილობა გაუსუფთავა, ეკალი ამოაძრო, თათი ტილოს ნაჭრით შეუხვია. ის კი მშვიდად უყურებდა გერასიმეს და, რადგან გრძნობების გამოხატვა სიტყვებით არ შეეძლო, მადლობის ნიშნად ხელებს ულოკავდა. ამის შემდეგ ლომს ბერი აღარ მიუტოვებია, მისი ხელიდან ჭამდა და ერთგული მოწაფესავით უკან დაჰყვებოდა. ირგვლივ ყველას უკვირდა მხეცის მადლიერება.

– დაე, ისიც ჩვენს ძმობაში იყოს, – გადაწყვიტა გერასიმემ, დაე, მანაც ჩვენთან ერთად იტვირთოს მონასტრული მორჩილება.

და ბერმა ლომს ვირის დარაჯობა დაავალა, რომელსაც წყალი დაჰქონდა იორდანედან. როცა ვირი ნაპირზე ძოვდა, ლომს მისთვის უნდა ედარაჯა. ლომი მოთმინებით და მშვიდად ასრულებდა თავის მორჩილებას, მაგრამ ერთხელ, შემთხვევით მას მოშორდა და მზით გათანგულს შორიანლო ჩაეძინა. ამ დროს არაბეთიდან აქლემების ქარავანი მოდიოდა. საქონლის გადამრეკებმა ვირი დაინახეს და წაიყვანეს. თავჩაქინდრული, დამნაშავე ლომი სავანეში მარტო მივიდა.

– ვირი სადღაა? – ჰკითხა ბერმა.

ლომმა თითქოს პატიებას ითხოვსო, კიდევ უფრო ჩაქინდრა თავი. ბერმა იფიქრა, რომ ვირი ლომმა შეჭამა და მკაცრად თქვა:

– რახან ვირი აღარ გვყავს, რასაც ის აკეთებდა, შენ გააკეთებ სავანისთვის.

ამის შემდეგ ხელკასრებს ლომს ჰკიდებდნენ და წყლის მოსატანად იორდანეზე გზავნიდნენ. ლომი მორჩილებით ასრულებდა ამ სამუშაოს და თავის ახალ მორჩილებას უდრტვინველად ასრულებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვირის წამყვანმა არაბმა ვაჭარმა ისევ ჩაიარა საქონლით დატვირთული აქლემების ქარავნით, მათთან ერთად იყო ვირიც. იორდანეს ნაპირზე შემთხვევით ლომი შემოხვდათ, რომელმაც დაინახა თუ არა სახედარი, მაშინვე იცნო და მივარდა. ვაჭარი და მისი თანამგზავრები შიშით სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ლომმა კი ვირს საყელურში პირი ჩაავლო, როგორც ამას ადრე აკეთებდა და ერთმანეთთან მიბმულ აქლემებთან ერთად ბერთან სავანეში მიიყვანა. ლომი ვირის პოვნით გამოწვეულ სიხარულს ხმამაღალი ღრიალითა და ბრდღვინვით გამოხატავდა.

როცა ბერმა დაინახა, როგორ მოჰყავდა ლომს ვირი და დატვირთული აქლემების ქარავანი, ამ სანახაობით გაკვირვებულ ძმებს უთხრა:

— ლომს ამაოდ ვკიცხავდით, გვეგონა, რომ ჩვენი ვირი შეჭამა. ის უდანაშაულოდ დაისაჯა. მხეცი უენოა, მაგრამ ადამიანებს მორჩილების მაგალითს აძლევს.

ამის შემდეგ ბერი გერასიმე და ლომი კიდევ უფრო დაახლოვდნენ. ისე იცხოვრა ლომმა ხუთი წელი, რომ მონასტერს არ მოშორებია.

გერასიმე რომ გარდაიცვალა და ძმებმა მონასტრის ეკლესიის ახლოს დაკრძალეს, ლომი იქ არ იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა და გერასიმეს ძებნა დაუწყო. მონაზვნებმა დაინახეს ლომი და უთხრეს:

— აღარ არის ჩვენი ბერი, უფალთან წავიდა!

ბერებმა ლომს საჭმელი მისცეს, რათა ამით მაინც ენუგეშებინათ. ლომმა საჭმელი არ შეჭამა, მხოლოდ აქეთ-იქით იყურებოდა და დარდიანად ბრდღვინავდა. ბერები მას ზურგზე ეფერებოდნენ და იმეორებდნენ:

— აღარ გვყავს ბერი, ობლად დაგვტოვა.


ლომი სულ უფრო ნადვლიანდებოდა, სულ უფრო ხმამაღლა ღრიალებდა, სწორედ რომ ტიროდა. მაშინ ძმობიდან უფროს-მა უთხრა:

— შენ არ გჯერა, რომ ბერი ჩვენგან წავიდა. წამოდი ჩვენ-თან ერთად და იმ ადგილს გაჩვენებთ, სადაც ის ახლა წევს.

მივიდნენ ლომთან ერთად საფლავთან. ბერებმა მუხლი მო-იდრიკეს და ატირდნენ, რადგან გერასიმე ძლიერ უყვარდათ და მისი სიკვდილის გამო წუხდნენ. ლომმა მათი ტირილი გაი-გონა და გაბმით დაიღრიალა. შემდეგ საფლავზე დაწვა, უკა-ნასკნელი ბრდღვინვა ამოუშვა და მოკვდა.

ბერებს ამის გამო გული დასწყდათ და აღარ იცოდნენ, რა უფრო მეტად გაჰკვირვებოდათ: ბერის მართალი ცხოვრება და მისი გარდაცვალება, თუ მხეცის კეთილშობილება და ერთგუ-ლება. ლომმა თავისუფალი ცხოვრება უდელზე გაცვალა, უდაბ-ნოს სივრცეები — ბერის საძმოზე, მისთვის ცხოვრობდა და შრო-მობდა, თავისი სიცოცხლეს მის კუბოსთან მიიტანა. აღიღეს მო-ნაზვნებმა ღმერთი, რომელმაც მათ თავისი სიყვარულის საკ-ვირველი საიდუმლო გაუძხილა, სიყვარულისა, რომელშიც ადა-მიანი, მხეცი და მთელი ბუნება ერთიან კავშირშია.





დიდმოწამე ევსტათი-კლაკიდა

სს. 20 სექტემბერს

რომში, პანთეონთან ახლოს, პატარა მოედანია. ამ მოედნის ერთ-ერთი მხარე ეკლესიას უყურებს. როცა მასთან პანთეონიდან მიდიხართ, მოედნამდე არმისულები, ეკლესიის მთავარ შესასვლელს დაინახავთ. მის თავს ირმის თავი ამშვენებს, რომლის რქებს შორისაც ჯვარია აღმართული. ეს არის წმინდა ევსტათის ეკლესია; აქ განისვენებენ წმინდა მოწამეების – ევსტათის, მისი ცოლის – თეოპისტიასა და მათი ორი ვაჟიშვილის წმინდა ნაწილები.

წმინდა ევსტათი იმპერატორ ტრაიანეს დროს ცხოვრობდა და საუკეთესო მხედართმთავარი იყო. იმპერიის მტრებს მხოლოდ მისი სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა. ომებში მამაცი და დაუმარცხებელი ევსტათი ამასთანავე მეტად კეთი-

ლი გულის ადამიანი იყო და ცოლთან ერთად ღარიბებისათვის დიდ მოწყალებას გასცემდა. მთელი მათი ოჯახი მაშინდელ უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნოდა, მდიდრები იყვნენ, იმპერატორთან დაახლოებულები, სარწმუნოებით – წარმართები.

ერთხელ პლაკიდა* სანადიროდ წავიდა. ირმების ჯოგი დაინახა და წინ გაიჭრა. თავისი სწრაფი ბეღაურით მალე თავის მსახურებს გადაუსწრო და ირმებს მარტო დაეღვენა. უცებ დაინახა: ერთი დიდი და ლამაზი ქორბუღა ირემი ჯოგს გამოეყო და სხვა მიმართულებით გაიქცა. პლაკიდა დაეღვენა. როგორ კარგ ცხენზე იყო იგი ამხედრებული, მაგრამ ირემი უფრო სწრაფად გარბოდა და მალე თვალს მიეფარა. პლაკიდამ ცხენი შეაჩერა და ჩაფიქრდა: რა ქნას? გააგრძელოს დევნა, თუ უკან გაბრუნდეს? და მსახურების შესაკრებად ბუკს ჰკრა. უცებ დაინახა – მაღალ კლდეზე, პირდაპირ მის წინ, ირემი დგას, რქებს შორის კი ჯვარი უბრწყინავს მასზე გაკრული უფალ იესო ქრისტეთი. პლაკიდას ხმა ესმის: – რად მღევი?

პლაკიდა სასწაულებრივი ხილვისაგან ათრთოლდა და ცხენიდან მიწაზე ჩამოვარდა. როცა გონს მოვიდა, იკითხა:

– ვინ ხარ, რომ მესაუბრები? – და პასუხი მოესმა:

– მე ვარ იესო, სოფლის მაცხოვარი. შენი კეთილი საქმეები და მოწყალებანი ჩემამდე ამოვიდნენ. არ მინდა, სიმართლით მცხოვრები კაცი წარწყმდეს. ამისათვის გამოგეცხადე ამ ცხოველზე, რათა ჩემი მონა გაგხადო და საუკუნო ცხონება მოგანიჭო.

– მაგრამ რაღა უნდა გავაკეთო? – ჰკითხა პლაკიდამ. და მოისმინა პასუხი:

– ქრისტეიან მღვდელს დაუძახე და მისგან მამის, ძისა და სული წმიდის სახელით მოინათლე; ცხონების გზაზე ის დაგაყენებს.

სახლში დაბრუნებული პლაკიდა ცოლთან განმარტოვდა და ყველაფერი უამბო რაც ნახა და მოისმინა, მეტი არავისთვის უთქვამს ხილვის შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგეს, სად ცხოვრობდა ქრისტიანი მღვდელი, ღამით მასთან მივიდნენ და სთხოვეს მოენათლა ისინი. მღვდელმა ასწავლა, როგორ უნდა სწამდეთ ღმერთი, როგორ იცხოვრონ მისი მცნებებით და ამის შემდეგ პლაკიდა, მისი ცოლი და ორი შვილი მონათლა. ისინი ქრისტეს წმინდა საიდუმლოებს ეზიარნენ და სახლში დიდი სიხარულით დაბრუნდნენ. თუკი ადრე ღარიბები ებრალებოდათ და დიდ მოწყალებას გასცემდნენ, ახლა მზად იყვნენ ყოველი მათხოვარი თავიანთ სახლში შეეყვანათ, მაგიდასთან დაესვათ, მოფერებოდნენ და რითაც შეეძლოთ ენუგეშებინათ. მარხვა და ლოცვა მათი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. მათ სახლში კარგა ხანს მიდიოდა მშვიდი და სიხარულით სავსე ცხოვრება.

მწუხარებაც ეწვიათ: მონები და მსახურები ავად უხდებოდათ, ნახირი ეკარგებოდათ, რამდენჯერმე გაქურდეს. სულ მალე მათთან გაჭირვებამ დაისადგურა. ევსტათი არ ჩიოდა. მრავალტანჯული იობის მსგავსად ამბობდა: „უფალმანცა მომცა, უფალმანცა მიმიღო: იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ!“ ერთისა ეშინოდა, რომ მისი ცოლი ვერ გადაიტანდა ამ გაჭირვებას და ასეთი სიტყვებით ამხნევებდა:

— ხომ გახსოვს, თეოპისტია, რა ბედნიერად ვცხოვრობდით, როცა წარმართები ვიყავით. ახლა კი, როცა ქრისტიანები გავხდით, გაჭირვებას თავს ვერ ვაღწევთ. რა ვქნათ? ნუთუ ამის გამო განუღვებით ქრისტეს, რომელმაც ჩვენთვის სისხლი დათხნია? არა, ნუ მოვიწყენთ! უფალს გაჭირვებით უნდა ჩვენი გამოცდა. მან იცის ჩვენი ძალები და იმაზე მეტ გასაჭირს არ გამოგვიგზავნის, ვიდრე ატანა შეგვიძლია.

თეოპისტია ნამდვილი რომაელი იყო და ქმარს ასე უპასუხა:

– ყოველთვის შენი ერთგული ცოლი ვიყავი. უწინ ბედნიერებას ვიყოფდით, ახლა სიმწარე გავიყოთ და ღვთის მოწყალეობის იმედი გვქონდეს: ის მოწყალეა და შემბრალებელი.

ძველებურად ცხოვრება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. სტუმრად წასვლა და მათი მიღება ძნელი გახდა, რადგან გაღარიბდნენ. სტუმრების მიღება კიდევ იმიტომ გახდა ძნელი, რომ ქრისტიანები გახდნენ. წარმართებთან მეგობრობას, იმათ ნადიმებში მონაწილეობას პლაკიდას ოჯახს ქრისტიანული სინდისი უკრძალავდა. ისინი ამას ღვთის ღალატად თვლიდნენ. და დაიწყეს ფიქრი რომიდან სად წასულიყვნენ. ყველაზე იოლი ერთ-ერთ მამულში დასახლება და უბრალო სოფლური, შრომითი ცხოვრება იყო, მაგრამ ამაზე ფიქრს თავი ანებეს, რადგან წლის ყველაზე ცხელ პერიოდში, როცა სიცხისა და დახუთულობისაგან ცხოვრება აუტანელი ხდებოდა, რომის არისტოკრატიული ოჯახები თავიანთ ქალაქკარე მამულებში მიდიოდნენ და ხმაურიან გართობას იქ აგრძელებდნენ.

ევსტათიმ და თეობისტიამ გადაწყვიტეს საერთოდ დაეტოვებინათ იტალია. ისინი გემზე დასხდნენ და ეგვიპტისაკენ გაცურეს. როცა აფრიკის ნაპირებს მიუახლოვდნენ, გემის პატრონმა განაცხადა, რომ ოჯახის გადაყვანისათვის არ უნდა საფასური, ის თეობისტიას მონად დაიტოვებს. ის ყაჩაღი იყო, თეობისტია კი – მეტად ლამაზი და ისიც მისი სილამაზით მოიხიბლა. მახვილის მუქარით მან ევსტათის ხომალდიდან ჩასვლა აიძულა. საცოდავი სანახაობა იყო: ევსტათი შვილებთან ერთად ნაპირზე მოთქვამდა, თეობისტია მათკენ ხელს სასოწარკვეთილი იწვდიდა და საშველად ეძახდა... მაგრამ დაუბერა ზურგის ქარმა, გემი ნაპირს მოსცილდა და უბედური ოჯახი მრავალი წლით გაიყო. მათ არ იცოდნენ, ოდესმე კიდევ თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ევსტათი დიდხანს იდგა ნაპირთან ცრემლით სავსე თვალებით და განუზომლად დარდიანი გულით. ორი პაწია ეკვროდა. რა უნდა ექნა? სად წასულიყო? ვისთვის შეეჩვილა თავისი მწარე ხვედრი? უკან ზღვა იყო, წინ — უცხო, უცნობი მიწა. არცერთი სულიერი არ ჩანდა, რომ ახლომანლო ადამიანის საცხოვრებელზე მიენიშნებინა.

თანდათან ბინდებოდა. ჩრდილები უფრო და უფრო გრძელდებოდნენ, მალე ჩაბნელებულ ცაზე ასობით ვარსკვლავი აკიაფდა. ევსტათის საღმე გამოქვაბული მაინც უნდა ეპოვნა, რომ ღამით ღია ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ. სანაპირო კლდეებში ბევრი გამოქვაბული იყო და საწყალმა მგზავრებმა ერთ-ერთს თავი შეაფარეს.

დილით გზას დაადგნენ. როცა უმცროსი ბიჭი იღლებოდა, მამა მხრებზე ისვამდა. ნახევარი დღე ასე, უგზოუკვლოდ მიდიოდნენ და ნაპირს სულ უფრო შორდებოდნენ. უცებ პაწიამ იყვირა, რომ ხედავს მდინარეს და ერთი საათის შემდეგ ისინი ფართო მდინარეს მიადგნენ, მაგრამ არც ხიდი ჩანდა, არც ბორანი, მხოლოდ ჭავლით შეიძლებოდა დაესკვნათ, რომ მდინარე ღრმა არ იყო. ევსტათიმ უმცროსი ბავშვი ხელში აიყვანა და მდინარის გადაცურვა დაიწყო. მდინარე რომ გადალახა, მეორე ბავშვისთვის უკან გამობრუნდა, მაგრამ შუა მდინარეში განწირული ყვირილი მოესმა. ეს ლომმა სტაცა უფროს ბავშვს პირი და უდაბნოსაკენ გააქანა. უბედური მამა უკან დაბრუნდა, მაგრამ ნაპირზე არ იყო გამოსული, რომ დაინახა მგელმა უმცროსი ბიჭი როგორ წაიყვანა ტყეში. ასე რომ, ორი დღის განმავლობაში ევსტათიმ ცოლიც დაკარგა და შვილებიც. ის მუხლებზე დაეშვა, ხელები აღმართა ზეცისკენ და ღმერთს შეჰლაღადა: „ღმერთო დიდო და ძლიერო! ამ მძიმე წუთს შენი შეწვევის გარეშე ნუ დამტოვებ, მიჩვენე საით წავიდე, დაგვიცავი,

გვიხსენი და შეგვიწყალებ ჩვენ ყველანი შენი მადლით!“ და თითქოს ამ ვედრების პასუხად ევსტათის სულში აჟღერდა ფსალმუნის სიტყვები: „*მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ*“ (ფსალმ. 54,22).

მაღე ევსტათი ერთ დასახლებაში მივიდა. ღარიბ მოგზაურში ვერავინ იცნო სახელგანთქმული რომაელი მხედართმთავარი, მაგრამ ყველანი მოხარულნი იყვნენ, რომ მოძებნეს კაცი, რომელიც თანახმა იყო მცირე საფასურად მათი მინდვრებისათვის ედარაჯა. დიდ სიღარიბეში, მორჩილებასა და შრომაში ევსტათიმ 15 წელი გაატარა. მისი ნუგეში ღვთისადმი მხურვალე ლოცვა და მისი წყალობის იმედი იყო.

რომში დიდი ხანია მიავიწყდათ, ვინ იყო პლაკიდა და რომ არა ბარბაროსებთან ომი, ის არავის გაახსენდებოდა. რომის ლეგიონებმა მარცხი ერთმანეთის მიყოლებით რომ განიცადეს და იტალიის საზღვრებამდეც კი დაიხიეს, უნებურად მოაგონდათ მხედართმთავარი პლაკიდა და შეწუხდნენ, იქ რომ არ იყო. თავად იმპერატორი ამბობდა: პლაკიდა რომ ყოფილიყო, ვინ გაბედავდა ჩვენზე თავდასხმას? უნდა მოვძებნოთ და ვუთხრათ, რომ სამშობლო გასაჭირშია. ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს, დიდი პატივით დავაჯილდოვებ. და აი, პლაკიდას ძველი მეგობრებიდან ორმა მეომარმა ითავა მისი მოძებნა და რომში ჩამოსვლაზე დაყოლიება. დიდხანს იარეს, სადაც არ იკითხეს, ყველგან უპასუხეს, რომ ასეთი კაცის შესახებ არაფერი სმენოდათ.

ბოლოს იმპერატორის წარგზავნილები იმ სოფელში მივიდნენ, სადაც ევსტათი ცხოვრობდა. თავიდან ის მინდორში შენიშნეს და, რალა თქმა უნდა, ვერ იცნეს. ევსტათიმ დაინახა თუ არა დაღლილი მგზავრები, მაშინვე თავისი მეგობრები იცნო, თავისთან მიიპატიჟა და დასვენება შესთავაზა. სტუმრებმა ტრაპეზზე ევსტათის გამოკითხვა დაუწყეს, ხომ არ სმენოდა რაიმე

რომაელ მხედართმთავარ პლაკიდას შესახებ, რომელიც მრავალი წლის წინ რომიდან გაქრა და არავინ იცოდა საით წავიდა.

— ის რაში გჭირდებათ? — იკითხა ევსტათიმ.

— ჩვენ მისი მეგობრები ვართ, — უპასუხეს მათ, — იმპერატორმა მისი მოძებნა დაგვაავალა, რათა ლეგიონებს კვლავ ჩაუდგეს სათავეში და მტერი იტალიის საზღვრებიდან განდევნოს.

ევსტათიმ არაფერი უპასუხა, მაგრამ როცა მეგობრები დაინახა და შეიტყო, რომ სამშობლო განსაცდელშია, მღელვარებისაგან თავი ვეღარ შეიკავა, შებრუნდა და მალულად ცრემლი მოიწმინდა, ხოლო როცა მცირე ხნით გარეთ გავიდა, სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და თქვეს: „როგორ ჰგავს ეს კაცი პლაკიდას!“

მეგობრებმა იცოდნენ, რომ პლაკიდას კისერზე ჭრილობის ნაწიბური ჰქონდა. მათ მოილაპარაკეს, როცა სახლის პატრონი შემოვიდოდა, აუცილებლად ენახათ, ჰქონდა მას თუ არა ასეთი ნაწიბური. როგორი ბედნიერები იყვნენ მეგობრები, როცა შემოსულ პლაკიდას, რომელსაც სტუმრებისათვის საჭმელი მოჰქონდა, გაშიშვლებულ კისერზე დიდი ხნის წინ შეხორცებული ჭრილობის კვალი დაუნახეს. ისინი გულში ჩაეკრნენ მასპინძელს და ცრემლმორეულნი სიხარულით ეუბნებოდნენ:

— შენ ხარ პლაკიდა, რომელსაც ვეძებთ! შენ ხარ რომის ლეგიონთა ბელადი. რომში მოგელიან, რათა გამარჯვება გამარჯვებაზე მოგვიტანო.

— დიახ, ჩემო მეგობრებო, — თქვა ევსტათიმ, — მე ვარ პლაკიდა, მე ვარ ის, ვინც ოდესღაც რომის დიდება იყო. ოღონდ ახლა, უსახელოს, სიღარიბეში მხედავთ. უფლისადმი ჩემი სიყვარულის გამო ყველაფერი მივატოვე, დაკვარევი ცოლი, შვი-

ლები და საკუთარი შრომით ვცხოვრობ, როგორც უკანასკნელი მოსახლე. თუკი უფალი უწინდელ ღირსებებსა და პატივში ჩემს აღზევებას ინებებს, წინააღმდეგობას არ გაუწევ. მე მზად ვარ ჩემს საყვარელ ჯარს დავუბრუნდე.

ევსტათი რომში იმპერატორმა ძალიან კარგად მიიღო. პლაკიდა ჩაუდგა თუ არა ლეგიონებს სათავეში, ისეთი მარცხი აგემა ბარბაროსებს, რომ დიდი ხნით დაუკარგა იმპერიის საზღვრებში შემოჭრის სურვილი. რომის ჯარები სახლში ბრუნდებოდნენ. ერთ პოლკში ორი მეომარი იყო. ისინი ერთმანეთთან ძლიერ მეგობრობდნენ. ერთ ადგილას, ერთი ღარიბი ქალის ბაღის ახლოს, კარავი გაშალეს და საუბარი გააბეს.

— ვინ არის მამაშენი? — ჰკითხა ერთმა მეორეს. იმან უპასუხა:

— მანსოვს, რომში ვცხოვრობდით და მდიდრები ვიყავით. მე უმცროსი ძმა მყავდა. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ ჩვენმა ოჯახმა რომი დატოვა და გემით აფრიკაში გაემგზავრა. როცა ნაპირზე ჩამოვედით, დედა ჩვენთან აღარ იყო. მანსოვს, რომ ვტიროდით, მაგრამ გემზე რისთვის დარჩა, არ ვიცი. შემდეგ ქვეყნის სიღრმეში შევედით და რაღაც მდინარეს მივაღეჭით. მამას სანამ უმცროსი ძმა გადაჰყავდა, მე ლომმა დამიჭირა და უდაბნოში წამიყვანა, მაგრამ მონადირეებმა ლომი მოკლეს და გადამარჩინეს. ამის გაგონებაზე ამხანაგი წამოხტა და კისერზე ჩამოეკიდა.

— შენ ჩემი ძმა ხარ! რასაც ჰყვები ყველაფერი მანსოვს, ვხედავდი, როგორ დაგიჭირა ლომმა. მე კი მაშინვე მგელმა წამიყვანა, მაგრამ მწყემსებმა გადამარჩინეს და მათ სოფელში გავიზარდე.

ქალმა, რომელიც იქვე მუშაობდა, მათ საუბარს მოჰკრა ყური. ეს თეოპისტია იყო. მისი გული სიხარულით თრთოდა. ამ

ორ მეომარში მან თავისი შვილები იცნო და კინაღამ მათ კარავში შევარდა იმის სათქმელად, რომ მათი დედაა, მაგრამ კეთილგონიერებამ უკარნახა, რომ ცოტა ხნით მოცდა ჯობდა. საეჭვო იყო ღარიბ ქალში, რომელიც ბაღში მიწას ჩიჩქნიდა, მათ თავიანთი დედა ეცნოთ.

ქალმა გაიფიქრა: — იქნებ სჯობს მხედართმთავართან წავიდე და ჯართან ერთად რომში გაყოლა ვთხოვო? იქ უფრო იოლი იქნება ჩემი დედობის დამტკიცება. მხედართმთავართან მისული თეოპისტია გაოგნდა, როცა საკუთარი ქმარი იცნო. მიწამდე სცა თაყვანი და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ნუ განმირისხდები, თუკი ერთ, ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვან რამეს ვთხოვ! — კარგი, თქვი, — უთხრა მან. და ქალმაც დაიწყო:

— შენ პლაკიდა ხომ არა ხარ, წმინდა ნათლისღებით ევსტათიდ წოდებული? შენ ხომ არ გიხილავს ქრისტე ირმის რქებს შორის? შენ ხომ არ მიგიტოვებია რომი ცოლ-შვილთან ერთად ღვთის გულისათვის? ეს შენ ხომ არ წაგართვა ცოლი გემზე ბარბაროსმა? ეს მე ვარ, შენი ცოლი; ღმერთია მოწამე, ღვთის მაღლით ძალადობას თავი დავაღწიე, რადგან ბარბაროსი იმ დღესვე დაიღუპა, მე კი უმწიკვლო დავრჩი და ახლა სიღარიბეში დავხეხეტი.

ევსტათიმ იცნო ცოლი, მოეხვია და ორივენი სიხარულით ატირდნენ. თეოპისტიამ მაშინვე უამბო შვილების შესახებ. ახალგაზრდა მეომრები ევსტათისთან გამოიძახეს... ამას მოჰყვა მშობლების ცრემლები, გაკვირება და აუწერელი სიხარული ახალგაზრდა მეომრებისა, რომლებიც სახელგანთქმული მხედართმთავრის შვილები აღმოჩნდნენ — შეუძლებელი იყო ამ ოჯახური შეხვედრის გადმოცემა.

ასეა ბუნებაშიც: ხანგრძლივი სიცივისა და უამინდობის შემდეგ მზე მძიმე ღრუბლებს გაფანტავს, ცაზე აკიაფდება და მიწაზეც ყველას გაათბობს. ევსტათის ოჯახშიც ასევე, ამდენი წლის განშორებისა და მძიმე ცხოვრების შემდეგ კვლავ სიხარული გამეფდა.

რომაული ლეგიონები ტრიუმფით დაბრუნდნენ რომში. ევსტათის უმაღლესი პატივი მიაგეს. რომის კარიბჭესთან თავად იმპერატორი შეეგება მას და თავზე გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი დაადგა (მაგრამ ეს იყო ახალი იმპერატორი, რომელიც ის-ის იყო გამეფდა). მეორე დღეს გამარჯვების აღსანიშნად ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვა დაინიშნა. ევსტათიც მოვიდა თავისი ამალით, მაგრამ საკერპოში არ შევიდა. იმპერატორს მოახსენეს. მან ბრძანა ეკითხათ მისთვის, რატომ არ სურდა მადლობა გადაეხადა ღმერთებისთვის გამარჯვებისა და ცოლ-შვილის დაბრუნებისათვის.

— მე ქრისტიანი ვარ, ერთ ღმერთს — იესო ქრისტეს ვაღიარებ და მას ვმადლობ ყველა წყალობისათვის, — უპასუხა ევსტათიმ. მაშინ მას უბრძანეს ყველა ჯილდო მოეხსნა და ცოლ-შვილთან ერთად იმპერატორთან გამოცხადებულიყო. იმპერატორი არწმუნებდა მათ დამორჩილებოდნენ და თაყვანი ეცათ ღმერთებისათვის, მაგრამ ისინი უდრეკნი იყვნენ.

— ჩვენ ქრისტიანები ვართ, — ამბობდნენ ისინი, — არ შეგვიძლია უსულო კერპებს ვცეთ თაყვანი.

— მაშინ სასტიკი, უღირსი სიკვდილით მოკვდებით, — თქვა იმპერატორმა და მათ მხეცებისაგან დაგლეჯა მიუსაჯა.

წმინდა ევსტათი ცოლითა და ვაჟებით სასიკვდილოდ ისე გაემართა, როგორც ნადიმზე. ისინი ცირკში მიიყვანეს და შუაგულ არენაზე დააყენეს. გალიიდან მშიერი მხეცები გამოუშვეს. მაყურებლებმა შეჰყვირეს! ყველას ეგონა მხეცები ტუსა-

ლებს მისცვივდებოდნენ და დაგლეჯდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული: მხეცებმა მათ ხელები და ფეხები აულოკეს და არაფერი ავნეს. მაგრამ იმპერატორმა ვერ გულისხმაცო და შესძახა:


– ხვალ მათ ცხელ აბანოს მოვუმზადებთ.

წმინდა ოჯახი საპყრობილეში ჩასვეს, დილით კი გახურებულ ღუმელში შეყარეს. იქიდან დიდხანს ისმოდა ჩუმი გალობა, ბოლოს ყველაფერი მიჩუმდა. ცეცხლი ჩაქრა. სამი დღის შემდეგ, როცა ღუმელს თავი მოხადეს, ფერფლისა და ძვლების ნაცვლად მოწამეების უხრწნელი ნაწილები დაინახეს. სახეები ცოცხლებივით ჰქონდათ და ისეთი საოცარი სილამაზით ბრწყინავდნენ, რომ მთელმა ხალხმა შესძახა: „დიდ არს ქრისტიანთა ღმერთი!“

ქრისტიანებმა აიღეს წმინდა მოწამეთა სხეულები, პატივით დაკრძალეს და აღიდებდნენ ღმერთს, რომელიც „საკვირველ არს წმიდათა შორის მისთა“ (ფსალმ. 67,35).

ეს ამბავი ქრისტეშობიდან დაახლოებით 118-ე წელს მოხდა.





დიდმოწამე ეკატერინე

ხს. 24 ნომბერს

*„პატიოსან არს წინაშე უფლისა
სიკუდილი წმიდათა მისთა“*

ფსალ. 115,6.

მრავალი ასეული წლის წინ ქალაქ ალექსანდრიაში (ეგვიპტეში) ცხოვრობდა ქალწული, სახელად ეკატერინე. ის იყო სამეფო წარმომავლობის წარჩინებული მშობლების ერთადერთი ქალიშვილი. მშობლებმა მას იმ დროისათვის ხელმისაწვდომი ყველა მეცნიერება შეასწავლეს. იგი არაჩვეულებრივად ლამაზი, ჭკვიანი და განათლებული გაიზარდა. მისი სახელი ალექსანდრიის საზღვრებს გასცდა. ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ მდიდარი, ჭკვიანი და ლამაზი ჭაბუკები მასზე დაქორწინების სურვილით, მაგრამ ეკატერინე მეტად ამაყი იყო და ამბობდა, რომ ცოლად მხოლოდ ისეთ სასიძოს გაჰყვებოდა, რომელიც კეთილშობილებით, სიმდიდრითა და გონებით მისი ტოლი იქნებოდა!

ასეთი ადამიანი არ ჩანდა.

ალექსანდრიასთან ახლოს ერთი მეუღაბნოე ბერი ცხოვრობდა, რომელიც მთელ დღეებს ლოცვასა და ღმერთზე ფიქრში

ატარებდა. ეს იყო ნათელი გონების მართალი ადამიანი. მას მრავალი ადამიანი ეკითხებოდა რჩევას და ცხოვრების მძიმე პერიოდებში დახმარებას სთხოვდა. მასთან ეკატერინეს დედაც დადიოდა. ის ფარული ქრისტიანი იყო, მაშინ როცა ალექსანდრის მოსახლეობის დიდი ნაწილი წარმართობას მისდევდა. დედას აზრად მოუვიდა, შვილი მეუღაბნოესთან წაეყვანა. მას ძალზე სწყინდა ეკატერინეს საქციელი და არ იცოდა, რა ექნა. მეუღაბნოე დაელაპარაკა ეკატერინეს და დაინახა, რომ ნამდვილად მშვენიერიც იყო და ჭკვიანიც. მან გადაწყვიტა იგი ჭეშმარიტი ღვთისაკენ მოექცია. იცოდა, რომ ეკატერინე ძალზე ამაყი იყო და უთხრა:

– შენ ნამდვილად მშვენიერი ხარ და გონებაც ნათელი და ღრმა გაქვს; შენი სიმდიდრის შესახებაც მსმენია, მაგრამ მე ვიცი ერთი საოცარი ჭაბუკი, რომელიც ყველაფერში აღგემატება: მისი სილამაზე მზის ბრწყინვალეობას ჩრდილავს, მისი სიბრძნე მთელ სამყაროს მართავს, ისეთი მდიდარია, რომ თავის სიმდიდრეს ყოველთვის გასცემს და არ ღარიბდება; გამოუთქმელია მისი კეთილშობილება და მას ვერავინ შეედრება! ამის გარდა კიდევ ისეთი ღირსებები აქვს, რომელთა გამოხატვაც შეუძლებელია!

ეკატერინე მეუღაბნოეს დიდი ყურადღებით უსმენდა. როცა მან სათქმელი დაასრულა, ჰკითხა: „ვინ არის ეს საოცარი ჭაბუკი და შემიძლია თუ არა მისი ნახვა?“ ბერმა მისცა ხატი, რომელზეც გამოსახული იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყრმით და უთხრა: აქ იმ ჭაბუკის დედაა გამოსახული, ვიზედაც მე გაუწყე. ეს ხატი სახლში წაიღე, მთელი ღამე ილოცე მის წინაშე, ევედრე, რომ განახოს თავისი შვილი და თუკი რწმენით ილოცებ, შენი სურვილი ასრულდება.

ეკატერინე ისე მოიქცა, როგორც ბერმა დაარიგა. ლოცვის დროს, დაქანცულს ჩაეძინა. ძილში ღვთისმშობელი ნახა ყრმით. ყრმისაგან მზის სხივების მსგავსი ნათება მოდიოდა. მაგრამ ის პირს იბრუნებდა და ეკატერინეს შეხედვა არ სურდა. დედა ღვთისა არწმუნებდა ძეს შეხედლა ეკატერინესთვის და მის სილამაზესა და გონებას აქებდა. ის კი პასუხობდა, რომ გოგონა მახინჯი და ღარიბია და მისი დანახვა არ სურს. წმინდა ეკატერინეს ცრემლიანს გამოელვვიდა და ბერთან წავიდა, ფეხებში ჩაუვარდა და ევედრებოდა მისთვის სიზმარი აეხსნა. ბერმა თქვა, რომ ქრისტეს არ სურს ამაყების ცნობა, რომ მას მშვიდნი და თავმდაბალნი უყვარს. ბერმა მას დაანახა ქრისტიანული სწავლების სილამაზე და სიხარული, რომელსაც უფალი მის მოყვარულთ აძლევს. ეკატერინემ მხურვალედ იწამა ღმერთი. წმინდა ნათლობით განათლებული სახლში დაბრუნდა და მხურვალე ლოცვა დაიწყო. დაღლილს ჩაეძინა. და აი, ისევ ღვთისმშობელი ყრმით ხელში იხილა. გაბრწყინებული და გახარებული ქრისტე მისკენ მიბრუნდა და თქვა:

— ახლა ის მშვენიერი, მდიდარი და ბრძენია. და ეკატერინეს მშვენიერი ბეჭედი მისცა.

ეკატერინეს სულში უჩვეულო სიხარულით გაელვვიდა, ხელზე ბეჭედი დაინახა და მიხვდა, რომ ეს ჩვეულებრივი სიზმარი არ იყო. მას შემდეგ იგი მიწიერზე აღარ ფიქრობდა და აღსავსე იყო ქრისტეს სიყვარულით.

ამ დროისათვის ალექსანდრიაში ჩამოვიდა მეფე, ქრისტიანთა ბოროტი მღვანელი. მან ხალხს უბრძანა ტაძარში მისულიყვნენ და კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. ეკატერინეც მივიდა. ის ყოველგვარი შიშის გარეშე მივიდა მეფესთან და უთხრა: — როგორ არ გრცხვენია ამ საძაგელი კერპებისათვის პატივის მიგება, როცა არის ერთი ჭეშმარიტი ღმერთი!

მეფე მისმა სილამაზემ და გამბედაობამ გააოგნა. ჰკითხა, ვინ იყო და საიდან. ქალწულმა უპასუხა:

— მე ეკატერინე მქვია. იმ მთავრის შვილი ვარ, შენამდე რომ მეფობდა. მთელი ადამიანური სიბრძნე შევისწავლე, მიწიერ სწავლებათა ამოებას მივხვდი და ქრისტე ვირწმუნე.

მეფეს მისი სიტყვები გაუკვირდა და უპასუხა: მეფეს არ შეშვენის ქალთან კამათში ჩაბმა. მე მოვუხმობ განსწავლულ ბრძენკაცებს და ისინი დაგიმტკიცებენ, რომ მართალი არა ხარ. ასეც მოიქცა. ალექსანდრიაში 50 ყველაზე განსწავლული ბრძენი ჩამოვიდა და მათი კამათის მოსასმენად ბევრი ხალხი შეიკრიბა.

ეკატერინეს ბრძნულ და ნათელ პასუხებს ყველანი გაკვირვებულნი უსმენდნენ. ბრძენკაცები კამათში დამარცხდნენ, მისი სიმართლე აღიარეს და ქრისტიანობაზე მოიქცნენ. მეფე საშინლად განრისხდა, ბრძანა ეკატერინე ციხეში ჩაესვათ და ეწამებინათ. ბრძენნი კი სიკვდილით დაესაჯათ. მან ეკატერინესთან მაცნე გაგზავნა და შეუთვალა, რომ თუ ქრისტეს უარყოფს და მას ცოლად გაჰყვება, შეიწყალებს და დიდ ქონებას უბოძებს. ეკატერინე ამან არ აცდუნა და განუწყვეტლივ უფლის მიმართ ლოცულობდა. მან პატიმრობაში დიდხანს დაჰყო, მაგრამ სასწაულებრივი ხილვები ამხნევებდა. ერთხელ ანგელოზებით გარს შემოხვეული ქრისტე იხილა, რომელმაც უთხრა: „ნუ გეშინია, მუდამ შენთან ვარ! შენი მოთმინებით მრავალს მოაქცევ ჩემსკენ!“

და მართლაც, ყველა მეომარი, რომელიც ეკატერინეს დარაჯობდა, ქრისტიანობაზე მოექცა. ის მათ ეუბნებოდა, რომ ვერანაირი სიტყვა ვერ გამოხატავს იმ სიხარულს, რომელსაც ქრისტე მის მოყვარულთ ანიჭებს.

ბოლოს ეკატერინე საწამებლად გამოიყვანეს, მაგრამ წამების იარაღი უეცრად შეიმუსრა და იგი უვნებელი დარჩა. მეფე

ყველაზე მეტად განრისხდა, როცა დედოფალი, რომელმაც ეკატერინეს მოუსმინა, ქრისტიანი გახდა. მაშინ მეფემ ქალწულის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. როცა იგი დასასჯელად მიჰყავდათ, ხალხი ტირილით მისდევდა. ის კი მათ ანუგეშებდა და ამბობდა:


– ნუ სტირით! ჩემთვის სიხარულია ის, რომ ქრისტესთან მივდივარ და სამუდამოდ მასთან დავრჩები.

სიკვდილის წინ ეკატერინე ასე ლოცულობდა: „გმადლობ შენ, ღმერთო, რომ მოთმინება განმიმტკიცე და მიჩვენე გზა საუკუნო ცხოვრებისა“.

ასე რომ, მთელი სიბრძნე, სილამაზე და განათლება წმინდა ეკატერინემ ქრისტეს სამსახურს მოახმარა.

მრავალი მათგანი, ვინც წმინდა ეკატერინეს წამება ნახა, ქრისტიანობაზე მოექცა და თავადაც ეწამა. მათზე არ უნდა ვიტიროთ, ქრისტესთვის მათი ტანჯვის ხსოვნა უნდა გვახარებდეს. წმინდა მოწამეთა სისხლი – ეს სიხარულია ეკლესიისა. სიხარული იმისა, რომ იყვნენ ადამიანები (და ახლაც არიან), რომლებსთვისაც ქრისტეს სიყვარული სიცოცხლეზე ძვირფასია.





ღირსი იოანე ღამასკელი

სს. 4 ღეჰეჰეჰეჰე

წმინდა იოანეს სამშობლო იყო ქალაქი ღამასკო სირიაში. მამის ღამასკოს მმართველთან მაღალი თანამდებობა ეკავა და ღიდ კეთილდღეობას მიაღწია. ცოლთან ერთად ის კეთილმსახურებით და ქრისტიანული რწმენის ერთგულებით გამოირჩეოდა.

იოანე რომ წამოიზარდა, მამამ ძალა და საშუალება არ დაზოგა, რომ მისთვის საუკეთესო განათლება მიეცა. ამაში მას თვით უფალი დაეხმარა: გაუგზავნა ბრძენი და მრავლისმცოდნე ბერი, სახელად კოსმა.

ამ მონაზონმა ბერძენ ბრძენთა — არისტოტელეს და პლატონის ფილოსოფია იცოდა, გეომეტრია და ასტრონომია შეისწავლა, მუსიკის ხელოვნებას დაეუფლა, ძლიერი იყო დიალექტიკაში, ქრისტიანული ღვთისმეტყველება ზედმიწევნით იცოდა. კოსმასთან იოანემ რამდენიმე წელი გაატარა; ყველაფერი შეისწავლა, ყველა მეცნიერებას ისეთი წარმატებით ჩასწავლა, რომ ერთხელ ბერმა კოსმამ იოანეს მამას უთხრა:

— სურვილი აგისრულდა: შენმა შვილმა განსწავლულობით მე გადამაჭარბა და მასწავლებელი მეტად აღარ სჭირდება. გთხოვ მონასტერში გამიშვა, რათა სიკვდილის წინ სულის საცხოვრებლად თავად შევისწავლო უმაღლესი სულიერი სიბრძნე.

ბერის წასვლის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. იოანეს მამა გარდაიცვალა. დამასკოს მმართველმა იოანე იხმო და იმაზე მაღალ თანამდებობაზე დანიშნა, ვიდრე მამამისს ეკავა.

ამ დროს სამეუფო ქალაქში (კონსტანტინოპოლში) წმინდა ხატების ღვეზა დაიწყო. მეფე ლეონ ისავრიელის ბრძანებით ყველას, ვინც წმინდა ხატებს თაყვანს სცემდა, აწამებდნენ, საპრობილეში სვამდნენ და ასახლებდნენ. ბრძანეს ხატები ტაძრებიდან გაეტანათ და გაენადგურებინათ. მეფის ჯარისკაცები კარდაკარ დადიოდნენ, ხატებს აგროვებდნენ და სახალხოდ წვაავდნენ. მთელ იმპერიაში კვნესა და მოთქმა ისმოდა. მართლაცდა როგორ არ ეტირათ, როცა მაცხოვრისა და ღვთის დედის წმინდა სახეებს, რომელთა წინაშე ჩვეულებრივ ლოცვად ღვებოდნენ, ცეცხლში ყრიდნენ?!

წმინდა ხატების ღვეზის შესახებ მალე იოანესთვისაც გახდა ცნობილი. მან მათ დასაცავად რამდენიმე მხურვალე და შთაგონებული წერილი დაწერა. ამ წერილებმა ძლიერ გაამხნევეს და ანუგეშეს კეთილმსახური ადამიანები, მაგრამ ამავე დროს ძლიერ გააღიზიანეს ერეტიკოსი-ხატმბრძოლები და, პირველ რიგში, მეფე ლეონი (შეგახსენებთ, რომ დამასკო არაბი ხალიფების ხელში იყო და არა — ბიზანტიის მეფეებისა).

მეფე ლეონი იოანეზე განრისხდა და მისი დაღუპვა ყველაზე მდაბალი საშუალებით გადაწყვიტა. მან ოსტატ მწერალს იოანეს ხელწერის ათვისება და ვითომდა მისი ხელით მისდამი წერილის დაწერა დაავალა. ეს ყალბი წერილი შემდეგნაირად იყო შედგენილი:

– გატყობინებ შენ, დიადი ქრისტიანული სახელმწიფოს მეფესა და ყველა ქრისტიანის დამცველს, რომ ჩვენი ქალაქი ცუდად არის დაცული. თუკი შენ, მეფე, ჯარს გამოგზავნი, ის იოლად დაიპყრობს დამასკოს. მე ყველანაირად დაგეხმარები, რადგან აქ ყველაფერი ჩემი მეთვალყურეობის ქვეშაა.

მეორე წერილში მეფე თავისი სახელით დამასკოში არაბეთის ხალიფას სწერდა:

– შენს ქალაქში მცხოვრები ვინმე ქრისტიანი შენთან საომრად მაქეზებს და მოლაღატურად მთავაზობს თავის დახმარებას. ჩემს სიტყვებში რომ არ დაეჭვდე, ამიტომ მის ერთ-ერთ წერილს გიგზავნი. მოძებნე ის და მოიქეცი, როგორც გენებოს.

ეს წერილები დამასკოში ხალიფას რომ ჩაუტანეს, მან იოანეს ხელწერა იცნო. მაშინვე მის მოსაყვანად კაცი გაგზავნა და არაფერი უთხრა, ისე აჩვენა ყალბი წერილი. იოანემ თქვა: „ხელწერა ჩემია, მაგრამ ეს მე არ დამიწერია. უნამუსო უნდა იყო, რომ საკუთარი მეფის ღალატი გაბედო“. ხალიფამ იოანეს არ დაუჯერა და მისთვის მარჯვენა ხელის მოკვეთა ბრძანა.

მოკვეთილი ხელი მოედანზე გამოკიდეს იმათ დასაშინებლად, ვინც მსგავსი რამის გაკეთებას გაბედავდა. ტკივილისაგან გათანგული იოანე სახლში წაიყვანეს. იმ იმედით, რომ ხალიფას მრისხანება დაცხრა, საღამოხანს იოანემ მოკვეთილი ხელის სათხოვნელად მსახური გაგზავნა. როცა ხელი მოუტანეს, იგი საძინებელში შევიდა, ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაეცა და მოკვეთილი ხელი მკლავზე მიიკრა. იოანე მსურვალედ ღოცულობდა და ხელის გამრთელებას ითხოვდა. ღამით ხილვა ჰქონდა: დედა ღვთისა გამოეცხადა, რომელიც მოწყალე თვალით უმზერდა და იოანემ გაიგონა სიტყვები: „აჰა, განკურნებულია შენი ხელი!“

გამოღვიძებული იოანე დარწმუნდა, რომ მოჭრილი ხელის მტევანი მართლაც შეუხორცდა. იოანეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი მისი სახლი სიხარულით აივსო, ყველანი ღმერთს უგალობდნენ. სასწაულის შესახებ ხალიფამაც შეიტყო. ინანა, რომ ასე ნაჩქარევად და დაუფიქრებლად მოიქცა და გადაწყვიტა დაეჯილდოებინა იოანე, პირველ მრჩევლად დაენიშნა. მაგრამ იოანეს სხვა აზრი გაუჩნდა: მიეტოვებინა ამაობითა და განსაცდელებით სავსე ქვეყანა და მონასტერში წასულიყო. ხალიფა როგორ არ არწმუნებდა, რომ ეს არ გაეკეთებინა, მაგრამ იოანე შეუდრეკელი დარჩა. სახლში რომ მივიდა, მაშინვე ნათესავებს უხმო და თავისი გადაწყვეტილება გამოუცხადა. თავისი სიმდიდრე მათ დაუტოვა, მონების გათავისუფლება და იმდენი ფულის მიცემა უბრძანა, რომ მათ ახალი ცხოვრების დაწყება შეძლებოდათ.

იოანემ ყველაზე უბრალო კაბა გადაიცვა, ჩანთაში რამდენიმე ხმელი კვერი ჩაიღო, კვერთხი აიღო, დილაადრიანად მოგზაურივით გამოვიდა და იერუსალიმისაკენ გზას დაადგა. წმინდა ადგილების თაყვანისცემის შემდეგ იორდანეს გადაღმა, უდაბნოს მიაშურა, სადაც წმინდა საბას ლავრაში ბერები მოღვაწეობდნენ. წინამძღვარმა მაშინვე იცნო იოანე და გაიხარა, რომ ასეთი ადამიანი თავმდაბლურად ითხოვდა მათ ძმობაში შესვლას.

ვინ გაბედავდა სახელგანთქმული იოანეს დამრიგებელი ყოფილიყო? ყველანი უარზე იყვნენ. ბოლოს მოიძებნა ვინმე ბერი, უბრალო, მაგრამ ბრძენი, რომელიც იოანეს მორჩილებაში აყვანას დათანხმდა.

ბერის პირველი მცნება იყო: არაფერი ეკეთებინა საკუთარი ნებით, ღვთის მიმართ ხანგრძლივად ელოცა და თავისი ცოდვების გამო განუწყვეტლივ ეგლოვა. ბერთან იოანე დიდხანს

ცხოვრობდა, მის დავალებებს ზედმიწევნით ასრულებდა. ბერს უხაროდა, როცა ხედავდა, როგორი სისწრაფით ადიოდა იოანე სულ უფრო მაღალი სრულყოფილებისკენ.

ერთხელ ბერმა იოანეს მორჩილებისა და თავმდაბლობის გამოცდა მოისურვა. მოაგროვა მრავალი კალათი, რომლებსაც ისინი ერთად წნავდნენ და იოანეს გასაყიდად დამასკოში გაატანა. „იცოდე იმაზე ნაკლებ ფასად არავის მიჰყიდო, რომელსაც მე გეტყვი“, თქვა მან და იმაზე ბევრად დიდი ფასი დაადო, ვიდრე ისინი ღირდა.

წავიდა იოანე, ბერისთვის არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ფასი მეტიმეტად მაღალი იყო, რომ შორია გზა, რომ გაცილებით ნაკლებ ფასად მათი გაყიდვა იერუსალიმშიც შეიძლებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს რცხვენია ზურგზე კალათებმოკიდებულს იმ ქალაქში სიარული, სადაც მას ადრე მდიდარი ცხოვრებით იცნობდნენ. მხოლოდ თქვა: „მაკურთხე, მამაო!“ — კალათები აიღო და წავიდა.

ღარიბულად ჩაცმული იოანე დამასკოს ქუჩებსა და მოედნებზე დადიოდა, კალათებს სთავაზობდა მყიდველებს, მაგრამ როცა ფასს იგებდნენ, არავინ ყიდულობდა. დასცინოდნენ კიდევ და ამბობდნენ: „ჭკუაზე თუ ხარ, ამდენ ფულს რომ ითხოვ?“ რა თქმა უნდა, ვერავინ იცნო ამ გარუჯულ, დამტვერილ და გამხდარ მონაზონში ხალიფას მრჩეველი იოანე. მხოლოდ ერთი კაცი, იოანეს ყოფილი მსახური დააკვირდა და მიხვდა, ვინ იყო იგი. ტკივილით გული შეეკუმშა, როცა თავისი ყოფილი ბატონი ასეთ გასაჭირში დაინახა. ვითომ არაფერი იცოდა, იოანესთან მივიდა და ყველა კალათი იყიდა იმ ფასად, რასაც იოანე ითხოვდა.

იოანე გახარებული დაბრუნდა სავანეში, მაგრამ როგორც საამო და თბილ ზაფხულს ნესტიანი შემოდგომა მოსდევს, შე-

მოდგომას კი — მკაცრი ზამთარი, როგორც სიცილსა და სიხარულს ცრემლები ცვლის, როგორც წარმატებას წარუმატებლობა ენაცვლება, — ასევე დამასკოში კარგად შესრულებული დავალების შემდეგ იოანეს მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდა.

იმ ლავრის მონაზვნებს შორის, სადაც იოანე მოღვაწეობდა, ორი ღვიძლი ძმა იყო, რომლებსაც ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ერთი მათგანი გარდაიცვალა. ცოცხლად დარჩენილი ძმა უნუგეშოდ ტიროდა. იოანე ანუგეშებდა, მაგრამ მისი წუხილი იმდენად დიდი იყო, რომ იოანეს სიტყვები მას ვერ ამშვიდებდა. მგლოვიარე მონაზონმა სთხოვა იოანეს, ისეთი სამგლოვიარო გალობა დაეწერა, რომელიც მის სულს დაამშვიდებდა. იოანეს ახსოვდა თავისი მოძღვრის სიტყვები — თვითნებურად არაფერი ეკეთებინა და უარს ამბობდა, მაგრამ მონაზონი ისეთი დაჟინებით, ისეთი ცრემლით ევედრებოდა, რომ იოანე მის ნებას დაჰყვა. ისეთი დიდი იყო გარდაცვლილი ძმის გამო წუხილი, რომ ის იოანესაც გადაედო და საოცარი გალობა დაწერა, რომელსაც დაკრძალვის დროს ეკლესიაში დღესაც გალობენ: „რომელი შუება სოფლისა დაადგრების თვინიერ მწუხარებისა, რომელი დიდება ჰგიეს ქუეყანასა ზედა შეუცვალებელად? ყოველივე აჩრდილისა უუძღურეს არს, ყოველივე სიზმრისა უმატურეს არს. ერთი წამი და ამას ყოველსა სიკუდილი უჩინო-ჰყოფს. არამედ ნათელსა პირისა შენისასა, ქრისტე, და სიტკბოებასა შენისა შუენიერებისასა, რომელი გამოიჩინე, განუსვენე, ვითარცა მხოლო კაცთ-მოყუარე ხარ“.

ბერი ამ დროს სენაკში არ იყო; რომ დაბრუნდა, იოანეს ხმა გაიგონა და შემოსულმა მკაცრად დატუქსა: „რა ჩქარა დაგავიწყდა შენი აღთქმა; ტირილის ნაცვლად გალობა მესმის...“ იოანე შეეცადა მოძღვრისთვის გალობის მიზეზი აეხსნა და თა-

ვის დაწერილ ტროპარს უჩვენებდა, ბოლოს ფეხებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა, მაგრამ ბერს არაფრის გაგონება არ სურდა და იოანე გააგლო. მან მთელი დღე მოძღვრის სენაკთან ტირილში გაატარა და მიტევებას სთხოვდა. ბერი შეუბრალებელი იყო. სხვა ბერები, რომლებსაც იოანე თავმდაბლობისა და თვინიერებისათვის უყვარდათ, შუამდგომლობდნენ და ეუბნებოდნენ ბერს:

— ეპიტიმია დაადე, მაგრამ შენთან ურთიერთობას ნუ აღუკვეთ, ნუ გააგლებ!

ბერმა ამაზე უპასუხა: — თუკი იოანეს მიტევება უნდა, ლავრის მთელი სიბინძურე საკუთარი ხელით გაწმინდოსო.

იოანემ ეს რომ გაიგონა, არათუ დამწუხრდა, სიხარულით შეუდგა დაკისრებულ საქმეს. ჰოი, საოცარი თავმდაბლობა ჭეშმარიტი მორჩილისა!


როცა ბერმა იოანეს თავმდაბლობისა და მორჩილების სიღრმე დაინახა, გული მოუღება, მასთან მიიბრინა, მოეხვია, იმ ხელებს უკოცნიდა, რომლითაც იოანე ის-ის იყო სიბინძურეს ეხებოდა და სიხარულით იძახდა: „ოი, როგორი მორჩილი მომმაღლა ქრისტემ!“


ცოტა ხნის შემდეგ ბერს ძილში თვით ყოვლადწმიდა დედოფალი გამოეცხადა და უბრძანა ნება დაერთო იოანესათვის, რომ მას ღვთისადმი ქება და ჰიმნები შეეთხზა. ამის შემდგომ იოანეს კალმიდან შთაგონებულმა საგალობლებმა იწყო დინება. საუკეთესო ჰიმნად შეიძლება პასექის კანონი ჩაითვალოს:

„აღდგომისა დღე არს, განებრწყინდებოდეთ აწ ერნო; პასქა უფლისა, პასქა, რომლითა ქრისტემან ღმერთმან სიკუდილისაგან მიხსნნა და ქვეყანით ცად აღმიყვანნა სუფევად ძლევისა მგალობელნი დღეს“ (I გალობის ძლისპირი).

ამ კანონში ჟღერს სულიერი აღტაცება, რომელსაც აღდგომის ღამეს იერუსალიმის აღდგომის ტაძარში განიცდიან მლოცველები. ამ აღტაცების მოწმე ხშირად ყოფილა თავისი მონასტრიდან წმინდა ქალაქში ჩამოსული იოანე. სწორედ ეს განწყობაა ასახული, მის გასაოცარ საგალობლებში, რომლითაც აღდგომის ბრწყინვალე ღამეს ვტკბებით.

წმინდა იოანემ 104 წელი იცოცხლა და უფალთან იმქვეყნად მიიცვალა, „სადა-იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქუმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.





წმინდა იოანე ოქროპირი

სს. 13 ნომერს

„ნეტარ იყვნენ დევნილი სიმაღლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“.

მათე 5,10

წმინდა იოანეს ოქროპირი მისი ქადაგებით აღტაცებულმა ერთმა დედაკაცმა უწოდა. მას შემდეგ 1500 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ უბრალო ქალის სიტყვა დავიწყებას არ მისცემია, ის ეკლესიის უდიდესი მასწავლებლის სახელთან საუკუნოდ შეერთდა.

ეკლესიებში მთელი წლის მანძილზე ტარდება წირვა, რომლის წესი იოანე ოქროპირმა შეადგინა. ამისათვის ყოველთვის მისი მაღლიერნი უნდა ვიყოთ, რადგან არ არსებობს წირვაზე აღმატებული მსახურება.

არსებობენ მორწმუნეები, რომლებიც თავიანთი სულიერი ცხოვრების მიმართ უყურადღებონი არიან: მათ ეზარებათ ეკლესიაში ყოველ კვირა სიარული, როგორც ეს ღმერთმა დაგ-

ვიწესა, მაგრამ აღდგომას ასეთი ხალხიც კი მოდის ეკლესიაში და იქ მათ ესმით ოქროპირის სიტყვები:

„რომელნი ხართ კეთილმსახურნი და ღმრთისმოყუარენი, იშუებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა!“ ამ სიტყვებით წმინდა იოანე ყველას უხმობს: მდიდრებსა და ღარიბებს, გულმოდგინეებსა და ზარმაცებს, მმარხველებსა და არამმარხველებს, ყველას, რათა ისინი თავიანთი უფლის სიხარულს შეუერთდნენ. „დღეს ტაბლა სავსე არს, იშუებდით ყოველნი!“ — ეს სიტყვები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დიდ სიხარულს ჰმატებს.

ზოგჯერ ისე ხდება, რომ ვინმეს მრავალი ტანჯვის ატანა უწევს უსამართლოდ, ნუგეშს სიკვდილამდე ვერაფერში ხედავს და მაშინ მას აგონდება იოანე ოქროპირის სიტყვები: „დიდება შენდა ღმერთო ყოველივესთვის!“ წმინდა იოანეს ცხოვრებიდან შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იტანჯა მან სიმართლისათვის და სიცოცხლე დაასრულა არა დედაქალაქში, სადაც ის ეკლესიის წინამძღოლი იყო, არამედ დევნილობაში, შორეულ კომანში, მაგრამ მისი გული ტანჯვამ ვერ გააბოროტა; ამას მოწმობს მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც იგი ღმერთს ემადლიერება: „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!“

იოანეს ბავშვობაში დედა ზრდიდა, სახელად ანთუსა, რომელიც 20 წლისა დაქვრივდა. ანთუსა ცივ ნიავს არ აკარებდა თავის ერთადერთ ვაჟიშვილს და ისე უყვარდა, რომ მეორედ გათხოვება არ ისურვა (თუმცა ახალგაზრდა და მდიდარი იყო) და თავი მთლიანად შვილის აღზრდას მიუძღვნა. ქრისტიანული ცხოვრების პირველი გაკვეთილები იოანემ მშობლიურ სახლში მიიღო. შემდეგ, როცა წამოიზარდა, დედამ მეცნიერებების სრულყოფილი შესწავლისათვის ცნობილ ორატორთან, ლიბანიოსთან გაგზავნა ათენში. იქ იოანემ არ იცოდა სხვა გზა,

გარდა ეკლესიისა და თავისი მასწავლებლისა. მალე მან ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია მეცნიერებასა და მჭევრმეტყველებას და ლიბანიოსმა აღიარა, რომ მოწაფემ თავის მასწავლებელს გადააჭარბა.

მშობლიურ ანტიოქიაში დაბრუნებული იოანე ადვოკატი გახდა. თავისი განათლებით, მჭევრმეტყველებითა და ნათელი გონებით მას მაღალი თანამდებობისთვის იოლად უნდა მიეღწია. თავიდან მას წარმატება და დიდება ახარებდა და იზიდავდა, მაგრამ ბავშვობაში ჩადებულმა კეთილმა თესლმა და დედის ლოცვებმა იოანე ერულ ცხოვრებას განაშორა. სულ მალე მან სამოქალაქო სამსახური მიატოვა და მარხვისა და ლოცვით ღვაწლში დაიწყო ცხოვრება. იგი უდაბნოში გასვლისაგან მხოლოდ დედის თხოვნამ შეაჩერა. როცა ანთუსა გარდაიცვალა, იოანემ თავისი ქონება დაარიგა, მონები გაუშვა და უდაბნოს სავანეში განდევილებთან წავიდა. იქ იგი ისეთ მკაცრ ღვაწლში იყო, რომ ისედაც სუსტი ჯანმრთელობა შეერყა, ავად გახდა და ანტიოქიაში დაბრუნება მოუხდა. აქ ეპისკოპოსმა მელეტიმ, რომელმაც კეთილმსახურებისაკენ იოანეს მიდრეკილება აღრევე შენიშნა, მას სადიაკვნოდ მომზადება უბრძანა. ხელდასხმის დროს იოანეს ავადმყოფობამ გაუარა. ეს მან მიიღო როგორც ღვთის მინიშნება იმაზე, რომ თავი მთლიანად ეკლესიის სამსახურისათვის უნდა მიეძღვნა.

ხუთი წლის შემდეგ იოანე მღვდლად აკურთხეს და მქადაგებლად დანიშნეს. ამ დროიდან იწყება წმინდა იოანეს მქადაგებლური მოღვაწეობა. ყოველ კვირა დღეს, ხან კვირაში ორჯერაც, ის ღვთის სიტყვას ქადაგებდა. მის მოსასმენად ხალხი იკრიბებოდა — თანაც არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ იუდეველებიც. თავიდან ცნობისმოყვარეობის გამო მოდიოდნენ, უნდოდათ ახალი მქადაგებლისათვის მოესმინათ, მაგრამ იოა-

ნეს მხურვალე სიტყვით გულის სიღრმემდე შეძრულნი, თავიანთ ცოდვებს იქვე ინანიებდნენ და თავიანთ ცხოვრებას ძირეულად ცვლიდნენ. დროდადრო, როცა იოანეს სიტყვა განსაკუთრებულად მოსწონდათ, სიტყვას ტაშითა და ხმამაღალი შეძახილებით აწყვეტინებდნენ, მაგრამ თვით იოანეს ეს არ მოსწონდა.

— რად მინდა თქვენი შექება, — ამბობდა იგი, — მაშინ ვიქნები შექებული, როცა თქვენს ცხოვრებას გამოასწორობთ და ღვთისაკენ მოიქცევით! ოქროპირის დიდება მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და მალე საბერძნეთის იმპერიის დედაქალაქს — კონსტანტინოპოლს მიაღწია. როგორც კი იქ დედაქალაქის მთავარეპისკოპოსის კათედრა გათავისუფლდა, იმპერატორმა, სამღვდელოებამ და ხალხმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ამ ადგილზე იოანე ოქროპირი აერჩიათ.

როგორ უნდა წაერთმიათ ანტიოქიელებისთვის მათი საყვარელი მწვემსი ისე, რომ მათი აღშფოთება და დრტვინვა არ გამოეწვიათ? გადაწყდა, ხერხისთვის მიემართათ. იმპერატორის მოხელემ, რომელსაც ეს საქმე ევალებოდა, იოანე საიდუმლოდ ქალაქგარეთ იხმო. წმინდა მამას ეჭვი არაფერზე აუღია და შესახვედრად წავიდა. ქალაქგარეთ იგი შეიპყრეს და სამეფო ქალაქში წაიყვანეს. ასე აკურთხეს იოანე ოქროპირი ახალი რომის მთავარეპისკოპოსად.

კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის ახალი ცხოვრების განთიადი დადგა. იოანე ხალხს ლოცვისათვის უხმობდა და ყველანაირად ცდილობდა ღვთისმსახურება მთელი თავისი სილამაზით აღედგინა; განსაკუთრებულ ყურადღებას იგი გალობას უთმობდა. „არაფერი ისე არ აღამაღლებს სულს, არაფერი ისე არ წყვეტს მას მიწას, არაფერი ისე არ განაწყობს მას წმინდა სიყვარულისათვის, როგორც წმინდა გალობა... — წერდა იგი. —

სულიერი გალობა წყაროა განწმენდისა; მისი სიტყვები ასუფთავებენ სულს და სული წმიდა გარდამოდის მგალობელთა სულებზე...“. ის ყველას მოუწოდებდა, რაც შეიძლება ხშირად ყოფილიყვნენ ეკლესიაში, სადაც ადამიანი თავისი ნების მიუხედავადაც კი უკეთესობისაკენ იცვლება.

იოანე ამბობდა: — როცა ადამიანი ეკლესიიდან გამოდის, არავის ასწავლის, არავის უქადაგებს, მაგრამ სახის სიმშვიდე, გამონხედვა და თვით ხმა აჩვენებს, თუ რა სინარული განიცადა, როგორი მაღლი მიიღო თავის სულში. ჩვენ ეკლესიიდან ისე უნდა გამოვიდეთ, როგორც ხელდასხმულნი გამოდიან საკურთხევილიდან, რათა ჩვენი შეხედვით შეიგრძნონ, რა მაღლი მიგვაქვს აქედან.

მართლაც, ხალხი ეკლესიისაკენ დაიდრა, ხოლო აღტაცებული სიყვარული, რომლის აღძვრაც იოანემ ანტიოქიაში შეძლო, მის ახალ სამწყსოშიც აღევზნო. ამ წმინდა მამას არა მხოლოდ მეგობრები, მტრებიც გაუჩნდნენ — ისინი, ვისაც არქიეპისკოპოსის ადგილის დაკავების იმედი გაუცრუვდათ და — ისინი, ვისთვისაც იოანეს მართალი ცხოვრება გამუდმებული მხილება იყო; განსაკუთრებულად კი — ისინი, ვის თავგასულობასა და მანკიერებებსაც წმინდა იოანე თავის ქადაგებებში ამხელდა.

მტრებმა დედოფალს ამბავი მიუტანეს, რომ იოანე თავს უფლებას აძლევს პირადად მის უდიდებულესობაზე მიანიშნოს, როცა მაღალ საზოგადოებაზე ლაპარაკობს. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ამაყი და ძალაუფლებისმოყვარე დედოფალი იოანეზე გამძვინვარებულიყო. მან იმპერატორთან იჩივლა, იმპერატორმა კი გადაწყვიტა ოქროპირისათვის აეკრძალა განსაკუთრებულად თამამი გამოსვლები. იოანემ უპასუხა: — მე ეპისკოპოსი ვარ და ყველაზე ზრუნვა მევალება. მე ვერცხლის-

მოყვარებით შეპყრობილები ვამხილე. თუკი დედოფალი თავისუფალია ამ სულიერი სნეულებისგან, მაშინ ნურაფერზე გაბრაზდება. მე არავის ვასახელებ, მაგრამ ყველას ვასწავლი, რომ ბოროტება არ ჩაიდინონ.

ასეთი პასუხით განრისხებულმა დედოფალმა იოანეს მოწინააღმდეგეები დაიახლოვა. მათი მზაკვრობით იოანე გაასამართლეს და იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქიდან გაძევება მიუსაჯეს. ეს სიახლე როცა გამოცხადდა, ხალხი აღელდა. ქალაქებში ავი ხმები დადიოდა. ხალხი არა მხოლოდ იოანეს გაძევებაზე, მის სიკვდილით დასჯაზეც ლაპარაკობდა. ეკლესიები მორწმუნეებით აივსო. ისინი მისთვის ლოცულობდნენ. მოედნებზე ხალხი იმ იმედით იკრიბებოდა, რომ არქიეპისკოპოსს თვალს მოჰკრავდა ან მის ხმას გაიგონებდა.

ხალხის მღელვარების თავიდან ასაცილებლად იოანე იმპერატორის განკარგულებას დაემორჩილა და ღამით ქალაქი დატოვა. იმავე ღამეს კონსტანტინოპოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რყევა განსაკუთრებით ძლიერი იმპერატორის სასახლესთან იყო. შუალამისას დედოფალი ქმრის საძინებელში შეშინებული და ცრემლიანი შევარდა:

— ჩვენ მართალი კაცი გავაძევეთ, — იყვირა მან, — ამიტომაც გვსჯის ღმერთი! სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ, თუ არადა დავიღუპებით. დედოფალმა თავისი ხელით დაწერა წერილი, რომელშიც იოანეს სთხოვდა დაბრუნებულიყო.

იოანეს დაბრუნება — ეს ნამდვილი ტრიუმფი იყო. განმანათლებელს ათიათასობით ადამიანი სიხარულის შეძახილებითა და სანთლებით ხელში ხვდებოდა. ის საკათედრო ტაძარში შევიდა და გულის ამაჩუყებელი ქადაგება შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით დაიწყო:

– „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც განმაშორა! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც დამაბრუნა! მადლობა ღმერთს ჭირისთვისაც და სიხარულისთვისაც!“ გულაჩვილებისა და სიხარულისგან მთელი ხალხი ტიროდა, ხარობდა, რომ კვლავ ხედავდა თავის საყვარელ მღვდელმთავარს.

იმ დღიდან წმინდა იოანე ეკლესიაში ყოველდღე ქადაგებდა, მორწმუნეებს ღვთის სიტყვის საიდუმლოს უმჟღავნებდა და, იმპერატორის კარისა და საზოგადოების უმაღლესი წრეებით დაწყებული, ყველას მანკიერებებს ამხელდა. დიდი დრო გავიდა. იოანეს მტრებმა დედოფალს ისევ მიუტანეს ამბავი, რომ ის მის სახელს თავს არ ანებებს. კიდევ უფრო გამძვინვარდა დედოფალი და უწინდელი ღვთისმიერი გაფრთხილება დაავიწყდა. ამჯერად მიაღწია იმას, რომ იოანე შორს, საბერძნეთის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთში გადაესახლებინათ.

გზა ხანგრძლივი, დამქანცველი და მტანჯველი იყო; ავადმყოფ განმანათლებელს უვარგის გზაზე, უამინდობაში და მცხუნვარე მზის ქვეშ უწევდა მოგზაურობა. ყველაფერი თითქოს საგანგებოდ იყო მოწყობილი, რომ ღვენილისთვის მეტი ტანჯვა მიეყენებინათ. 70-დღიანი მგზავრობის შემდეგ იოანემ და მისმა მხლებლებმა სომხეთის მთებში სოფელ კუკუზას მიაღწიეს, სადაც მისი ყოფნა იყო ნაბრძანები. აქ, მიყრუებულ სოფელში, ველურ მთიან ქვეყანაში წმინდა იოანეს იმდენი გულითადობა და სიხარული დახვდა, რომ მისმა დაქანცულმა გულმა შვება იგრძნო. ადგილობრივმა ეპისკოპოსმა და მაცხოვრებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დიდებული ტანჯულისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ.


მომდევნო სამი წლის მანძილზე, უკიდურესი აკრძალვებისა და შეუძლოდ ყოფნის პირობებში იოანე დაუღალავად იღვწოდა წმინდა ეკლესიის საკეთილდღეოდ. მას აღმოსავლეთისა და და-


სავლეთის ბევრ ეპისკოპოსთან ჰქონდა მიმოწერა, მრავალ მომსვლელს ესაუბრებოდა. ისინი კონსტანტინოპოლიდანაც კი მოდიოდნენ. ამან დედოფლის ყურამდე მიაღწია და მან გამოოსცა განკარგულება – იგი უფრო შორს, შავი ზღვისაკენ გადაესახლებინათ.

წმინდა იოანე თანმხლებებთან ერთად კვლავ გზას დაადგა და, როცა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქალაქ კომანს მიაღწიეს, გაჩერდნენ. ისედაც ავადმყოფი განმანათლებელი მგზავრობისაგან უკიდურესად დაუძლურდა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები იწურებოდა. აქ, კომანში მისი ბოლო სურვილი აღასრულეს: იგი ნათლისღების თეთრი სამოსით შემოსეს. იოანე ეზიარა და გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ღიდება შენდა ღმერთო ყოველივესთვის!“

30 წლის შემდეგ პატრიარქმა პროკლემ დაარწმუნა იმპერატორი თეოდოსი უმცროსი, რომ იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაესვენებინა. ეს დიდი ზარზემით შესრულდა: იმპერატორი პირადად გაემართა ქალაქგარეთ წმინდა ნაწილების შესახვედრად. იგი მიწაზე დაემხო და განმანათლებელს ტყუილუბრალოდ მიყენებული ტანჯვის გამო თავისი მშობლებისათვის პატიებას ევედრებოდა.

კონსტანტინოპოლის მთელი ყურე უთვალავი ნავით დაიფარა – ხალხი ეკლესიის დიდ განმანათლებელს მოწიწებითა და სიყვარულით ეგებებოდა.





ღირსი იოანე მეტალავრი

სს. 15 იანვარს

*„ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს
გლახაკისა და დავრდომილისაჲ, დღესა ბო-
როტსა იხსნას იგი უფალმან“ .*

ფსალ. 40,1

მრავალი, მრავალი წლის წინ სამეუფო ქალაქში (კონსტანტინოპოლში) სასახლის კარზე კეთილშობილი დიდებული ცხოვრობდა, სახელად ევთროპი, ცოლთან — თეოდორასთან ერთად. მათ სამი ვაჟი ჰყავდათ, რომელთაგან უმცროსს იოანე ერქვა. ის ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით და საკვირველად მშვიდი ხასიათით. მისი საყვარელი საქმიანობა წმინდა წიგნების კითხვა და საეკლესიო მსახურებაზე დასწრება იყო. თანდათანობით მისი გული ღვთის ისეთი სიყვარულით აღივსო, რომ ერში ცხოვრება მეტად აღარ შეეძლო, გულმა მონასტრისაკენ გაუწია, სადაც, როგორც გაგონილი ჰქონდა, დრო მარხვაში, შრომასა და სულის საცხოვნებელ ღვაწლში გადიოდა.

როგორ წასულიყო იოანე მშობლიური სახლიდან, სადაც ის ასე უყვარდათ, სადაც ოცნებობდნენ, ის მეფის სამსახურში, პატივსა და ღირებაში ეხილათ? სად ეპოვნა ისეთი მონასტერი, რომელშიც ამქვეყნიერი ამოებისაგან დამალვასა და მხოლოდ ღვთისადმი სამსახურს შეძლებდა?

ამ დროს თვით უფალი მოვიდა იოანეს დასახმარებლად და შორეული მონასტრიდან მონაზონი გამოუგზავნა. ეს მონაზონი იერუსალიმში ჩასვლისა და წმინდა ადგილების მოლოცვის სურვილით იყო ანთებული. გზად სამეუფო ქალაქში შეიარა და იქ იოანეს შეხვდა. ბიჭუნა დიდხანს ეკითხებოდა ბერული ცხოვრების შესახებ და მაშინვე გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულს თან გაჰყოლოდა.

ამასთან იოანე ცდილობდა სახარების თანახმად ეცხოვრა და მშობლებს სთხოვდა ამ წმინდა წიგნის შექმნას, რათა არა მხოლოდ ეკლესიაში მოესმინა უფალ იესო ქრისტეს სიტყვები, არამედ ყოველთვის თან ჰქონოდა ისინი, როგორც მოწმენი თავისი ცხოვრებისა. მშობლებმა იოანეს თხოვნა სინარულით შეუსრულეს: გაწაფული მწერალი დაიქირავეს, მისი გადაწერილი სახარება ძვირფასი ყდით შეამკეს და ვაჟიშვილს აჩუქეს. იოანეს სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი დღეები წიგნს არ შორდებოდა. მისი სული აღვსილი იყო სურვილით, მთლიანად ქრისტესთვის მიეძღვნა თავი.

როგორც ცეცხლოვანი ასოებით დაწერილი, თვალწინ ედგა მაცხოვრის სიტყვები: „*რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თვისი და დედა თვისი... ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა*“ (ლუკ. 14,26).

აი მოვიდა მონაზონი და იოანემ მშობლიური სახლი ჩუმად დატოვა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა მძიმე იქნებოდა მისთვის ეს განშორება, რამდენ სიმწარეს მოუტანდა თავის მშობლებს.

ზღვით ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ ისინი მღვიძარეთა სავანეში მივიდნენ, სადაც ლოცვა და ფსალმუნთა გალობა დღე-ღალამ არ წყდებოდა.

წინამძღვარმა რომ ნახა იოანე მცირეწლოვანი იყო, უთხრა: ჩვენი ცხოვრება შენს ძალებს არ შეესაბამება: ძნელია ბერული ღვაწლი, დამქანცველია მკაცრი მარხვა... იცხოვრე ჩვენთან ცოტა ხანს, დააკვირდი, თავი გამოსცადე... ნეტარმა ყრმამ იღუმენს სიტყვის დამთავრება არ აცალა. ცრემლიანი მის ფეხებთან დაემხო, ევედრებოდა არ დაეყოვნებინა მისი აღკვეცა. იოანეს გულმოდგინებითა და ცრემლით შეძრულ წინამძღვარს შეებრალა იგი და მონაზონთა რიგებში მის მიღებას დათანხმდა. იოანე, როცა საბოლოოდ აისრულა სურვილი, ბერულ ცხოვრებას მოშურნედ დაეწაფა. ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ, გულმოდგინედ და თავმდაბლად ასრულებდა და მალე სათნოებათა ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ მრავალთათვის უწყვეტი ლოცვის, სიმშვიდის, მორჩილებისა და მკაცრი მარხვის მოთმინებით გადატანის მაგალითი გახდა. იოანე ხშირად მრავალი დღის მანძილზე ქრისტეს ყოვლადწმიდა საიდუმლოების გარდა არაფერს იღებდა, მხოლოდ ამით სულდგმულობდა. წინამძღვარსაც კი უკვირდა და ეუბნებოდა:

— შვილო ჩემო! ფრთხილად იყავი, სხეულით არ დაუძღურდე! ჯანმრთელობა არ შეირყიო, თორემ ღვთის სამსახურს ისე ვეღარ შეძლებ, როგორც საჭიროა.

იოანე სიმდაბლით თავს უდრეკდა წინამძღვარს და პასუხობდა:

— მომიტევე, წმინდაო მამაო, უვარგის მონას და ჩემთვის, უსარგებლოსა და სულმოკლისათვის ილოცე, რათა უფალი შეეწიოს ჩემს უძღურებას.

ასეთ ცხოვრებაში ექვსი წელი გავიდა. უზომო ღვაწლისაგან სულითა და სხეულით დასუსტდა იოანე და სულ უფრო ხშირად აწვალებდა მოგონებები მშობლებზე, მისდამი მათ დიდ სიყვარულზე, იმაზე, თუ რა ცუდად მოიქცა, როცა მშობლიური სახლი მალულად დატოვა. აგონდებოდა ძმები, რომლებთან ერთადაც ბავშვობაში თავისუფალ დროს თამაშში ატარებდა, აგონდებოდა სიმდიდრე და პატივი, რომელშიც ახლა ისინი იყვნენ. იოანეს ეს მოგონებები დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა. ის უკიდურესად დაუძლურდა, სხეული გამოეფიტა, დასუსტდა და შეიქნა, როგორც ლერწამი ქართაგან რხეული.

წინამძღვარი ხელავდა, დღითიდღე როგორ დნებოდა იოანე და უთხრა:

– განა არ გეუბნებოდი, შვილო ჩემო, რომ ღმერთი ჩვენგან უზომო შრომას არ ითხოვს. მას უნდა, თითოეული თავისი ძალების შესაბამისად ემსახუროს. თავის დროზე ყური არ მიგდე და ახლა კი უზომო მარხვისა და შრომისაგან დაუძლურდი.

– მამაო, მარხვამ არ გამომფიტა და არც შრომამ დამაუძლურა, არამედ აზრებმა, რომელსაც ბოროტი მინერგავს და დიდი ხანია დღედაღამ მაწვალებს. იოანემ აღიარა ილუმენის წინაშე, თუ რა აზრები აწვალებდა. მისი სიბრალულით წინამძღვარი ატირდა, ღვთის ჩაგონებით გადაწყვიტა მისთვის მშობლებთან დაბრუნებაში ხელი არ შეეშალა.

მგზავრობისათვის მზადება ხანმოკლე იყო – მხოლოდ ლოცვა, მეტანიები და ცრემლები. იოანე მეორე დღეს ილუმენთან მივიდა, ევედრებოდა მისი წასვლის გამო არ გაჯავრებულიყო, დაელოცა და ლოცვით გაეცილებინა.

მონაზვნებთან დამშვიდობებისას იოანემ თქვა:

– ვიცი, რომ ეშმაკს უნდა ამ წმინდა ადგილს მშობლებთან შეხვედრის საბაბით სამუდამოდ დამაშოროს, მაგრამ ღვთისა

და თქვენი წმინდა ლოცვების იმედი მაქვს. მშობლების ნახვა-შიც და ეშმაკზე გამარჯვებაშიც ისინი დამეხმარებიან. თქვენ კი, მამანო და ძმანო, რომლებმაც მიმიღეთ თქვენს წმინდა ოჯახში, და რომელსაც ჩემი უღირსებით ვკარგავ, ღმერთმა გიშველოთ.

ამ სიტყვებით იოანე მონასტრიდან გამოვიდა. რაღაც მანძილი რომ გაიარა, მოიხედა, სავანე დაინახა და მწარედ ატირდა. მიწაზე ცრემლიანი დაემხო და ღვთისადმი ლოცვა დაიწყო. შემდეგ წამოდგა და ღვთის მფარველობას მინდობილი გზას გაუდგა.

საღამო ხანი იყო, როცა იოანემ სამეუფო ქალაქს მიაღწია. შორიდან როგორც კი მშობლიური სახლი დაინახა, მიწაზე დაეცა და ამოიკვნესა: — „უფალო იესო ქრისტე, ნუ მიმატოვებ!“ შუაღამისას კი იოანე თავის სახლთან მისული კვლავ მიწაზე დაემხო და ლოცულობდა:

— უფალო იესო ქრისტე! აი მამაჩემის სახლი, რომლის ნახვაც ასე ძლიერ მინდოდა. მის გამო შენს მადლს ნუ დამაკარგვინებ. გევედრები, მეუფეო, მაღლითგან მომმადლე ძალა და შეწევნა ეშმაკის განსაცდელის დასაძლევად; ნუ აზეიმებ ჩემზე, შემეწიე, რომ ამ ადგილზე ჩემი ცხოვრება სახელოვნად დავასრულო.

გათენებამდე ასე ლოცულობდა. დილით კარი გაიღო და სახლის მმართველი გამოვიდა. იოანე რომ დაინახა, მათხოვრად ჩათვალა და უბრძანა იქაურობას გასცლოდა, რადგან ცოტა ხანში მისი ბატონები უნდა გამოსულიყვნენ.

— როგორც ხედავ, მათხოვარი ვარ, — მშვიდად უთხრა იოანემ, — თავის მისადრეკი ადგილი არა მაქვს; გევედრები, ჩემო ბატონო, შემიბრალე, ნუ გამაგდებ, არავის არაფერს ვაკნებ.

ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან იოანეს მშობლები გამოვიდნენ. ისინი რომ დაინახა, იოანე ატირდა და თავისთვის თქვა:

— აჰა, იოანე, აგისრულდა სურვილი, მაგრამ თუკი თავს გაამხელ, სახლში შეგიყვანენ, ერულ ცხოვრებას გააგრძელებ, მონაზვნურ აღთქმას დაივიწყებ და სულს დაიღუპავ. მან კვლავ მთელი გულით შეჰკლალა უფალს: — უფალო იესო ქრისტე, ბოლომდე ნუ მიმატოვებ!

ნეტარმა იოანემ მშობლების სახლის წინ დაიწყო ცხოვრება, ისე რომ ვერავინ ცნობდა. მამა მის კარებთან მწოლიარე მათხოვარს თავისი სუფრიდან საჭმელს უგზავნიდა და ამბობდა: — როგორი მოთმინება აქვს ამ მათხოვარს! სიცივეს, სიცხესა და უამინდობას თავშესაფრის გარეშე მთელი წელი იტანს. ვინ იცის, იქნებ ასეთივე სიგლახაკეს იტანს ჩვენი საყვარელი შვილი იოანე და არც კი ვიცით, სად არის ახლა. ამ უბედურის გამო, რომელსაც ვწყალობთ, იქნებ ღმერთმა გვაცხოვნოს. ჩვენ ხომ იმას ვაკეთებთ, რასაც ჩვენი შვილისთვის სხვებისგან ვისურვებდით.

ასე ამბობდა კეთილშობილი ევთროპი. მის ცოლს კი, პირიქით, სრულიადაც არ ებრალებოდა მათხოვარი. ერთხელ, როცა ძონძებში გახვეული, ნაგვის გროვაზე მწოლიარე დაინახა, მსახურებს უთხრა:

— ეს საძაგელი არსება აქედან მოაშორეთ; ამ საძაგლობის ყურება არ მინდა!

მსახურებმა იოანე სახლისგან მოშორებით გაათრიეს. სახლის მმართველმა კი, რომელსაც ებრალებოდა უბედური, მისი თხოვნით ფიცრული შეკრა, რომელშიც წმინდანმა ცხოვრება დაიწყო. მამა თავისი სუფრიდან უგზავნიდა საჭმელს, ის კი თავისნაირ მათხოვრებს აძლევდა და მთელი ღლით მშვიერი რჩებოდა. ასე ცხოვრობდა იოანე სამი წლის მანძილზე და თავის

საიდუმლოს არ ამხელდა. ფიცრულში ადამიანების თვალთაგან მოფარებული, დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. მშობლებისათვის ლოცვა განსაკუთრებულად მხურვალე იყო.

— უფალო ღმერთო ჩემო, — ღაღადებდა ნეტარი, — შეიწყალე ჩემი მშობლები და განწმიდე ცოდვებისაგან!

სამი წლის შემდეგ უფალმა გამოუცხადა იოანეს, რომ მოახლოვდა მისი შრომისა და მოთმინების დასასრული. მაშინ წმინდანმა სახლის მმართველს სთხოვა, მასთან მისი ქალბატონი მიეყვანა.

ქალბატონმა თქვა: — ჩემგან რაღა უნდა? მისი ყურებაც არ შემეძლია, ის კი მეძახის. ქმარს როცა ამის შესახებ უთხრა, იმან დაარიგა:

— წადი, ნუ მოიძაგებ მათხოვრებს, რადგან ისინი თვით უფალმა გამოირჩია და ნეტარნი უწოდა. იოანეს დედამ ჭოჭმანი დაიწყო და მალე, უფრო ცნობისმოყვარეობის, ვიდრე ქმრისადმი მორჩილების გამო, დათანხმდა მასთან მათხოვარი მიეყვანათ.

— ჩემო ქალბატონო, — დაიწყო იოანემ, — სულ მალე აღარ დამჭირდება თქვენი დახმარება და თავშესაფრი; ჯილღო განმზადებულია თქვენთვის, რადგან ქრისტემ თქვა: „*რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ*“ (მათ. 25,40). შენ, ქალბატონო, სახსოვრად რაღაც მინდა დაგიტოვო, მაგრამ გევედრები: დამპირდი, რომ თხოვნას შემისრულებ. თუკი ამას იზამ, კურთხეულ იქნები.

ის დაჰპირდა. მაშინ ნეტარმა იოანემ სთხოვა იმ ადგილზე დაემარხათ, სადაც მისი ხუხულა იდგა და თავისი ძონძების გარდა, სხვა არაფერი ჩაეცმიათ. ამის შემდეგ სახარება გაუწოდა და უთხრა:

— დაე, ეს წმინდა წიგნი შენთვის ნუგეში იყოს ამ ცხოვრებაში და კეთილი გზა მარადისობაში!

ქალმა აიღო სახარება, ყოველი მხრიდან დაათვალიერა და გაიფიქრა:

— როგორ ჰგავს ეს სახარება იმას, ჩემმა ქმარმა ჩვენს შვილს რომ აჩუქა!

იგი წავიდა და სახარება ქმარს აჩვენა. ისინი ერთად დაბრუნდნენ იოანესთან და დააფიცეს ეთქვა, საიდან ჰქონდა ის და მათ შვილზე თუ იცოდა რაიმე.


იოანემ ველარ გაუძლო ტანჯვას და შესძახა:

— მე ვარ თქვენი შვილი იოანე, ეს კი — სწორედ ის სახარებაა, თქვენ რომ მაჩუქეთ. მართალია, დამნაშავე ვარ თქვენი მწუნარებისთვის, მაგრამ თქვენმა ნაჩუქარმა სახარებამ მასწავლა მყვარებოდა ქრისტე ყველაზე მეტად და მისი ნეტარი უღელი მოთმინებით მეტარებინა.

ევთროპი და თეოდორა ვაჟიშვილის სასთუმალთან დაემხნენ, ეხვეოდნენ და ცრემლით ასველებდნენ. დიდი იყო მათი სიხარული იმის გამო, რომ მათი საყვარელი ვაჟი მოიძებნა, მაგრამ არანაკლები იყო წუხილი, რადგან სამი წლის მანძილზე შვილი მათხოვარი ეგონათ, სძაგდათ და კარიბჭესთან ტოვებდნენ.

სამაგიეროდ იმ ადგილზე, სადაც იოანე მისი ანდერძის თანახმად დაკრძალეს, ეკლესია და დიდი სასტუმრო ააშენეს. მათ მთელი ქონება მოგზაურთა შენახვასა და მათხოვრების გამოკვებას მოახმარეს.





დიდმოწამე მარინე

სს. 17 ივლისს

წმინდა მარინეს მშობლები წარმართები იყვნენ. მამამისი — ედესი ქურუმი იყო. მარინე ჯერ კიდევ ჩვილი იყო, დედა რომ გარდაეცვალა. მამამ ობოლი გოგონა ქალაქიდან 15 ვერსის დაშორებით ძიძას მიაბარა. ბავშვი სოფლის მყუდროებაში გაიზარდა, ლამაზი გოგონა დადგა და სულიც მშვენიერი ჰქონდა.

მარინე ქრისტიანთა დევნის დროს ცხოვრობდა.

ერთხელ თორმეტი წლის მარინე ერთ ქრისტიანთან — ღვთის კაცთან საუბარს შეჰყვა. მისგან უფალ იესო ქრისტეს შესახებ შეიტყო და სუფთა გულმა მაშინვე შეიგრძნო ჭეშმარიტი რწმენა: უფალი მთელი გულით შეიყვარა. ამის შემდეგ მარინე საშინელი დევნის პირობებში მაცხოვრის შესახებ უშიშრად ქადაგებდა და მისთვის ვნება, სისხლის დაღვრა სწყუროდა. უნდოდა მონათლულიყო, მაგრამ მღვდელი ვერ იპოვა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ უფლის აღიარებისთვის სიკვდილი ნათლობის ტოლფასია და სისხლით ნათლობა სწყუროდა.

მამამ რომ გაიგო, მისმა შვილმა ქრისტე შეიყვარა, მთელი გულით შეიძულა იგი. როცა მარინეს მიწიერმა მამამ ზურგი

აქცია, გოგონა მთლიანად ზეციურ მამას მიენდო და მხოლოდ მასში ეძებდა მხარდაჭერასა და ნუგეშს.

მარინე 15 წლის რომ გახდა, ერთხელ თავისი მამის ცხვრების საცქერად მინდორში გავიდა. გზად ეპარქი (მმართველი), ქრისტიანთა სასტიკი მღევნელი შემოხვდა.

— საიდან ხარ ქალწულო? ვინ არის მამაშენი? რა გქვია? — დაუწყო გამოკითხვა ქალიშვილს. მარინემ მშვიდად უპასუხა, ვისი შვილიც იყო, რა ერქვა, და მოკრძალებულად დასძინა, რომ ქრისტიანი იყო. ეპარქმა გაიგო თუ არა, რომ მას ქრისტე სწამდა, მაშინვე უბრძანა მეომრებს, მისთვის მარინე ქალაქში გაეყოლებინათ. მხევალი ღვთისა მისდევდა ჯარისკაცებს და ლოცულობდა, რომ უფალს ტანჯვაში გაეძლიერებინა. ქალაქს რომ მიაღწიეს, ჯარისკაცებმა ეპარქის ბრძანებით მარინე ვინმე პატივცემულ ქალბატონებს ჩააბარეს.

მმართველი თავდაპირველად სიბრალულით ეპყრობოდა ყმაწვილ ქალს, იმედოვნებდა, რომ ის ქრისტეზე უარს იტყოდა და მას ცოლად გაჰყვებოდა. მეორე დღეს ეპარქმა მარინეს დასაკითხად მიყვანა ბრძანა და ყოველნაირად ცდილობდა მის დაყოლიებას, რომ ღმერთებისთვის მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ ქრისტეს აღმსარებელი უდრეკი იყო. მაშინ მიხვდა მმართველი, რომ იგი იესო ქრისტეზე უარს არასოდეს იტყოდა, ყმაწვილი ქრისტიანისადმი მისი სიბრალული უცებ გაქრა და საშინელი წამება დაუწყო. მარინეს წკეპლით ისე სცემდნენ, რომ ღრმა ჭრილობებიდან სისხლი ნაკადულებად სდიოდა. ხალხი სიბრალულით უყურებდა მოწამეს და მრავალი ტიროდა.

გამძვინვარებულმა მმართველმა უზარმაზარი ღურსმნებით მისი ბოძზე მიჭედება და რკინის კაუჭებით სხეულის დაფლეთა ბრძანა. სხეულის ნაჭრები მიწაზე ცვიოდა და შიშველი ძვლები ჩანდა. უმოწყალო ეპარქმაც კი თვალებზე ხელები აიფარა

და შებრუნდა. ამ საშინელ სისხლიან სანახაობას მანაც ვერ გაუძლო. ამ წამების შემდეგ ბრძანა მარინე ღრმა და ბნელ საპყრობილეში ჩაეგდო.

და აი, მიწისქვეშეთში, სადაც მზის ერთი სხივიც კი არ აღწევდა, დიდმოწამე მარტო დარჩა.

– განმიახლე სული, – ლოცულობდა ნატანჯი და წამებისაგან ღონემიხდილი მარინე, – აღადგინე ჩემი დაფლეთილი სხეული!

ბნელი ღამე იყო, ეშმაკი ქრისტეს მოწამის დაშინებას შეუდგა, მიწისქვეშა დარტყმები გაისმა, საპყრობილის კედლები შეზანზარდა და ნისლიანი სინათლე გამოჩნდა ცეცხლის კვამლივით და ამ ბნელ ალში ჯოჯოხეთის გველი წარმოუდგა. მის საშინელ, საზიზღარ სხეულს სხვადასხვა ქვეწარმავალი ეხვეოდა. გველს ხახა ჰქონდა დაღებული, იქიდან სიმყრალე ამოსდიოდა. ხახადაღებული მიიწევდა და მზად იყო გოგონა გადაეყლაპა. უეცრად მარინემ იგრძნო, რომ თავი უკვე ამ აყროლებულ ხახაში ჰქონდა მოქცეული. მთელი ძალები მოიკრიბა, ღმერთს შეჰლაღადა, ჯვარი გამოისახა – და უეცრად გველის შიგნეული მის თვალწინ გასკდა და მარინე გათავისუფლდა. მიწა გაიპო და გველი მთელი თავისი ქვეწარმავლებით ჯურღმულში ჩაიკარგა, დიდმოწამე კი ზეციური ნათლით გაბრწყინდა.

ღვთისადმი – თავისი მხსნელისადმი მადლიერებით სავსე მარინემ ზევით აიხედა. ცაზე მბრწყინავი ოქროს ჯვარი დაინახა. ჯვრის თავზე თოვლივით თეთრი მტრედი იჯდა.

– გიხაროდენ, მარინე, – მტრედო ქრისტესო! შენ ბოროტ მტერს სძლიე, გიხაროდენ და ილხენდი, ასულო ზეციური სიონისაო! შენი ლხენის დღე დადგა: ბრძენ ქალწულებთან ერთად იესო ქრისტეს ზეციურ პალატებში შეხვალ.

ასე მშვენივრად ესაუბრებოდა ზეციური მტრედი ქრისტეს მტრედს.

მარინეს გული გამოუთქმელმა სინარულმა აავსო და ამ სინარულში უეცრად იგრძნო, რომ მის თავს სასწაული ხდებოდა. დაფლეთილი სხეული ერთ წამში გაუმრთელდა, ისევ ჯანმრთელი და ლამაზი გახდა. უფლისადმი სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსემ მხურვალე ლოცვა დაიწყო. ღამე შეუმჩნევლად მიიღია და გათენდა.

ეპარქმა დიდმოწამე საპყრობილიდან კვლავ გამოიხმო. მარინე, გუშინ სული ძლივს რომ ედგა, მის წინ ლამაზი და ჯანმრთელი წარდგა. მმართველიც და ხალხიც გაოგნებისაგან გაქვავდნენ.

— ჰოი, მარინე! — წამოიძახა ეპარქმა, — როგორ ზრუნავენ შენზე ჩვენი ღმერთები: მადლობა გადაუხადე მათ და მსხვერპლი შესწირე!

— მე ჩემმა უფალმა გამამრთელა, — უპასუხა დიდმოწამემ.

გამძვინვარებულმა ეპარქმა ბრძანა ანთებული სანთლების კონა მოეტანათ და მარინეს იმით შიშველ სხეულს უწვავდნენ. წმინდანი მღუმარედ ითმენდა და სულით ღვთისაკენ იყო მიმართული. მთლად შეიტრუსა, გაშავდა, მაგრამ საშინელ ტკივილს მამაცურად იტანდა.

— უფალო, — ლოცულობდა იგი, — შენ გამატარე ცეცხლში. ახლა ღირს მყავ ნათლობის წყალშიც გავიარო!

მტანჯველმა გაიგონა სიტყვა წმინდა წყლის შესახებ და შესძახა: „სწყურია წყეულს: უნდა დავალევინოთ!“ დიდი კოდი მოიტანეს, ჯალათებმა შეკრეს მარინე და პირამდე ავსებულ კოდაში ჩააგდეს. უხაროდა წმინდანს; ფიქრობდა, რომ შეისმინა უფალმა მისი ლოცვა. ღრმად სწამდა, რომ ეს წყალი მისთვის ნათლობის მაგიერი იქნებოდა. ის იყო წყალში ჩააგდეს, რომ

მიწა იძრა. წმინდანს სხეულზე თოკები დააწყდა. მისი მშვენიერი თავი ზეციური სხივებით გაბრწყინდა და მასზე მზისებრმა მტრედმა ნელა დაიწყო დაშვება, ნისკარტით ოქროს გვირგვინი მოჰქონდა. სამოთხის მაცნე ნელ-ნელა დაეშვა, დიდმოწამის თავს შეეხო და ისევ ძალა ავიდა. ეს მტრედი ამ დროს ბრბოში მყოფმა ფარულმა ქრისტიანებმა დაინახეს.

მარინე ღრმა წყალში იდგა, მაგრამ არ იძირებოდა, გალობდა, აკურთხებდა ყოვლადწმიდა სამების ღიად სახელს: მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. უცებ წმინდანის თავზე ზეცამდე ასული ცეცხლოვანი სვეტი გამოჩნდა. მის თავზე გამჭვირვალე, ბროლივით ჯვარი ბრწყინავდა. ძალა აფრენილი მტრედი ამ ჯვარზე დაეშვა და გაისმა ხმა, რომელიც ყველამ გაიგონა:

— მშვიდობა შენდა, მარინე! უფლის ხელიდან მიიღე უჭკნობი გვირგვინი და ცათა სასუფეველში განისვენე!

ამ სასწაულებრივი ხმისაგან ხალხი შეძრწუნდა. ყველამ დაინახა წყლიდან ამოსული მარინე, საშინელი დამწვრობებისაგან გამრთებელი და არამიწიერი სილამაზით გაბრწყინებული. მრავალმა მაშინვე იწამა ქრისტე.

— ჩვენც ქრისტიანები ვართ! ჩვენც ქრისტიანები ვართ! მზად ვარ მოვკვდეთ მისთვის! — ისმოდა ბრბოდან.

ეპარქი შეაძრწუნა ამან და გამძვინვარებულმა მეომრებს ახალი ქრისტიანების დახოცვა უბრძანა. ბრბო გაიქცა, მაგრამ ახალი ქრისტიანები, მამაცნი და შეუდრეკელნი, ადგილზე დარჩნენ. იმ დღეს 15 ათასი ქრისტიანი მოკლეს.

მოწამეები საკუთარი სისხლით ინათლებოდნენ და ერთ წამში ცოდვებისაგან იწმინდებოდნენ. მოწამეობრივი სიკვდილით გვირგვინდადგმულნი, იმქვეყნად გავიდნენ, სადაც საუკუნო სი-


ნარული და ნეტარებაა. შემდეგ მარინესაც მიუსაჯეს თავის მოკვეთა.


სასჯელის წინ დიდმოწამე დიდხანს ლოცულობდა ყველა-სათვის. უცებ მიწა იძრა, ხალხი შეძრწუნდა. შეშინებული ჯა-ლათი მიწაზე დაეცა. თვით უფალი იესო ქრისტე გამოცხადდა ზეციდან თავის მოწამესთან, თავის საუკუნო განსასვენებელში მოუხმო და ხელები გაუწოდა, რათა მიეღო მისი მშვენიერი სუ-ლი.

აუწერელი სიხარულით აღვსილმა მარინემ ჯალათი წამო-აყენა, ევედრებოდა, სწრაფად დაესრულებინა სიკვდილით დას-ჯა და მახვილს თავი მშვიდად შეუშვირა.

ასე დაასრულა თავისი მოწამეობრივი ღვაწლი წმინდა დიდ-მოწამე მარინემ.

ამის მოწმე იყო მონა ღვთისა ფეოტიმი; ყველაფერი, რაც ნახა და გაიგონა, ჩაწერა მართალთათვის სასარგებლოდ და ქრისტეს მოწამის, მარინეს პატივად და მოსახსენებლად, და სადიდებლად კაცთმოყვარე მაცხოვრისა ჩვენისა, მასვე მამისა და სულისა წმიდისა თანა პატივი და ღიღება აწ და უკუნისამ-დე, ამინ.





მოწამე ნიკიფორე

სს. 9 თეზაურუსი

*„უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს
ღმერთი და ძმაჲ თვისი სძულდეს, მტყუარ არს“.*

1 იოან. 4,20

*„დალათუ შვიდ-გზის დღესა შინა შეგცო-
ლოს და შვიდ-გზის მოაქციოს და გრქუას შენ:
შევიანე, მიუტევე მას“.*

ლუკ. 17,4

მოციქულთა ამ სიტყვების სიმართლეს ყველაზე კარგად მა-
შინ გავიგებთ, როცა წმინდა მოწამე ნიკიფორეს ცხოვრებას
წავიკითხავთ. მას ჰყავდა მეგობარი მღვდელი, სახელად საპ-
რიკოსი, რომელთანაც ნიკიფორეს ისეთი მეგობრობა ჰქონ-
და, რომ ყველას უკვირდა და მათ ღვიძლ ძმებად თვლიდნენ.
დღე ისე არ გავიდოდა, ერთმანეთი რომ არ ენახათ, შესვედრი-
სას ერთმანეთს სიყვარულით უმზერდნენ და ერთმანეთისთვის
რაიმე სასიამოვნოს გაკეთება უნდოდათ. ისე ჩანდა, რომ მათი
დაშორება მხოლოდ სიკვდილს შეეძლო.

ეშმაკს როგორც პირველ ადამიანთა ბედნიერება შეშურდა
სამოთხეში და ცოდვისაკენ უბიძგა, აქაც ასევე, მრავალი წლის

მტკიცე მეგობრობის შემდეგ ეშმაკის ჩაგონებით ნიკიფორესა და საპრიკიოსს შორის მტრობა ჩამოვარდა. ზუსტად არავის შეეძლო იმის თქმა, თუ საიდან დაიწყო ეს ყველაფერი, მაგრამ ეგ იყო, რომ ერთმანეთთან სიარული შეწყვიტეს. თუკი სადმე შემთხვევით გადაეყრებოდნენ ერთმანეთს, პირს იბრუნებდნენ, რომ მისალმებისათვის თავი აერიდებინათ და ერთმანეთზე ყველგან ცუდს ლაპარაკობდნენ. ერთი სიტყვით, ერთმანეთი ისეთივე ძალით შეიძულეს, როგორითაც ადრე უყვარდათ.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ნიკიფორემ შერიგებაზე დაიწყო ფიქრი და საპრიკიოსთან თავის მეგობრებს აგზავნიდა.

— აპატიე, — ეუბნებოდნენ ისინი საპრიკიოსს, — ხომ ხედავ, როგორ ნანობს ყველაფერს, რაც მოხდა! — მაგრამ საპრიკიოსს შერიგებაზე არაფრის გაგონება არ სურდა.

ნიკიფორემ იმავე თხოვნით კიდევ ორჯერ გაგზავნა მასთან მეგობრები, მაგრამ საპრიკიოსი შეუწყნარებელი რჩებოდა, თუმცა ახსოვდა ქრისტეს სიტყვები: „და მომიტყევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტყევეთ თანამდებთა მათ ჩუენთა“, მაგრამ ისინი თითქოს მისთვის არ იყო დაწერილი! ნიკიფორემ, რომელიც განიცდიდა დაკარგულ მეგობრობას, გადაწყვიტა შესარიგებლად უკანასკნელი ნაბიჯი გადაედგა — საპრიკიოსთან წავიდა, მიწამდე თაყვანი სცა და უთხრა: — მომიტევე მამაო! ღვთის გულისათვის მომიტევე! — და ატირდა.

საპრიკიოსს თავისი ყოფილი მეგობრისთვის არც შეუხედავს. მისი გაქვავებული გული ვერც თაყვანისცემამ, ვერც ცრემლებმა ვერ შეძრა. ისე ჩანდა, რომ მასში ნიკიფორესადმი ძველი სიყვარულის აჩრდილიც არ დარჩა...

ამ დროს ქრისტიანების ახალი დევნა დაიწყო. საპრიკიოსი სხვებთან ერთად შეიპყრეს და იგემონის (მთავრის) სამსჯავროზე წარადგინეს.

– ქრისტიანი ხარ? – ჰკითხეს მას.

– დიახ, – უპასუხა საპრიკიოსმა.

– კლირიკოსი¹ ხარ? – ჰკითხეს კვლავ.

– დიახ, პრესვიტერი² ვარ, – ისევ აღიარა მან.

– იმპერატორმა ბრძანა, რომ ქრისტიანებმა ღმერთებს მსხვერპლი უნდა შესწირონ. თანახმა ხარ ბრძანება შეასრულო?

– არა! – წამოიძახა საპრიკიოსმა – იგემონო, განა არ იცი, რომ არის ერთი ღმერთი შემოქმედი ცისა და მიწისა, ზღვისა და ყოვლისა რაც მასშია, თქვენი ღმერთები კი – ეშმაკები არიან?

ამის პასუხად იგემონმა მისი უმოწყალოდ ტანჯვა ბრძანა. რა სასტიკ სატანჯველს არ მიმართეს, მაგრამ ის უღრეკი იყო და მხოლოდ ამას ამბობდა:

– ძალაუფლება მხოლოდ ჩემს სხეულზე გაქვთ და არა სულზე. ჩემი სულის მეუფე – უფალი იესო ქრისტეა, რომელმაც ის შექმნა. მე მისი ერთგული დავრჩები. ის ამის შემდეგაც დიდხანს აწამეს, მაგრამ მამაცურად აიტანა ტანჯვა და ქრისტე არ უარყო. მისი სიმტკიცე რომ დაინახა, იგემონმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. საპრიკიოსი დასასჯელად რომ მიჰყავდათ, ყოფილი მეგობარი ნიკიფორე შეეგება, რომელიც მას უკვე ქრისტეს მოწამედ თვლიდა, და უთხრა:

– ქრისტეს მოწამევე, მომიტევე! შევცოდე შენ წინაშე!

თავის თავმდაბალ თხოვნაზე მან პასუხი ვერ მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ ნეტარი ნიკიფორე კვლავ მის ფერხთით დაემხო და მიტევებას ევედრებოდა: ქრისტეს მოწამევე, მომიტევე, რაც

¹ კლირიკოსი – სამღვდლო დასის წევრი.

² პრესვიტერი – ხუცესი, უპირატესი მღვდელი.

შენს, როგორც ადამიანის წინაშე შეეცოდე. შენთვის უკვე ჩამოდის ზეციდან მოწამის გვირგვინი. ნუთუ ამ წუთსაც არ შეგებრალები? ამჯერადაც არანაირი პასუხი არ იყო. გაკერპებულ საპრიკიოსს თავიც არ მოუბრუნებია ნიკიფორესაკენ, თითქოს იქ არც კი ყოფილიყოს. ამის შემხედვარე მტანჯველებს უკვირდათ და ეუბნებოდნენ ნიკიფორეს: — შენ რომ ხარ, ასეთი უცნაური კაცი არასდროს გვინახავს. რისთვის სთხოვ პატიებას? განა შეუძლია სიკვდილის შემდეგ რაიმე დაგიშაოს? რად გინდა შერიგება მასთან, ვინც ცოტა ხანში აღარ იქნება?

ამაზე წმინდა ნიკიფორემ უპასუხა: — თქვენ არ იცით რას ვთხოვ ქრისტეს აღმსარებელს, ღმერთმა კი იცის. სასჯელის აღვიღზე რომ მივიდნენ, ნიკიფორემ საპრიკიოსს ისევ მიმართა:

— გევედრები ქრისტეს სახელით, ვისთვისაც ევნები, მომიტევე! ხომ თქვა უფალმა: „მიუტევეთ და მოგეტევენ“. უკანასკნელად გთხოვ: მაპატიე! ნუთუ შენ, ქრისტესთან მიმავალს, არ გინდა მისი სიტყვა შეასრულო?!

საპრიკიოსი ამ ვედრებაზეც ყრუ დარჩა, როგორც ასპიტი. და მაშინ უფალმა მისგან წაიღო მადლი, რომელიც მას აქამდე ტანჯვას ათმენინებდა და ქრისტეს ერთგულად ტოვებდა. როცა მტანჯველებმა უბრძანეს დაჩოქილიყო, რათა მისთვის თავი მოეკვეთათ, იყვირა:


— ნუ მომკლავთ! მზად ვარ თაყვანი ვცე ღმერთებს და მსხვერპლი შევწირო.


ამის გამგონე ნიკიფორემ შესძახა:

— ნუ იზამ ამას, ჩემო საყვარელო ძმაო, ნუ იზამ ამას! მეუფე ქრისტე უკვე ჩამოდის ზეციდან, რათა შენი სული მიიღოს, გამარჯვების გვირგვინი დაადგას და საუკუნო ცხოვრებაში წაიყვანოს!

საპრიკიოსი მეგობრის ამ სიტყვებზე ღუძდა. ერთი წამი, მახვილის დარტყმა აშორებდა მას საუკუნო ცხოვრებისაგან, მაგრამ თავისი გულქვაობის გამო ღვთის შეწევნა აღარ ჰქონდა, სიმამაცე დაკარგა, კერპებს მსხვერპლი შესწირა და საუკუნო ცხოვრება დაკარგა. წმინდა ნიკიფორემ კი როცა დაინახა, რომ საპრიკიოსი მთლიანად განუღვა რწმენას და უფალი ქრისტე უარყო, მწვალებლებს ხმამაღლა მიმართა: მე ქრისტიანი ვარ! მე მწამს უფალი იესო ქრისტე, რომელსაც საპრიკიოსი განუღვა. მის ნაცვლად მე დამსაჯეთ!

იგემონმა ეს რომ გაიგონა, ბრძანა საპრიკიოსი გაეშვათ და მის ნაცვლად ნიკიფორესთვის მოეკვეთათ თავი. ასე იქნა მოკლული წმინდა მოწამე ქრისტესთვის, რათა მისგან გამარჯვების გვირგვინი მიეღო და მის წინაშე წმინდა მოწამეთა შორის წარმდგარიყო, რომელნიც აღიდებენ წმიდა სამებას — მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. მასვე შვენის დიდება, პატივი და თავყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!





მონიჭულთასჯორი ნინო – ქართველთა განმანათლებელი*

ხს. 14 იანვარს და 19 აპრილს

წმინდა ნინო წარჩინებული და კეთილმსახური მშობლების ერთადერთი ასული იყო. მამამისი, ზაბულონი, წმინდა გიორგის თანამედროვე და თანამოქალაქე, სახელოვანი მხედართმთავარი იყო, დედა — სოსანა კი იერუსალიმის პატრიარქის — იუბენალის და. წმინდა ნინო ადრეული ასაკიდან გამოირჩეოდა ღვთისადმი სიყვარულით და მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო უფალ იესო ქრისტეს ცხოვრების მოსმენა.

12 წლის ნინო მშობლებთან ერთად წმინდა ქალაქ იერუსალიმში ჩავიდა, სადაც უფალმა იესო ქრისტემ ჩვენი ცხოვნი-

* წმინდა ნინოს ცხოვრება შესწორებულია ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და წმინდა არსენ იყალთოელის „ცხოვრება და მოქალაქობა და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოსი“ მიხედვით.

სათვის ჯვარზე ვნება და სიკვდილი დაითმინა. ნინოს აქ ყოველი კუნჭული სახარებისეულ ამბებს აგონებდა. ისე მოხდა, რომ მამამისი ღვთისადმი დიდი სიყვარულის გამო უდაბნოში წავიდა და ბერად შედგა, დედა კი პატრიარქმა გლახაკი და ავადმყოფი ქალების მომვლელად დაადგინა. ნინო ერთ ღვთისმომშიშ და სარწმუნოებაში განსწავლულ ქალს მიაბარეს, რომელიც მაცხოვრის აღდგომის ტაძარს ემსახურებოდა. მასთან ერთად მსახურობდა წმინდა ნინო. აღმზრდელს ბავშვი ღვიძლი შვილივით უყვარდა და სარწმუნოებისა და კეთილმსახურების წესებით ზრდიდა, იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ უყვებოდა. წმინდა ნინო მაცხოვრის კვართის ადგილსამყოფელით დაინტერესდა.

აღმზრდელმა ნინოს უამბო, რომ კვართი მცხეთელ ებრაელებს ხვდათ წილად და ინახება ჩრდილოეთის ქვეყანაში, რომელიც სპარსეთსა და ოსეთს შორის მდებარეობს. გარდა ამისა, დამრიგებელმა ნინოს უთხრა, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებლები, ისევე როგორც კავკასიის დანარჩენი ტომები, წარმართობის სიბნელეში ცხოვრობენ. ნინოს ეს მონათხრობი გულში ღრმად ჩარჩა.

წმინდა ნინო ღღედაღამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე ლოცულობდა. ერთ ღღეს, ლოცვისას, იგი აღტაცებულ იქნა გონებით და ყოვლადწმიდა ქალწული იხილა, რომელმაც უთხრა: — ნინო, საქადაგებლად გაგზავნი ჩრდილოეთის ქვეყანაში, ჩემს წილხვედრ საქართველოში. წადი უშიშრად და უქადაგე ჭეშმარიტება!

— მე, უცხო და უსწავლელი ქალწული, როგორ შევძლებ ასეთი დიდი საქმის შესრულებას? — ჰკითხა ნინომ.

მაშინ ყოვლადწმიდა დედოფალმა ნინოს ვაზის ჯვარი მიაწოდა და უთხრა:

— აილე ეს ჯვარი! ამით სძლევ ეშმაკის ყველა მზაკვრობას და შენი ქადაგება წარმატებული იქნება. მე ვიქნები შენი შემწე, არ მიგატოვებ.

ხილვა რომ დასრულდა, ნინომ ხელში სასწაულებრივი ჯვარი იხილა და სიხარულის ცრემლებით ეამბორა. ის მაშინვე პატრიარქთან, თავის ბიძასთან წავიდა და სასწაულებრივი ხილვის შესახებ უამბო. პატრიარქმა ნინოს ხილვის შესახებ რომ მოისმინა, გაკვირვებული ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მადლობდა.

ამის შემდეგ წმინდა ნინო პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ეფესოში წავიდა ქრისტიანობის საქადაგებლად ერთ წარჩინებულ მორწმუნე ქალთან ერთად და იქ ორი წელი გაატარა, შემდეგ კი სომხეთში გაჰყვა ქრისტიან ქალებს, რომელთა შორის იყვნენ მის მიერ ქრისტიანობაზე მოქცეული წარჩინებული რიფსიმე და რიფსიმეს აღმზრდელი გაიანე. ეს მორწმუნე ქალები სომხეთის მეფე თრდატმა ქრისტეს აღიარებისთვის სიკვდილით დასაჯა. უფლის განგებით ცოცხალი მხოლოდ წმინდა ნინო გადარჩა და ფარულად საქართველოსკენ გამოემართა.

წმინდა ნინოს გზა ხანგრძლივი და ძნელი იყო. წმინდა ქალწულმა აიტანა სიცივე, შიმშილი, წყურვილი და მხეცებისაგან საშინელი ხიფათი, ვიდრე ბოლოს საქართველოს არ მოაღწია. ის ქართლში, ქალაქ ურბნისში შეჩერდა და, რადგან ებრაული ენა კარგად იცოდა, იქაურ ებრაელებთან მივიდა. ნინომ ურბნისში ერთი თვე იცხოვრა, თან მისთვის უცნობი ხალხის ენასა და ზნე-ჩვეულებებს ეცნობოდა.

ერთხელ ნინომ შეიტყო, რომ ქალაქის მცხოვრებლები მცხეთაში არმაზის კერპის თაყვანისსაცემად და სავაჭროდ წასვლას აპირებდნენ. ნინომ გადაწყვიტა მათთან ერთად წასულიყო მცხეთაში. იგი ხალხს გაჰყვა და სამეფო ქალაქს მიაღწია. ხალხი კერპების თაყვანისსაცემად მცხეთის ახლოს მდებარე მთებისკენ დაიძრა. წმინდა ნინო ხალხს გაჰყვა და სამი კერპი დაინახა — არმაზი, გაცი და გა. შუაში იდგა არმაზის კერპი — დიდი ზომის ქანდაკება, თავზე ოქროს მუზარადით და მკერდზე ასეთივე ჯავშნით. ერთი თვალი იაგუნდისა ჰქონდა, მეორე — ზურმუხტისა, ორივე უჩვეულო ზომისა და ბრწყინვალეობისა. ხალხი თავის მეფესთან ერთად კერპების წინაშე ღრმა მღუმარებით იდგა, ხოლო როცა სისხლიანი მსხვერპლი შესწირეს და საყვირებმა დაიქუხა, ყველანი უსულო კერპების წინაშე დაემხნენ.

წმინდა ნინო კლდის შვერილის ქვეშ იდგა და ყოველივეს ცრემლიანი თვალებით უმზერდა: გული იმ ხალხის სიბრალულთ უკვნესოდა, რომლის შეყვარებაც უკვე მოესწრო და რომელიც, ჭეშმარიტი ღმერთის უმეცარი, კერპებს ეთაყვანებოდა. ნინომ თვალნი ზეცისკენ ალაპყრო და ილოცა:

„უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, ღმერთო და შემოქმედო ყოველთა დაბადებულთაო, რომელი ცხორებისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ხატი მონისა შემოსად არა უღირს-იჩინე, რათა აცხოვნო, რომელი ჰქმენ ხატად შენდა, და იხსნა მძლავრებისაგან სოფლის-მპყრობელისა ბნელისა. მოიხილე აწცა მალლით სამკვიდრებელით დიდებისა შენისაით დაბადებულთა შენთა ზედა და იხსნენ სიბნელისაგან მწარისა და ტყვეობისაგან მტერისა ბოროტისა, რომელსა მხოლოსა გნებავს ყოველთა ცხორება და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსლვა... ჰე უფა-

ლო, ისმინე ვედრება უღირსისა მონისა და მხევლისა შენისა, აჩვენე ძლიერება შენი ჟამსა ამას და ყავ სასწაულ კეთილ, რათა იხილონ ერთა ამათ მაცხოვარება შენი, და შენ მხოლო გიცნან ღმრთად ჭეშმარიტად და შენდა მხოლოისა შეწირონ დიდება და თაყუანისცემა“.

როგორც კი წმინდა ნინომ ლოცვა დაასრულა, ცას მრისხანე ღრუბელი გადაეკრა. ერთბაშად დაბნელდა, გაიელვა, იქუნა. შეშინებული ხალხი გაიქცა. საშინელმა სეტყვამ და ქარიშხალმა კერპები ისე დაამსხვრია, რომ მათგან აღარაფერი დარჩა. მათი ნარჩენები წვიმამ მდინარეში ჩარეცხა. შემდეგ კვლავ მზემ გამოანათა და ბუნება დამშვიდდა. მეფე და ხალხი თავიანთ „ღმერთებს“ ამაოდ ეძებდნენ. ხალხი შეძრწუნებული ამბობდა:

– დიადია ჩვენი ღმერთი, თუმცა კიდეც არის სხვა, ამაზე დიდი ღმერთი, რომელმაც ჩვენსას სძლია. ეს რა მოხდა ან კიდეც რა გველის?

რამდენიმე ხნის შემდეგ წმინდა ნინო მცხეთაში შევიდა. იგი მეფის ბაღში მივიდა. მებაღის ცოლი, ანასტასია, მას სიხარულით მიეგება, თითქოს იცნობდა და დიდი ხანი ელოდაო, თავის სახლში წაიყვანა და გაუმასპინძლდა. წმინდა ნინო მასთან გაჩერდა საცხოვრებლად. ამ ბაღში, მაცვლოვანში წმინდანი გამუდმებით ლოცულობდა, უფალს ეშმაკის ტყვეობისაგან ქართველი ხალხის გამოსხნას ევედრებოდა. ანასტასია და მისი ქმარი უშვილონი იყვნენ და ამის გამო ძალიან წუხდნენ. წმინდა ნინოს ლოცვით მათ მრავალი შვილი ეყოლათ.

ერთი წარჩინებული კაცის შვილი დასნეულდა და მან ბავშვი სამკურნალოდ წმინდა ნინოს მიუყვანა. წმინდანმა ბავშვი აიყვანა, თავის საწოლზე დააწვინა და ილოცა. ღმერთმა შეის-

მინა მისი ვედრება და ბავშვი მყისვე განიკურნა. ასევე, ლოცვით განკურნა ნინომ ერთი დედაკაცის სნეული ასული.

წმინდა ნინოს მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ მრავალმა ადამიანმა შეიტყო. მისი მართალი და უმწიკვლო ცხოვრება ხალხის გულებს იზიდავდა. ნინოს სიამოვნებით უსმენდნენ, მასთან დაახლოებული ადამიანები ნელ-ნელა ქრისტიანობაზე ექცეოდნენ და მალე წმინდა ნინოს გარშემო მოწაფე ქალები შეიკრიბნენ. მათ შორის იყო ქართლის ებრაელთა მღვდელთმოდვარ აბიათარის ასული, სიდონია. მან ნინოსთან მამა მიიყვანა, რომელმაც ნინოსგან ქრისტიანული მოძღვრება რომ მოისმინა, ირწმუნა და თავადაც გაქრისტიანდა.

წმინდა ნინო აბიათართან ხშირად საუბრობდა და მისგან ასეთი ამბავი მოისმინა:

— მრავალი წლის წინ, — თქვა აბიათარმა, — ჩემს წინაპარს, ელიოზს, ქართლის სხვა ებრაელებთან ერთად ქრისტეს სიკვდილის წელს იერუსალიმში ყოფნა მოუწია და მის ჯვარცმასაც დაესწრო. მან ქრისტეს კვართი გამოართვა იმ ჯარისკაცს, რომელსაც ის წილისყრით ერგო. საქართველოში დაბრუნებული ელიოზი მივიდა სახლში და თავის დას, სიდონიას, უფლის კვართი გადასცა. სიდონიამ კვართი აიღო, გულში ჩაიკრა და იმწამსვე გარდაიცვალა. იგი ასევე დაკრძალეს — კვართით ხელში.

აბიათარმა წმინდა ნინოს ისიც ამცნო, რომ მცხეთაში წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენიც (მოსასხამი) ინახებოდა.

წმინდა ნინო სახარების ქადაგებას აგრძელებდა, ქრისტეს სახელით მრავალ სასწაულს აღასრულებდა და ქრისტეს სარ-

წმუნობაზე მრავალნი მოაქცია. მათ შორის იყო მირიან მეფის ცოლი – დედოფალი ნანა. ეს კი ასე მოხდა:

ერთხელ დედოფალი ძლიერ ავად გახდა. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს. დედოფალმა წმინდა ნინოს მოყვანა ითხოვა, მან კი დედოფლის რწმენისა და სიმდაბლის გამოცდა იწება და წარმოგზავნილებს უთხრა:

– თუკი დედოფალს გამოჯანმრთელება სურს, თავად მოვიდეს ჩემთან.

დედოფალმა მართლაც თავი დაიმდაბლა, წმინდანთან მივიდა და მისგან განკურნებას ითხოვდა. წმინდა ნინომ ის თავის საწოლზე დააწვინა და მხურვალედ ილოცა. ღმერთმა შეისმინა ნინოს ვედრება და განკურნა ნანა დედოფალი. დედოფალმა წმინდა ნინო შეიყვარა, დაიახლოვა, ირწმუნა მის მიერ ქადაგებული ღმერთი და ხმამაღლა ქადაგებდა ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტ ღმერთს. თავიანთი დედოფლის მიბაძვით მრავალნი მოიქცნენ, მაგრამ მეფე მირიანი აყოვნებდა და ერთხანს ქრისტიანების მიმართ სიძულვილითაც კი აენთო. წმინდა ნინოს ლოცვით უფალმა ის ამგვარად მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე:

ერთხელ მირიან მეფე ტყეში ნადირობდა. უეცრად ნათელი დღე უკუნ ღამედ იქცა, არემარე ბნელმა დაფარა, მეფის მსლებლები მიმოიფანტნენ. სასოწარკვეთილი მეფე საშველად თავის ღმერთებს უხმობდა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ქარის წივილი და ქუხილი ესმოდა. სასოწარკვეთილ მეფეს ღმერთმა მოწყალებით გადმოხედა და გონება გაუნათლა. მაშინ კერპებზე გულაცრუებულმა მირიანმა საშველად ნინოს ღმერთს უხმო და თქვა:

„ღმერთო ნინოისო, რომელი ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, განმინათლე ბნელი ესე ჩემ ზედა მოხვეული და გამომიბრწყინვე

ნათელი, რათა აღვიარო სახელი წმიდა შენი და გადიდებდე შენ“.

მაშინვე იქაურობა განათდა და მზე გამობრწყინდა. მეფემ ხელები აღმოსავლეთისკენ აღაპყრო და ცრემლით შეჰკლალადა:

„ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთი ჭეშმარიტი, შენ ხარ ღმერთი ღმერთთა და უფალი უფლებათა, რომელმან შეჰქმნენ ცანი და ქუეყანა, შენ აღვიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მიხსენ ჭირისა ამისგან, და მრწამს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი. აღვიარებ სახელსა შენსა წმიდასა და თაყუანის-ვსცემ პატიოსანსა ჯვარსა შენსა“.

მეფე დედაქალაქში რომ დაბრუნდა, ქუჩაში მიდიოდა და ხმამაღლა იძახდა: — ხალხნო, განადიდეთ ნინოს ღმერთი, რადგან ისაა ღმერთი საუკუნო და მასვე შვენის ყოველი ღიდება და თაყვანისცემა.

ხალხი ნანა დედოფალთან ერთად სიხარულით შეეგება მეფეს. მათ უკვე სმენოდათ სასწაულის შესახებ.

მეფე წმინდა ნინოს ეძებდა და კითხულობდა:

— სადა არის ის უცხო ქალი? ის დედაა ჩემი, ხოლო მისი ღმერთი — ჩემი მხსნელი.

წმინდანი ამ დროს თავის ორმოცდაათ მოწაფესთან ერთად მაყვლოვანში ლოცულობდა. მეფე თავის ლაშქართან ერთად წმინდა ნინოსთან მივიდა და უთხრა:

— ჭეშმარიტი ღმერთის მოციქულო, ამიერიდან მწამს, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც შენ ჰქადაგებ. მას ვესაუ და მას თაყვანის-ვცემ.

წმინდა ნინომ მირიან მეფეს ასწავლა ჭეშმარიტი ღმერთის — იესო ქრისტეს თაყვანისცემა.

ქრისტესკენ მირიანის მოქცევა მტკიცე და ურყევი იყო. მან დაუყოვნებლივ თხოვნა გაგზავნა საბერძნეთში, მეფე კონსტანტინესთან, რათა ხალხის მოსანათლად, ქრისტეს სარწმუნოების სწავლებისთვის და საქართველოში ქრისტეს ეკლესიის დასამტკიცებლად ეპისკოპოსები და მღვდლები გამოეგზავნათ.

მეფემ ჯერ კიდევ მღვდლების ჩამოსვლამდე იწეობდა აქტიური როლი. ეს იყო მის ბაღში, სწორედ იქ, სადაც წმინდა სიდონია იყო დაკრძალული მაცხოვრის კვართთან ერთად. იქვე იყო კვიპაროსი, რომელიც მოჭრეს და მისგან ტაძრისთვის სვეტი გამოთაღეს, მაგრამ, რამდენს არ ეცადნენ, მისი აღმართვა ვერ შეძლეს, ძვრაც ვერ უყვეს. საღამოს დანალვლიანებული მეფე სახლში წავიდა, ვერ გაეგო, რატომ ხდებოდა ასე. ხალხი წავიდ-წამოვიდა. მხოლოდ წმინდა ნინო დარჩა და მოწაფეებთან ერთად მთელი ღამე მხურვალედ ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა, რომ ეშმაკს არ დაებრკოლებინა საქართველოს მოქცევა. დილით ადრე მას საკვირველი ჭაბუკი გამოეცხადა და სამი საიდუმლო სიტყვა ჩასჩურჩულა, რომელთა გაგონებისთანავე ნინო მიწაზე დაემხო. ჭაბუკმა სვეტი ცაში აიტანა. ამის შემდეგ ცეცხლივით მოელვარე სვეტი ძირს დაეშვა და იმ გადანაჭერზე დადგა, რომლისგანაც იყო მოკვეთილი.

დილაადრიანად მისულმა მეფემ თავის ბაღში ელვის მსგავსი ნათელი იხილა, რომელიც ზეცამდე აღწევდა. მალე ხალხი მოგროვდა და იხილა დიდი სასწაული – გაბრწყინებული სვეტი კაცთაგან ხელშეუხებლად თავის სადგამზე დამყარებული. მცხეთა შიშითა და სიხარულით აღივსო, ღმერთს აღიდებდნენ და წმინდა ნინოს შენატროდნენ. მრავალი სასწაული აღესრუ-

ლებოდა მაშინ, მრავალი სწეული განიკურნა სვეტთან მიახლოებით. ამ სვეტს სვეტიცხოველი ანუ ცოცხალი სვეტი უწოდეს. აქედანაა სვეტიცხოველის ტაძრის სახელწოდება.

ხალხის დიდმა ნაკადმა მეფეს უბიძგა სვეტის გარშემო ზღუდე გაეკეთებინა. საქართველოში პირველი ქრისტიანული ტაძარი — სვეტიცხოველი ამ ადგილზე აშენდა.

მალევე, ამ ამბის შემდეგ, საბერძნეთიდან მეფე კონსტანტინემ გამოგზავნა მთავარეპისკოპოსი იოანე სამღვდელეობასთან ერთად. მათ ჩამოაბრძანეს მაცხოვრის ხატი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი. მოინათლა მეფე მირიანი, დედოფალი ნანა, მათი შვილები, წარჩინებულები და ურიცხვი ხალხი. მცხეთელები სინარულით მიდიოდნენ მოსანათლად. მათ ახსოვდათ წმინდა ნინოს სიტყვები: ვინც არ მოინათლება წყლითა და სულიწმიდით, ის ვერ იხილავს საუკუნო ცხოვრებას და ჯოჯოხეთში დაიბრუნდება. მღვდლები მიმდებარე დასახლებულ ადგილებში დადიოდნენ და ყველას ნათლავდნენ. მთელი ქართლი მოექცა, კეთილმაუწყებელი წმინდა ნინოს ღვაწლით ის უკვე ამისათვის მზად იყო.

მირიან მეფის ბრძანებით ერთი მარადმწვანე სურნელოვანი ხისგან სამი ჯვარი გამოთალეს, რომელთაგან ერთი აღმართეს მცხეთის მახლობლად მდებარე მთაზე, სადაც შემდგომ ჯვრის მონასტერი აღიმართა. მეორე ჯვარი თხოთის მთაზე აღმართეს, იქ, სადაც უფალმა მირიან მეფეს გონება გაუნათლა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. მესამე ჯვარი წმინდა ნინოს მოწაფემ, სალომე უჯარმელმა ქალაქ უჯარმაში აღმართა.

წმინდა ნინომ მთაში განაგრძო ქადაგება, ჭართლელ-ფხოველებს უქადაგა. მთიელებმა მალე მასთან ჯგუფებად მის-

ვლა დაიწყო. მისი ქადაგებებისა და სასწაულების ზეგავლენით, რომლებსაც წმინდა ქალწული ღვთის სახელით აღასრულებდა, ისინი გაქრისტიანდნენ. მათი მოქცევის შემდეგ წმინდა ნინომ ერწო-თიანეთში იქადაგა, შემდეგ — კახეთში. კახთა მთავრებმა ირწმუნეს მისი ქადაგება და მონათლნენ.

ამის შემდეგ წმინდა ნინო დასნეულდა და მცხეთისკენ გამოემართა, მაგრამ დაბა ბოდბეში რომ მივიდა, გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო. წმინდანს ღვთისაგან თავისი მოახლოებული გარდაცვალების შესახებ ეუწყა. მან ამის შესახებ მაშინვე მეფე მირიანს მისწერა. წმინდა ნინო მეფეს ჭეშმარიტი სარწმუნოების მტკიცედ დაცვისკენ და ქადაგებისკენ მოუწოდებდა. წერილის დასასრულს ეწერა: „აწ მოაშვრეთ ჩემდა წმიდა ეგე მამათმთავარი და კეთილი მწყემსი, რათა წარმგზავნოს და მომცეს საგზალი სულისა საუკუნო, რამეთუ ჟამი განსლვისა ჩემისა მოახლებულ არს“.

წერილი რომ წაიკითხეს, მეფე, ყველა დიდებული და მთელი სასულიერო დასი ეპისკოპოსთან ერთად მომაკვდავთან გამოემართა. წმინდა ნინოს ცოცხალს მიუსწრეს, მოიკითხეს და კურთხევა მიიღეს მისგან. მთავარეპისკოპოსმა იოანემ წირვა აღასრულა და წმინდანი ქრისტეს ხორცსა და სისხლს აზიარა. ამის შემდეგ მოციქულთასწორმა ნინომ სული თვისი ღმერთს შეჰკვდრა.


სიკვდილის წინ მოწაფეების დაჟინებული თხოვნით წმინდა დედამ მათ თავისი წარმოშობისა და ცხოვრების შესახებ მოუთხრო. წმინდანისგან მოსმენილი მოწაფეებმა მაშინვე ჩაიწერეს და ამ მონათხრობმა უძველესი ხელნაწერების სახით ჩვენამდე მოაღწია.


ქრისტეს კეთილმაუწყებლის სხეული ბოდბეში დაკრძალეს. ამ ადგილმა მალე მრავალრიცხოვანი სასწაულებით გაითქვა

სახელი. მის საფლავზე წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააშენეს და საეპისკოპოსო ტაძრად განაჩინეს. საქართველოს ეკლესია წმინდა ნინოს ხსენებას ორჯერ დღესასწაულობს: 14(27) იანვარი წმინდანის გარდაცვალების დღეა, ხოლო 18 აპრილს (ახ.სტ. 1 მაისს) წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანებას ვდღესასწაულობთ.

იშვიათად თუ განუცდია რომელიმე ერს სარწმუნოების გამო ისეთი დევნა, როგორც ქართველ ერს, მაგრამ უსჯულოთა ზეწოლამ მასში მართლმადიდებლობის შემუსვრა ვერ შეძლო, ვერ გატეხა რწმენა, რომელიც სულით ძლიერმა ქრისტიანმა ქალწულმა აქ დანერგა. სასწაულებრივ ხატებთან, რომლებითაც ღმერთმა ივერიის მიწა აკურთხა, და ქართველ წმინდა მოწამეთა ნაწილებთან ერთად წმინდა ნინოს საკვირველი ჯვარი დღემდე ინახება საქართველოში, სიონის საკათედრო ტაძარში.

წმინდა ნინო ახლა ღმერთთანაა, ზეცაში და ყოველთვის ისმენს ჩვენს ლოცვას, როცა მისგან შეწევნას ვითხოვთ. ძვირფასო ბავშვებო, ლოცვისას ასე უნდა ვევედროთ წმინდა ნინოს: „წმინდაო მოციქულთასწორო ნინო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!“





დიდმოწამე და მკურნალი პანტელეიმონი

სს. 27 ივლისს

„ავადყოფობისას ყოველგვარ წამალზე ადრე ლოცვით ისარგებლე“.
ღირსი ნილოს სინელი

წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის – უანგარო მკურნალის შესახებ თხრობა წმინდა ბერის ამ სიტყვებით უნდა დავიწყოთ. მისდამი ლოცვა ჩვენ ბავშვობიდანვე გვასწავლეს. მაშინაც კი, როცა ჯანმრთელი ხარ, სთხოვ: „წმინდაო დიდმოწამეო და მკურნალო პანტელეიმონ, განკურნე სულიერი და ხორციელი სნეულებანი ჩვენი!“ უცქერ მის ხატს, რომელზედაც ჭაბუკია გამოსახული და მადლიერებით აღვსილი ფიქრობ, რომ ის, ზეციური მკურნალი ჩვენს ყოველ ლოცვას ისმენს, ვცხოვრობთ მისი წყალობით და წამლებისთვის თავს მაინც და მაინც არ ვიწუხებთ.

ადამიანები სხვადასხვა წამალს ყიდულობენ და სვამენ, მაგრამ ცოტამ თუ იცის ეს უმთავრესი წესი: ყოველგვარ წამალზე

ადრე ლოცვით ისარგებლე! ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საუკეთესო მეგობარი და მადლიანი ექიმი – ეს წმინდა პანტელეიმონია. მან ეს სახელი უფლისგან იმის ნიშნად მიიღო, რომ შეეწევა ყველას, ვინც მას ლოცვით მიმართავს.

წმინდა დიდმოწამე მე-3 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა, როცა საყოველთაოდ გავრცელებული სარწმუნოება წარმართობა იყო. ის ნიკომიდიაში, მდიდარ და კეთილშობილ ოჯახში დაიბადა. მამამისი – ევსტორგი წარმართი სენატორი იყო, ხოლო დედა – ევულა ფარულად ეთაყვანებოდა ქრისტეს. ის თავის მცირეწლოვან ვაჟიშვილს ევედრებოდა: – გაექეცი კერპთა ბინძურ მსახურებას, როგორც წარსაწყმედელის გზას და ჩვენი შემქმნელი ღმერთისკენ მოიქეცი! ნაადრევმა სიკვდილმა ევულას ხელი შეუშალა შვილი ქრისტეს რწმენაში აღეზარდა. მან მამასთან ერთად საკერპოში სიარული დაიწყო, მაგრამ დედის გაკვეთილები არ ავიწყდებოდა და გულში მისი სარწმუნოების სიყვარული ჰქონდა.

წმინდა დიდმოწამე როცა წამოიზარდა, საექიმო ხელოვნების შესასწავლად მამამ ერთ ცნობილ ექიმს, ევფროსინეს მიაბარა. პანტოლეონი (წმინდა პანტელეიმონის წარმართული სახელი) ბრწყინვალე ნიჭის ყმაწვილი იყო. მალე მან მთელი საექიმო სიბრძნე აითვისა და იმპერატორის კარზეც ცნობილი გახდა. ჭაბუკს ჰქონდა მშვიდი ხასიათი, მშვენიერი გარეგნობა და მჭევრმეტყველების ნიჭს ფლობდა. ის თავის მასწავლებელს სასახლეში დაჰყავდა და იმპერატორს ისე მოეწონა, რომ უბრძანა პანტოლეონისთვის მედიცინა სრულყოფილად ესწავლებინა, რათა შემდგომში სულ თავისთან ჰყოლოდა.

იმ დროს ნიკომიდიაში ქრისტიანი მღვდელი, სახელად ერმოლაოზი ცხოვრობდა. ის ჭაბუკ პანტოლეონს ხშირად ხელავ-

და, როცა ის მის სახლთან გაივლიდა. ერმოლოაზს პანტოლეონის ქცევა და გარეგნობა მოეწონა, თავისთან შეიყვანა და მშობლების, სარწმუნოებისა და მთელი მისი ცხოვრების შესახებ გამოკითხვა დაუწყო.

მიმნლობა ჭაბუკმა უამბო თავის თავზე და იმაზე, რომ ექიმობას სწავლობდა. — ჩემი მასწავლებელი ამბობს, რომ თუ ჰიპოკრატესა და გალენოსს საფუძვლიანად შევისწავლი, ყოველგვარი ავადმყოფობის განკურნებას შევძლებ, — თქვა მან.

მოხუცი ერმოლოაზი ამაზე ჭაბუკს შეეკამათა. მან უთხრა, რომ არ არის სხვა ისეთი ექიმი და მასწავლებელი, როგორც უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომლის მხოლოდ სახელის რწმენით მოხმობას შეუძლია ყველა ავადმყოფობა განკურნოს. მისმა ერთმა შეხებამ განკურნა ქალი, რომელიც 12 წელი სისხლის დენით იტანჯებოდა, მისმა მხოლოდ ერთმა სიტყვამ მკვდრეთით აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, რომ მორწმუნენი მისი სახელით დემონებს დევნიან და ხელის დადებით სნეულებებს კურნავენ.

ამ დღიდან მოყოლებული პანტოლეონი წმინდა მოძღვართან ყოველდღე მიდიოდა, ისმენდა მის საუბრებს ქრისტეზე და ქრისტიანულ სიბრძნეს სწავლობდა. როგორც ჩანს, მას მეტად მოსწონდა ეს საუბრები, რადგან ევფროსინისგან დაბრუნებული, ჯერ ერმოლოაზთან შედიოდა და შინ მერე ბრუნდებოდა.

ერთხელ გზად მიმავალმა ჭაბუკმა ძირს დავარდნილი მკვდარი ყრმა შენიშნა, რომლისთვისაც შხამიან გველს ეკბინა. ის მცირე ხნით შეშინდა, მაგრამ მაშინვე გამხნევედა და გაიფიქრა: აი, შემთხვევა, როცა შემიძლია გავიგო სამართლიანია თუ არა მოძღვარ ერმოლოაზის სიტყვები. შემდეგ მან ასეთი სიტყვებით ილოცა: „გადიდებ შენ, უფალო, რომელსაც დედაჩემი თაყვანს გცემდა! თუკი ჩემს შენდამი მონობასა და მორჩილებას

ინებებ, ყრმა გააცოცხლე, იქედნე კი მოჰკალ“. და შესრულდა მისი თხოვნა: ყრმა აღდგა, გველი კი მოკვდა. პანტოლეონი და უყოვნებლივ ერმოლოაზთან წავიდა, სასწაულის შესახებ უამბო და სთხოვა მოენათლა უფალ იესო ქრისტეს სახელით.

პანტოლეონი დიდად წუხდა თავისი წარმართი მამის გამო და ფიქრობდა ქრისტეს რწმენასთან როგორ მიეყვანა. ერთხელ მამას უთხრა: — „გამარკვიე: ეს ღმერთები, ჩვენს სახლში რომ არიან, რატომ არ მოძრაობენ? ზოგნი რატომ დგანან, ზოგნიც — სხედან. ნუთუ მათ, უსულოებს, შეუძლიათ ჩვენი ლოცვა ისმინონ და შეგვეწიონ?“ მამამ არაფერი უპასუხა, მაგრამ პანტოლეონმა შენიშნა, რომ იმ დღიდან მოყოლებული მამამისს კერპების მიმართ ძველებური რწმენა აღარ ჰქონდა.

ერთხელ პანტოლეონთან ბრმა მიიყვანეს. პანტოლეონ, — უთხრა ბრმამ, — მისსენ სიბრმავეისაგან, დამანახე ტკბილი სინათლის ნათება! მრავალ ექიმს მივმართე, მთელი ჩემი ქონება მათ დავახარჯე, მაგრამ ვერაფერი მიშველეს. განმკურნე და რაც დამრჩა ყველაფერს შენ მოგცემ. ევსტორგიმ გაიგონა ეს და შვილს უთხრა:

— გაფრთხილდი პანტოლეონ! ნუ იქნები თავდაჯერებული, რომ დასაცინი არ გახდე. ხელს ნუ მოჰკიდებ საქმეს, რომელსაც შენზე გამოცდილმა ექიმებმა თავი ვერ გაართვეს!

— ცოტა ხანს მოიცადე, მამაჩემო, — თქვა პანტოლეონმა, — და შენ ჩემი წამლების ძალას დაინახავ.

შემდეგ პანტოლეონი ბრმის თვალებს ხელებით შეეხო და თქვა: „უფალ იესო ქრისტეს სახელით, აიხილე!“ და ბრმა მყის განიკურნა. იქ მყოფნი გაოგნდნენ. ევსტორგიმ მაშინვე ირწმუნა ქრისტე და მღვდელმა ერმოლოაზმა განკურნებულთან ერთად მონათლა.

ცოტა ხნის შემდეგ ევსტორგი მიიცვალა, მისი მემკვიდრეობა პანტოლეონს დარჩა. მან მონები უხვად დაასაჩუქრა და გაათავისუფლა. თავისი მამულით იგი გაჭირვებულებს, ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს ეხმარებოდა, საპყრობილეებში დადიოდა, ბორკილდადებულებს ანუგეშებდა და ავადმყოფებს კურნავდა. ქალაქის მცხოვრებლებმა სხვა ექიმებს თავი ანებეს და პანტოლეონს მიმართეს. ხალხში მას როგორც უანგარო ექიმს, ისე იცნობდნენ.

ყოველივე ამასთან ერთად განკურნებული უსინათლო ქალაქში დადიოდა და თავის მკურნალს განადიდებდა. ხედავდნენ მას უწინდელი ექიმები, რომლებმაც ბრმას ვერაფერი უშველეს და პანტოლეონის მიმართ შურით ივსებოდნენ. მათ თვალთვალი დაუწყეს და შენიშნეს, რომ ის საპყრობილეებში დადიოდა, ქრისტიან ტუსალებს მკურნალობდა, და იმპერატორს ამბავი მიუტანეს. — ხელმწიფეო, — უთხრეს მათ, — ჭაბუკმა, რომელსაც შენ საექიმო ხელოვნების შესწავლა სთხოვე, შენი სიყვარული უარყო! ის ქრისტიან ტუსალებთან დადის, ღმერთების ამ მემობელებს ვილაც ქრისტეს სახელით კურნავს და მათი თანამოაზრეა. თუ მას ცოცხალს დატოვებ, ღმერთებს მასავით მრავალი განუდგება. თუ სიმართლის გაგება გინდა, მოიყვანე ის, ვინც მან განკურნა და ნახავ, რომ არ გატყუებთ.

მეფის ბრძანებით ყოფილი ბრმა მოიყვანეს და ჰკითხა მეფემ, ვინ განკურნა იგი და როგორ.

— პანტოლეონმა ქრისტეს სახელს მოუხმო, შემდეგ ჩემს თვალებს შეეხო და თვალი ამეხილა, — თქვა მან. მანამდე კი სხვა ექიმებში დიდძალი ფული დავხარჯე, მაგრამ ვერაფერი მიშველეს. განა რას მიშველიდნენ ისინი, ვინც უსულო კერპებს ეთაყვანებოდნენ? ისინი თავად ბრმები არიან და გაჭირვებულს ვერაფერს უშველიან.

მეფემ ამის გაგონებისთანავე მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა და მაშინვე პანტოლონის მოსაყვანად ხალხი გაგზავნა. — პანტოლონ, ამბობენ, რომ ესკულაპეს ამცირებ და სხვა ღმერთებს გმობ, ხოლო ქრისტეს აღიდეგ და ღმერთად მხოლოდ ის მიგაჩნია! მოგიხმე, რათა სიმაართლე შენი პირიდან გავიგო. ღმერთებს მსხვერპლი შესწირე და მეცოდინება, რომ შენ შესახებ სიმაართლე არ მითხრეს.

პანტოლონმა ამაზე უპასუხა: — მე ნამდვილად ძმულს ესკულაპე და თქვენი დანარჩენი ღმერთები, ქრისტეს კი ვადიდებ. მისმინე, მეფეო, ქრისტეს საქმეებზე მოკლედ მოგითხრობ. მან ცანი შექმნა, მიწა დაამტკიცა წყალზე, ბრძებს თვალები აუხილა, კეთროვნები განკურნა, მკვდრები აღადგინა. თუ მოისურვებ, შენც იხილავ მის ყოვლადძლიერებას. უბრძანე მომაკვდავი მოიყვანონ, ვის განკურნებაზეც ექიმებმა უარი თქვეს. დაე, შენმა ქურუმებმა ღმერთებს მოუხმონ და მისი გამრთელეობა სცადონ, შემდეგ მე ჩემი ღმერთის მიმართ ვილოცებ. მაშინ ნათელი გახდება, ვინ არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც უნდა აღიღო.

მეფე დათანხმდა. მოიყვანეს განრღვეული, სხეულის ვერც ერთ ნაწილს რომ ვერ ამოძრავებდა. ქურუმები დიდხანს უხმობდნენ ღმერთებს, მაგრამ მათ პასუხს არავინ სცემდა. მაშინ მეფემ თქვა: „ილოცე, პანტოლონ, და ვნახოთ!“ პანტოლონმა ილოცა, შემდეგ აიღო განრღვეულის ხელი და ხმამაღლა წარმოთქვა: „უფალ იესო ქრისტეს სახელით ადექ და განმრთელდი!“ განრღვეული მაშინვე ადგა.

ასეთ აშკარა სასწაულს წესით მეფე და ქურუმები უნდა დაერწმუნებინა, რომ ქრისტეა ჭეშმარიტი ღმერთი, მაგრამ მათ, შურით ანთებულებმა, მეფეს უთხრეს: ხელმწიფეო! ამ ჭაბუკს

თუ არ მოკლავ, ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვა შეწყდება და ქრისტიანთა თვალში დასაცინი გავხდებით.

მაშინ მეფის ბრძანებით პანტოლეონი შეიპყრეს და წამება დაუწყეს. ის გაშიშვლებული ჩამოკიდეს, სხეული რკინის კაუჭებით დაუფლითეს და სანთლებით დაუწვეს, მაგრამ ერმოლოაოზის სახით უფალი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!“ ჯალათებს ხელები მაშინვე მოუდუნდათ და სანთლებიც ჩაქრა. მეფემ ეს რომ დაინახა, ბრძანა დიდ ქვაბში კალა დაედნოთ და მოწამე შიგ ჩაეგდოთ, მაგრამ ცეცხლი მაშინვე ჩაქრა, კალა გაცივდა და პანტოლეონი უვნებელი დარჩა.

მეფემ ვერც ეს სასწაული გულისხმაყო და ბრძანა მოწამისთვის კისერზე დიდი ქვა მოეხათ, ზღვაში გაეყვანათ და დაეხრჩოთ, მაგრამ პანტოლეონს ერმოლოაოზის სახით კვლავ უფალი გამოეცხადა, ქვა შეხსნა და ხელჩაკიდებული ნაპირზე გაიყვანა.

დაბრძანებულ ტირანს ამჯერადაც არ უნდოდა ამ სასწაულში ღვთის ძალა დაენახა და სატანჯველს ერთმანეთის მიყოლებით იგონებდა, მაგრამ ვერც მხეცებმა, რომლებთანაც მოწამე ჩააგდეს, ვერც კბილანებიანმა ბორბალმა ვერაფერი ავნო. მაშინ მეფემ პანტოლეონის ქალაქიდან გაყვანა, თავის მოკვეთა და სხეულის დაწვა ბრძანა.


მოწამის ნეტარი აღსასრულის ადგილას მხოლოდ ზეთისხილის ხე იდგა. პანტოლეონი ამ ხეზე მიაბეს. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მას მახვილი შემოჰკრა, მაგრამ რკინა ცვილივით გაიღუნა და მოწამეს ვერაფერი ავნო, რადგან მას სიკვდილისწინა ლოცვა ჯერ არ დაესრულებინა. ამ დროს ზეციდან ხმა გაისმა: — ამიერიდან შენი სახელი იქნება პანტელეიმონი (ყოვლადმოწყალე), რადგან ყველას წყალობას უყოფ!


ამ ახალი სახელით ღმერთი მიანიშნებდა, რომ ყველა, ვინც გასაჭირში ან მწუხარებაში პანტელეიმონს მოუხმობს, მისგან ნუგეშს მიიღებს.

მეომრები, რომლებსაც ზეციდან ხმა შემოესმათ, მოწამის ფერხით დაემხნენ და მიტევებას სთხოვდნენ. მაგრამ მისი აღსასრულის დრო მოვიდა და მან თქვა:

– თუ ბრძანებას არ შეასრულებთ, ჩემი ქრისტესგან წყალობას ვერ მიიღებთ. მაშინ ერთ-ერთმა აიღო მახვილი და წმინდანს თავი მოჰკვეთა. ჭრილობიდან სისხლის მაგივრად რძე გადმოვიდა, ხოლო ზეთისხილის ხე კენწეროდან ძირამდე ნაყოფით დაიხუნძლა. მრავალმა, ვინც დასჯას დაესწრო, ქრისტე ირწმუნა. მოწამის სხეულის ცეცხლში ჩაგდება ბრძანეს, მაგრამ მას ცეცხლი არ შეეხო. ქრისტიანებმა აიღეს წმინდანის სხეული და პატივით დაკრძალეს.

ამ ყოველივეს პანტელეიმონის სამი მსახური ადევნებდა თვალს, ზეციდან ხმაც ისმინეს და ყველაფერი აღწერეს, რათა საუკუნოდ ყოფილიყო ხსოვნა მოწამისა.





ღირსი სერაფიმე საროველი

სს. 2 იანვარს და 19 ივლისს

წმინდა სერაფიმე საროველმა თავი ბავშვობიდანვე ღმერთს მიუძღვნა. მას როცა 19 წელი შეუსრულდა, დედას მონასტერში წასასვლელად კურთხევა სთხოვა. დედამ მონაზვნური ღვაწლისათვის ვაჟიშვილი ბრინჯაოს ღიდი ჯვრით აკურთხა. ამ დედისეულ ჯვარს იგი სიკვდილამდე მკერდზე ატარებდა.

საროვის საგანეს, სადაც სერაფიმე მივიდა, ყოველი მხრიდან უღრანი ტყე ეკრა. აქ, შუაგულ ტყეში, მან თავისთვის პატარა ქოხი აიშენა და, ქვეყნისგან მოშორებული, დღედაღამ ლოცულობდა. ხშირად წმინდა სერაფიმეს სიცივის, შიმშილისა და სხვა გაჭირვების ატანა უხდებოდა. ასე გაატარა მან მრავალი წელი. როცა ბოლოს და ბოლოს თავისი სენაკის კარი გახსნა, მასთან ხალხმა იწყო მისვლა. ისინი წმინდა მამას ლოცვას სთხოვდნენ. მასთან ცვილის სანთლები მიჰქონდათ, რათა ისინი ლოცვის დროს ხატების წინ აენთო: სანთლები ხატების წინ ხომ ისევე იწვიან, როგორც ღვთის წინაშე ადამიანთა გულები. ამ პატარა სენაკში დღედაღამ ენთო სანთლები და ამი-

ტომ ყველაზე ყინვიან, ცივ დღეებშიც კი აქ ცხელოდა და ღუმელიც არასდროს ენთო.

— არ შემიძლია ჩემს ლოცვებში რამდენჯერმე ყველას მოხსენიება, რადგან ისინი ბევრნი არიან, — ამბობდა წმინდა სერაფიმე, — მე მათ სანთლებს ვანთებ და ვლოცულობ: უფალო, მოიხსენე ყველა შენი მონა, რომელთა სულებისთვისაც მე უვარგისმა ეს სანთლები და კანდლები აგინთე!

წმინდა სერაფიმე ღვთის მიმართ დაუცხრომელად ლოცულობდა. ამის გამო მისი გული სიყვარულით უფრო და უფრო ენთებოდა, უყვარდა არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ყოველი მისი ქმნილება, მის მიერ შექმნილი ბუნება. ამგვარად, გამუდმებული ლოცვითა და ღვთის ხსოვნით მან თავი ცოდვისაგან განიწმინდა. მისი ცხოვრება სამოთხეში პირველ ადამიანთა ცხოვრებას დაემსგავსა, სადაც მხეცები ადამიანს ემორჩილებოდნენ და არც მას და არც ერთმანეთს არ ვნებდნენ.

ღამით წმინდანის სენაკთან მიდიოდნენ მხეცები: დათვები, მგლები, კურდღლები და მეღიები, გველები, ხვლიკები და სხვა ქვეწარმავლებიც მოხონავდნენ. წმინდა სერაფიმე სენაკიდან გამოდიოდა და მათ თავისი საპურიდან აჭმევდა, სადაც ის კვირის სამყოფ პურს ინახავდა. მრავალი მხეცი მიდიოდა მასთან, პური კი ყველას ჰყოფნიდა.

* * *

ღირსი სერაფიმე, თავად სუფთა სულის, მშვიდი და უბოროტო, ბავშვებს განსაკუთრებული სინახით და ალერსით ეპყრობოდა. ახსოვდა წმინდა ბერს, რომ უფალი „მცირეთა ამათ“ ისევე იფარავს, როგორც ის დაიფარა, როცა ბავშვობაში მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა. ეს ამბავი ასე მოხდა: ერთხელ დედამ ბიჭი ტაძრის მშენებლობაზე წაიყვანა და მასთან ერთად

სამრეკლოზე, სულ ზემოთ ავიდა. ბავშვი კიდეზე დაუდევრად დადგა (მოაჯირი ჯერ არ იყო) და გადმოვარდა. შეძრწუნებული დედა კიბეზე დაეშვა, იმედი აღარ ჰქონდა, რომ შვილს ცოცხალს ნახავდა. როგორ გაინხარა, როცა დაინახა, რომ ვაჟიშვილი უვნებლად გადარჩა. უფალმა სასწაულით დაიფარა თავისი რჩეული, უწყოდა, მომავალში რამდენ სიხარულს მოუტანდა ადამიანებს.

ერთხელ, ღირსი სერაფიმეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, როცა ბერი ძლიერ დასუსტდა და მნახველებს ყოველთვის ველარ იღებდა, მასთან მომლოცველთა დიდი ჯგუფი მივიდა. წმინდა ბერი სენაკში არ იყო. საროვის მონაზვნებიდან რომელიღაცამ მნახველებს უთხრა: — ტყეში ეძებეთ, ოღონდ ვეჭვობ, რომ იპოვოთ. ბუჩქებში დაიმალება, ბალახში გაწვება, მხოლოდ ბავშვების ხმებს თუ გამოეხმაურება. რაც შეიძლება მეტი ბავშვი წაიყვანეთ და თქვენ წინ ატარეთ.

და აი, მომლოცველთა ჯგუფი საროვის უღრან ტყეში შევიდა. სიღრმეში შესულებს სულ უფრო მაღალი და ხშირი ხეები ხვდებოდათ. ტყის სიჩუმე და სინესტე ყველას ეუფლებოდა. ვეება ნაძვების ქვეშ სრული სიბნელე იყო, მაგრამ უეცრად ხეებს შორის მზის სხივი შემოიჭრა. ყველანი გამოცოცხლდნენ და მალე მზით განათებულ მდელოზე აღმოჩნდნენ.

მდელოზე განცალკევებით მღვარ ხეებთან გაჭირვებით მუშაობდა გამხდარი ბერი. შარიშური რომ გაიგო, სწრაფად წამოდგა, მონასტრის მხარეს გამოიხედა, როგორც შეშინებული კურდღელი ტყეში შევარდა და თვალს მიეფარა.

ბარე ოცმა ხმამ ერთდროულად დავიძახეთ: — მამა სერაფიმე! მამა სერაფიმე! — წერს თავის მოგონებებში ნ. აქსაკოვა, რომელიც იმ ბავშვებში ერთია. ბერის ყურს ბავშვების ხმები მისწვდა, ვერ მოითმინა და სულ ერთი წუთის შემდეგ ბალახებში

მისი თავი გამოჩნდა. მას თითი პირზე ჰქონდა მიღებული, თითქოს ბავშვებს სთხოვდა არ გაეთქვათ.

წმინდა სერაფიმემ ბავშვებისთვის ბალახში ბილიკი გადაქელა და თავისთან დაგვიდახა. ჩვენ შორის ყველაზე პატარა — ლიზა — პირველი ჩამოეკიდა კისერზე და ლოყა მხარზე ჩამოაღო.

— საუნჯეო, საუნჯეო! — ჩურჩულით ამბობდა ბერი და გულში სათითაოდ გვიკრავდა.

მოზარდი მწყემსი ბიჭუნა სიომა მონასტრისკენ ყვირილით გაექანა: „აქეთ, აქეთ! აქაა მამა სერაფიმე! აქეთ!“ ჩვენ შეგვრცხვა. ჩვენი წამოძახილები და გულში ჩაკვრა დალატად მოგვეჩვენა. უკან დაბრუნებისას ის პატარა ლიზა, რომელიც მამა სერაფიმემ პირველი ჩაიკრა გულში, ბავშვური ენით ტიტინებდა: „მამა სერაფიმე მხოლოდ ჰგავს მოხუცს, სინამდვილეში კი ბავშვია“.

მრავალი წლის შემდეგ ნ. აქსაკოვა, რომელიც ამ შემთხვევას იხსენებს, წერს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ უნახავს ისეთი ბავშვური, ნათელი თვალები, როგორც ჰქონდა ღირს სერაფიმეს, არ უნახავს მისნაირი ღიმილი, რომელსაც მძინარე ბავშვის ღიმილს თუ შეადარებ, როცა მას ანგელოზები ეწვევიან.

კიდევ ერთ შემთხვევას გიამბობთ. სერაფიმეს სენაკის დაკეტილ კართან მნახველების ჯგუფი იდგა. მათგან ზოგიერთი ლოცულობდა: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალენ ჩუენ!“ მაგრამ „ამინ“ არ ისმოდა და კარი არ იღებოდა. მაშინ ერთმა ქალმა იქვე მდგომ ბავშვიან ქალბატონს სთხოვა, რომ მის ბავშვს ელოცა: — თქვენმა გოგონამ ლოცვა წარმოთქვას და მაშინ გაგვიღებს!

მართლაც, როგორც კი გოგონამ ილოცა, შიგნიდან „ამინ“ გაისმა და კარი გაიღო. როგორი სიხარული იყო, როცა წმინდა ბერი დაინახეს!

საყვარელო ბავშვებო! ცხოვრებაში ბევრი მწუხარება გვხვდება: ვილაცას სამარემ ნაადრევად წაართვა დედა, სხვებს ზამთრობით თბილი კუთხე არა აქვთ... ყოველი თქვენგანი შესაძლოა ავად გახდეს. კიდევ უარესია, როცა მარჩენალი მამა ხდება ავად ან სამუშაოზე შეემთხვევა უბედურება, ხოლო, როცა ავად ხდება დედა, მაშინ მთელ ოჯახს უძძიმს. თქვენც გაქვთ თქვენი პატარა მწუხარებები: დღეს რთული ამოცანა მოგცეს, იქ გამოცდები გაქვთ ან მეგობრებს წაეჩხუბეთ — ასეთ დროს გაიხსენეთ, რომ უფალს წმინდა სერაფიმე ჰყავს. უხმეთ მას თქვენს ლოცვებში, სთხოვეთ ილოცოს თქვენთვის, შეგეწიოთ! და ის, ასეთი ალერსიანი და თქვენდამი სიყვარულით სავსე, მაშინვე გიპასუხებთ.

*„ფრიად შემძლებელ არს ლოცვად მართლისად შეწევნად“
(იაკ. 5,16).*

* * *

კეთილმსახური დედის მიერ ღვთისა და მართლმადიდებელი ეკლესიის სიყვარულით აღზრდილ სერაფიმეს ღვთის ტაძარში ყოფნა ბავშვობიდანვე უყვარდა. ის განსაკუთრებული მოწიწებით ეთაყვანებოდა დედა ღვთისმშობელს, რომელმაც ის ათი წლის ასაკში თავის სასწაულმოქმედ ხატთან — კურსკაკორენაიასთან შეხებით მძიმე სნეულებისაგან განკურნა.

შრომაში დედის გულმოდგინე შემწე წმინდა სერაფიმემ, 17 წლისამ, მისი კურთხევით უღრანი ტყით გარშემორტყმულ საროვის სავანეს მიაშურა. იქ იგი მარხვითა და ლოცვით შეუდგა

ღვაწლს და პატარა ქოხში ცხოვრობდა, რომელიც ტყეში საკუთარი ხელით აიშენა.

კვირაში ერთხელ წმინდანთან სავანიდან მწირი საკვები მოჰქონდათ: პურის ნატეხი და ცოტა კომბოსტო. წმინდა სერაფიმე განუწყვეტელ ლოცვაში დღესა და ღამეს ატარებდა და უფალმა სასწაულქმედების ნიჭი მიჰპაღალა. მისმა წმინდა ცხოვრებამ შორს გაითქვა სახელი და, როცა ღვთისმშობლის ბრძანებით დაყუდებულ ცხოვრებას თავი დაანება, მასთან მრავალმა ადამიანმა იწყო მისვლა, რომლებიც კურთხევასა და წმინდა ლოცვებს სთხოვდნენ, თან ავადმყოფებიც მიჰყავდათ განსაკურნებლად.

ყოველთვის ნათელი და გახარებული წმინდა ბერი ხალხს ალერსითა და სიყვარულით იღებდა და თითოეულს „ჩემო სინარულოს“ ეძახდა. მისგან ყველანი ნუგეშისცემულნი მიდიოდნენ და ამისთვის მასთან სხვადასხვა ძღვენი მიჰქონდათ, რომელსაც ის იმწუთშივე ღარიბებს ურიგებდა.

ამის შესახებ ბოროტმა ადამიანებმა შეიტყვეს. იფიქრეს, წმინდა სერაფიმეს ბევრი ფული ექნებაო და მისი გაძარცვა გადაწყვიტეს. ერთხელ, როცა ის ტყეში ხეს ჭრიდა, მასთან სამი კაცი მივიდა და ფული მოსთხოვა.

– შენთან ერის ხალხი დადის და ფული მოაქვს, – ამბობდნენ ისინი. მოღვაწე კი პასუხობდა: მე არავისგან არაფერს ვიღებ. მძარცველებმა არ დაუჯერეს. ერთი მათგანი ზურგიდან მივარდა, რომ მიწაზე დაეგდო, მაგრამ თვითონ დავარდა.

ღირსი სერაფიმე ახალგაზრდობიდანვე ღიმილი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა და ახლაც ცულით აღჭურვილს თამამად შეეძლო თავი დაეცვა, მაგრამ წმინდა მოღვაწეს გაახსენდა მაცხოვრის სიტყვები: „ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახ-

ვილითა წარწყმდენ“ (მათ. 26,52). მან ცული მიწაზე დადო, ხელელები მკერდზე გადაიჯვარედინა და თქვა:

— გააკეთეთ, რაც გინდათ. — მან დაუმსახურებელი ტანჯვის მოთმენა გადაწყვიტა.

ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ცული აიღო და წმინდა სერაფიმეს ტარი ძლიერად ჩაარტყა თავში. წმინდა მოღვაწეს პირიდან და ყურებიდან სისხლი წამოუვიდა და მიწაზე უგრძობლად დაეცა. ყაჩაღებმა სენაკისაკენ წაათრიეს და გზადაგზა ცულით და ხის ნაჭრებით სცემდნენ. მძარცველებმა წმინდა სერაფიმეს ხელ-ფეხი შეუკრეს და წინკარში დააგდეს, თვითონ კი მის სენაკში შეცვივდნენ. მეუღაბნოეს ღარიბ ქოხში ყველაფერი ყირაზე დააყენეს, ღუმელი დაამტვრიეს, იატაკი აყარეს და ვერაფერიც ვერ ნახეს... შიშის ზარი დაეცათ, მიხვდნენ, რომ უდანაშაულოდ და ტყუილუბრალოდ სცემეს წმინდა ადამიანი და შეძრწუნებულნი იქაურობას გაეცალნენ.

წმინდა სერაფიმე სასტიკი ცემის შემდეგ გონს ძლივს მოვიდა. ხელ-ფეხი როგორღაც გაიხსნა, ილოცა, რომ ღმერთს მიეტევებინა ყაჩაღებისთვის, ის ღამე თავის სენაკში საშინელ ტანჯვაში გაატარა და დილით მონასტერში წალასლასდა.

წმინდა მოღვაწე საშინლად გამოიყურებოდა: თმა და წვერი აჩეჩილი, სისხლიანი, მტვრით და ნაგვით სავსე ჰქონდა, სახე და ხელები დალურჯებული, რამდენიმე კბილი ჩამტვრეული, გასისხლიანებული სამოსი ზოგან ჭრილობაზე მიხმობოდა. ძმები შეძრწუნდნენ წმინდა სერაფიმე ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახეს. მან მონასტრის მოძღვრის მოყვანა ითხოვა და სუსტი ხმით, გაჭირვებით უამბო, რაც შეემთხვა.

ღირსი სერაფიმე პირველი რვა დღე საშინლად იტანჯებოდა: არც საკვების მიღება შეეძლო, არც სასმელის. ძლიერი ტკივილი არ აძინებდა. სავანეში არ ეგონათ, თუ გადარჩებოდა. წი-


ნამძღვარმა მეშვიდე დღეს ექიმების მოსაყვანად უახლოეს ქალაქში კაცი გაგზავნა. მის ლოგინთან ექიმებმა თავი რომ მოიყარეს და ავადმყოფის მდგომარეობაზე მსჯელობდნენ, ღირს მამას ჩაეძინა და საოცარი ხილვა ნახა. მას ღვთისმშობელი გამოეცხადა პეტრე და იოანე მოციქულებთან ერთად, ის ავადმყოფის სარეცელთან მარჯვნიდან მივიდა და ექიმებს მიმართა: „რას იღვწით?“ შემდეგ წმინდა მოღვაწეს შეხედა და თქვა: „ეს — ჩვენი გვარისაა“. ხილვა ამით დასრულდა. ავადმყოფმა გაიღვიძა. ამ დროს წინამძღვარიც მოვიდა და ავადმყოფს ექიმების დახმარება შესთავაზა, მაგრამ ყველასთვის დიდად გასაკვირად ღირსმა სერაფიმემ გადაჭრით უპასუხა, რომ არ სურს დახმარება კაცთაგან და თავის ცხოვრებას უფალ ღმერთსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ანდობს.


სასწაულებრივი ხილვის შემდეგ ღირსი მამა გამოუთქმელი სინარულით აივსო და მისი აღტაცებული განწყობილება ოთხ საათს გაგრძელდა. შემდეგ ის თავის ჩვეულ სულიერ მდგომარეობას დაუბრუნდა და ავადმყოფობისგან შვება იგრძნო. წმინდანს ნელ-ნელა ძალა უბრუნდებოდა: ლოგინიდან წამოდგა, საღამოს ცხრა საათისთვის სენაკში სიარული დაიწყო, ცემის შემდეგ პირველად მიიღო მცირე საკვები. ამ დროიდან მისმა ჯანმრთელობამ ნელ-ნელა გაუმჯობესება დაიწყო, მაგრამ ცემის კვალი მას სიკვდილამდე შერჩა.

* * *

საროვის სავანეში წმინდა სერაფიმე ახალგაზრდა, მოხდენილი და ჯანმრთელი მივიდა. ერთხელ ტყეში მუშაობისას ის მოჭრილმა ხემ ქვეშ მოიყოლა და ბუნებრივი აღნაგობა დააკარგვინა. ახლა კი, მძარცველების თავდასხმის შემდეგ, მხოლოდ ჯოხზე ან ნაჯახზე დაყრდნობით დადიოდა.

წმინდა სერაფიმემ არა მხოლოდ მიუტევა თავის მტანჯველებს, არამედ მთავრობას ევედრებოდა ყაჩაღები არ დაესაჯა. თუმცა ისინი უფალმა დაუსჯელნი არ დატოვა: მათ ქოხები დაეწვათ. შემდეგ, როცა მშვიდ მოხუცთან პატიებისთვის მივიდნენ, მან მთელი გულით მიუტევა თანახმად ქრისტეს მცნებისა: „გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა; აკურთხევდით მწყევართა თქუენტა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (ლუკ. 6,27-28).





ღირსი სმრბი რადონეჟელი

ხს. 5 ივლისს და 25 სექტემბერს

ძველად რუსეთში დიდი და უღრანი ტყეები იყო. ქალაქები ცოტა იყო, სოფლები და დასახლებები ერთმანეთისგან დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი. ხალხი ხის სახლებში ცხოვრობდა, მიწას ხნავდა, ტყეში ნადირობდა, მდინარეებსა და ტბებში თევზს იჭერდა.

ქალაქ დიდი როსტოვის მახლობლად კარგი და კეთილი ადამიანები — კირილე და მარიაში ცხოვრობდნენ. ისინი ფრიად კეთილმსახურნი იყვნენ, ღმერთი უყვარდათ, ღარიბების დახმარებას ცდილობდნენ და ეკლესიაში დადიოდნენ, მოგზაურებისა და უსახლკართოა მიმართ განსაკუთრებულად მოსიყვარულენი იყვნენ. ცოლ-ქმარი მათხოვრებს სახლში იღებდა, აჭმევდა, ასმევდა და ღამის გასათევად ტოვებდა. მათ სამი შვილი ჰყავდათ — სტეფანე, პეტრე და ბართლომე. დედამ შენიშნა, რომ უმცროსი დაბადებიდანვე განსაკუთრებული ბავშვი იყო და დანარჩენებს არ ჰყავდა.

ბართლომეს (მომავალში — სერგის) შვიდი წელი რომ შეუსრულდა, ის ძმასთან, სტეფანესთან ერთად სკოლაში მიაბა-

რეს. ეს იყო ეკლესიასთან არსებული სკოლა. იმ დროს რუსეთში ხალხი მეტად ღვთისმოსავი იყო: უყვარდათ ხანგრძლივი საეკლესიო მსახურება, კარგი გალობა და თავიანთ შვილებს ლოცვებსა და ფსალმუნებს ასწავლიდნენ. ანბანი იმ დროს დასურათებული არ იყო, იქ არც ლექსები იყო და მისი შესწავლა ადვილი არ იყო. ჩვეულებრივ, მასწავლებელი მეღავითნე იყო და იმ ბავშვებს, რომლებიც ცუდად სწავლობდნენ, მკაცრად სჯიდა: ხშირად კუთხეში მუხლებზე აყენებდა. ბავშვებს რცხვენოდათ, როცა ამხანაგები დასცინოდნენ, ხოლო მშობლები ძლიერ წუხდნენ, რომ მათმა შვილებმა ღვთის სიტყვის წაკითხვა არ იცოდნენ.

სტეფანე კარგად სწავლობდა, პატარა ბართლომეს კი სწავლა უჭირდა. ის მთელი ძალით ცდილობდა, მაგრამ არაფერი რომ არ გამოსდიოდა, ძალიან დარდობდა, ღამ-ღამობით კიდეც ტიროდა. ბავშვები, მართალია, პატარები იყვნენ, მაგრამ თავისუფალ დროს მშობლებს რითიც შეეძლოთ ეხმარებოდნენ. ბოიარ კირილეს ჰყავდა რამდენიმე ცხენი, რომლებიც ბავშვებს მინდორში დაჰყავდათ.

ერთხელ მამამ პატარა ბართლომე ცხენების მოსაყვანად ტყეში მარტო გაუშვა. ცხელი დღე იდგა. მინდორში ყვავილების სურნელი ტრიალებდა და ჩიტები ხმამაღლა გალობდნენ. ბართლომე იმ ადგილზე მივიდა, სადაც ჩვეულებრივ მათი ცხენები ძოვდნენ და ნახა, რომ ისინი აღარ იყვნენ. ბიჭმა ძებნა დაიწყო, დაბალი ნაძვებით დაფარულ გორაკზე ავიდა, ტბასთან გავიდა, რომლის ლურჯ ზედაპირზე ღრუბლები ირეკლებოდა. ცხენები არ ჩანდნენ. ბავშვი მათი ძებნით დაიღალა, მაგრამ სხვა ბავშვებივით ყვირილი და ტირილი არ დაუწყია. მან ლოცვა დაიწყო, რათა ღმერთი ცხენების პოვნაში დახმარებოდა.

უცებ ბართლომემ ტყის პირას ჭაღარა, გრძელწვერიანი ბერი დაინახა. ის ალერსიანად იღიმებოდა. — რა გინდა, ბიჭუნავ, — ჰკითხა მან, — რისთვის ლოცულობ? პატარა ბართლომეს უცნობის არ შეშინებია. მან იგრძნო, რომ ეს უბრალო ბერი არ უნდა ყოფილიყო, არამედ — წმინდანი, რომელიც ღმერთმა დახმარებისთვის გამოუგზავნა. — მინდა კარგად ვისწავლო, მინდა რთული ანბანი დავძლიო, — უპასუხა ბიჭმა.

ბერმა ილოცა, უბიდან პატარა ყუთი ამოიღო, იქიდან კი — სეფისკვერის ნაწილი, იმით ბართლომე აკურთხა და შეჭმა უბრძანა. ამ დროს მღელღოზე ცხენებიც გამოჩნდნენ. მოხუცს ბართლომესთან გამოთხოვება უნდოდა, მაგრამ მან დაიყოლია, რომ სახლში გაჰყოლოდა. „ჩემს მშობლებს უყვართ წმინდა ადამიანები“, — თქვა ბიჭუნამ. ნავახშმევს მოხუცმა ბართლომეს წიგნი აალებინა და უბრძანა წაეკითხა. — მე ხომ კითხვა არ ვიცი, — თითქმის ტირილით თქვა ბართლომემ. ბერმა გაშალა წიგნი და კიდევ ერთხელ უბრძანა წაკითხვა. მაშინ უფროსების დამჯერე ბიჭმა აიღო ფსალმუნნი და რა მოხდა? უცებ კარგად და გამართულად დაიწყო კითხვა. ყველა მიხვდა, რომ ეს უფლის სასწაული იყო. მგზავრმა მშობლებს უთხრა: „ამიერიდან ის კარგად ისწავლის და წმინდა წერილი ეცოდინება, ხოლო როცა გაიზრდება, ღვთის მცნებების სასწავლად მასთან მრავალნი მივლენ“.

ბერმა ღამე კირილეს ოჯახში გაათენა, მეორე დღეს ყველა დალოცა და წავიდა. იმ დღიდან ბართლომემ ისე კარგად დაიწყო სწავლა, რომ მალე სკოლაში თავის ამხანაგებს გაუსწრო. მას უფრო და უფრო შეუყვარდა ღვთისადმი ლოცვა, მარხვის დღეებში — ოთხშაბათსა და პარასკევს — მხოლოდ პურს ჭამდა და წყალს სვამდა, ყოველთვის დამჯერე და ალერსიანი იყო.

ძმებს არასდროს უწყობდა, მაშინაც კი, როცა აჯავრებდნენ. თვითონ არავის აწყენინებდა, სხვებზე არ ჩიოდა, ყველაფერს სიმშვიდით ითმენდა, არ ტიროდა. ღარიბებსა და უბედურებს დაინახავდა თუ არა, რაც ხელთ ჰქონდა ყველაფერს აძლევდა. ბართლომე რაც მეტად იზრდებოდა, გული სულ უფრო მიუწევდა ტყისკენ, რათა სულ განმარტობულიყო და ღვთისადმი ელოცა.

იმ დროს მლოცველები ხშირად უღრან ტყეში მიდიოდნენ, იქ ქოხებს იშენებდნენ და მთელი დღეების განმავლობაში ლოცვად იდგნენ. ბართლომესაც ასევე მოუნდა წასვლა, მაგრამ მშობლებმა უთხრეს: „ჩვენ უკვე მოგხუცდით, ნუ მიგვატოვებ, ჩვენთან იცხოვრე“. ის დამორჩილდა და დარჩა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თავად მშობლებმა ისურვეს მონაზვნად წასვლა და მაშინ ბართლომემ შეძლო თავისი სანუკვარი სურვილის შესრულება. მისმა ძმამ, სტეფანემ მასთან ერთად წასვლა გადაწყვიტა.

ძმები უღრანი ტყით მიდიოდნენ, უცებ გორაკი დაინახეს, რომელიც ისე მოეწონათ, რომ იქ დასახლება გადაწყვიტეს. მათ ხეები მოჭრეს, ქოხი ააშენეს, იქვე ახლოს პატარა ეკლესია ააგეს. როცა ეკლესია მზად იყო, ორივე ძმა მოსკოვში წავიდა. მათ მიტროპოლიტს სთხოვეს მისი კურთხევა. მიტროპოლიტმა მღვდელი გააგზავნა და მან ეკლესია წმინდა სამების სახელზე აკურთხა.

ძნელი იყო უღრან ტყეში ცხოვრება, გზები არ იყო, მათთან არავინ მიდიოდა გარდა მათი ძმა პეტრესი, რომელსაც დროდადრო პური მიჰქონდა. სტეფანემ ასეთ ცხოვრებას ვერ გაუძლო, დაემშვიდობა ძმას და მოსკოვში, ერთ-ერთ მონასტერში წავიდა. ბართლომე მარტოღმარტო დარჩა. დროდადრო მას-

თან ღვთისმსახურების ჩასატარებლად მღვდელი მიტროფანე მიდიოდა. ერთხელ ბართლომემ მას უთხრა, რომ მონაზვნად შედგომა, უბიწოების, მორჩილებისა და უპოვარობის სამონაზვნო აღთქმების დადება უნდოდა. მღვდელმა მიტროფანემ ის აღკვეცა და უწოდა ახალი სახელი — სერგი.

სერგიმ ტყეში კიდევ რამდენიმე წელს იცხოვრა. შემოდგომაზე წვიმდა, ხეები შრიალებდნენ, საკვამურში ქარი წიოდა. ზამთარში ქონს სახურავამდე თოვლი ფარავდა. ირგვლივ გარეული მხეცები დაძრწოდნენ. ზოგჯერ სერგის შიში იპყრობდა, მაგრამ დღედაღამ ლოცულობდა და შიშს ასე ძლეევდა.

ერთხელ სერგი ეზოში გამოვიდა და ნახა — პარმალზე დიდი დათვი გაწოლილიყო. მისი არ შეშინებია, სენაკში შებრუნდა, პურის ყუა გამოიტანა და დათვს აჭამა. მხეცმა შეჭამა პური და ტყეში გაუჩინარდა. რამდენიმე დღის შემდეგ დათვი კვლავ გამოჩნდა და სერგიმ ის ისევ დააპურა. დათვმა ღირსი მამის მონახულება გაახშირა და ისე მოთვინიერდა, რომ შეიძლებოდა მოფერებოდი. სერგის ფეხებთან ის ძალღვიით იწვა.

დრო გადიოდა. სერგი მიეჩვია მარტოობას, უყვარდა ტყის ხმაური და სიჩუმე, მაგრამ ხალხმა მის შესახებ შეიტყო. მათ აქ მოსვლა და დასახლება დაიწყეს. რამდენიმე კაცი შეგროვდა, 12 სენაკი დადგეს (სამონასტრო პატარა სახლები), ღობე შემოავლეს, რომ მხეცები არ შესულიყვნენ და გაჩნდა სავანე. ყველა ამ ადამიანს ძმა ერქვა. ისინი ერთად ლოცულობდნენ, ერთად მუშაობდნენ. სერგი ყველასთვის მაგალითი იყო: ხეებს თვითონ ჭრიდა, წყალი მოჰქონდა, ბაღჩა გააშენა, ღურგლობდა. ბევრი მონაზონი რომ შეიკრიბა, სერგი დაიყოლიეს მათი წინამძღვარი გამხდარიყო. მოსკოვის მიტროპოლიტმა სერგი წინამძღვრად აკურთხა. ის სავანეს სათავეში ჩაუდგა და ყველა

მონაზონზე მშობელ მამასავით ზრუნავდა. ღირსი სერგის გარშემო სულ მეტი და მეტი მონაზონი იკრიბებოდა. ააშენეს ახალი დიდი ეკლესია და მრავალი ახალი სენაკი. სერგიმ თითოეულს თავისი საქმე დაუწესა, არავინ ზარმაცობდა, მაგრამ მონასტერი მაინც ღარიბი იყო, ხშირად პურიც კი არ ჰყოფნიდათ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ რამდენიმე დღე საჭმლის გარეშე დარჩნენ. მონაზვნები ჩამოხმნენ, მივიდნენ წინამძღვართან და უთხრეს: „ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია, პური დღესაც თუ არ გვექნა, დავიშლებით“. — „ცოტა მოითმინეთ, — უთხრა მათ ღირსმა სერგიმ, — ღმერთს ვევედროთ, რომ პური გამოგვიგზავნოს“. ყველა ლოცვად დადგა და უცებ გაიგონეს, რომ ვიღაცამ კარიბჭეზე ძლიერად დააკაკუნა. მეკარე ბერმა კარი გააღო და დაინახა: თბილი პურით სავსე ურმები იდგა. პურის მომტანებმა თქვეს, რომ ისინი ღირს სერგისთან გამოგზავნეს, მაგრამ საიდან — არ უთქვამთ. მაშინ ილუმენმა ზარები დაარეკინა, ყველა მონაზონი შეკრიბა და პარაკლისი გადაიხადეს, ღმერთს მადლობდნენ, რომ მათი ლოცვა შეისმინა.

მალე წმინდა სერგის შესახებ მთელმა რუსეთმა შეიტყო და ყველა წმინდანად თვლიდა. მაგრამ ის უწინდებურად მოკრძალებული რჩებოდა და როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტს შრომობდა. ისე ღარიბულად ეცვა, რომ მასში წინამძღვარს ვერავინ იცნობდა. ერთხელ შორეული სოფლიდან უბრალო გლეხი მივიდა, რომ წინამძღვარი ენახა. ავიდა სავანეში და იკითხა: „ილუმენი სერგი სადაა?“ მონაზვნებმა უპასუხეს: „ცოტა მოიცადე, ბაღჩიდან მალე გამოვა“. გლეხმა დიდხანს უცადა, შემდეგ ღობის იქით გაიხედა და დაინახა: ვიღაც ღარიბულად ჩაცმული ბერი მუშაობდა, კვალს ჩიჩქნიდა.

– ილუმენი სადაა? შორიდან ვარ მოსული, – ისევ იკითხა გლეხმა. აგერ მოდის, – უპასუხეს მას. გლეხს დაჯერება არ უნდოდა. მედიდურ წინამძღვარს ელოდა, მას კი უბრალო, დატაკ ბერს უჩვენებდნენ. ღირსი სერგი გამოვიდა გლეხთან, როგორც პატივსაცემ სტუმარს, თავი მდაბლად დაუკრა და სატრაპეზოში წაიყვანა. გლეხი უყვებოდა სერგის, როგორ დასწყდა გული, რომ ილუმენი ვერ ნახა. სერგიმ ალერსიანად გაუღიმა და უთხრა: „ნუ დარდობ, მოიცადე და ნახავ, ვისი ნახვაც გინდა“.

უცებ ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა, კარიბჭე გაიხსნა და სავანეში თვით მთავარი შემოვიდა ბოიარებთან ერთად. ყველა წამოდგა. მთავარი ცხენიდან ჩამოქვეითდა და სერგის თავყანი სცა, ღირსმა კი დალოცა, ეამბორა და გვერდით მოისვა. გლეხმა თვალი მოავლო სატრაპეზოს, ილუმენს ეძებდა, იკითხა: „სერგი სადღაა?“ ვიდაცამ უპასუხა: „შეხედე, აი ის, მთავრის გვერდით ზის!“ ახლა კი მიხვდა გლეხი, რომ ის ბერი, ძველი დაბებკილი კაბით შემოსილი კვლებს რომ თხრიდა, სწორედ ილუმენი სერგი იყო. მის ფერხთით დაემხო და მიტყეუბას სთხოვდა, რომ ვერ იცნო. ღირსი მამა მოეფერა და დაამშვიდა. სერგი ერთნაირად უბრალო და ალერსიანი იყო მთავართანაც და უბრალო გლეხთანაც. ეს იმიტომ, რომ უფალმა ყოველი ადამიანის სიყვარული ბრძანა.

სავანის მახლობლად ერთი მდიდარი, მაგრამ ძუნწი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ თავის ღარიბ მეზობელს ღორი წაართვა და არ უბრუნებდა. ღარიბი მეზობელი ღირს სერგისთან წავიდა და თავისი გასაჭირი უამბო. ილუმენმა მდიდარი დაიბარა, ჩააგონა, რომ ღარიბების წყენინება სირცხვილია და უბრძანა ღორი დაებრუნებინა. მდიდარი შეჰპირდა, მაგრამ მერე ინანა

და ღორი დაკლა, ხორცი კი საკუჭნაოში ყინულზე შეინახა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა იქ შეიხედა, ნახა, რომ ხორცი დამპალიყო და მატლს გამოეჭამა. მიხვდა მდიდარი, რომ ღმერთმა დასაჯა სიხარბისთვის და იმისთვისაც, რომ სერგის არ დაუჯერა.

წმინდა ადამიანებს ღმერთი ზოგჯერ ხილვებს უგზავნის. წმინდა სერგისაც ჰქონდა ასეთი შემთხვევა. ერთხელ გვიან საღამოს თავის სენაკში ლოცულობდა. უცებ ხმა გაიგონა: „სერგი!“ ფანჯარა გააღო და დაინახა: — ციდან საოცარი ნათელი იღვრებოდა და ისეთი საოცარი ფრინველები დაფრინავდნენ, როგორც ადრე არასდროს ენახა. ხმამ, რომელმაც დაუძახა, ისევ უთხრა: „სერგი, ირგვლივ მიმოიხედე! რამდენ ფრინველსაც ხედავ, იმდენი მოწაფე გეყოლება. და თუ ისინი შენსავით იცხოვრებენ, მათი რიცხვი არასდროს დაიკლებს“.

იმ დროს რუსეთში მთელი სწავლება საეკლესიო იყო. წიგნების ბეჭდვა არ იცოდნენ. მათ მონაზვნები წერდნენ მონასტრებში. ბავშვებს წერა-კითხვას ისინი ასწავლიდნენ და განათლების მთელი შუქი წმინდა სავანეებიდან მოდიოდა.

ღირსი სერგის დროს მოსკოვის დიდი მთავარი იყო დიმიტრი ღონელი. ეს სახელი მას თათრებზე გამარჯვების შემდეგ შეარქვეს. მთავარმა დიმიტრიმ გადაწყვიტა თათართა უღლისაგან რუსეთის გათავისუფლება. ის სერგისთან მივიდა და თათრებთან ბრძოლის წინ კურთხევა სთხოვა. წმინდა სერგიმ აკურთხა, რადგან სამშობლო უყვარდა, ხალხი ებრალებოდა და იცოდა, რომ მთავარი მართალი საქმისათვის, სამშობლოსათვის, მართლმადიდებლობისთვის იბრძოდა. მან მთავარსა და მის რაზმს ნაკურთხი წყალი ასხურა, პარაკლისი გადაიხადა და

ორი მონაზონი გააყოლა — პერესვეტი და ოსლიაბი, რომლებიც ადრე მეომრები იყვნენ.

მართალია, კულიკოვოს ბრძოლა საშინელი იყო და მრავალმა რუსმა ჯარისკაცმა პოვა იქ სამარე, მაგრამ უფალმა მათ გამარჯვება არგუნა. დიმიტრი დონელი მოსკოვში გამარჯვებულნი დაბრუნდა.

გადიოდა წლები. ღირსი სერგი სულ უფრო ძლიერად და მხურვალედ ლოცულობდა, სულ უფრო უახლოვდებოდა ღმერთს. წმინდად მცხოვრები ბერები ხედავდნენ, რომ როცა ის წირავდა, ნათლის ანგელოზი ემსახურებოდა, მაგრამ სერგიმ თავმდაბლობის გამო მათ თავის სიცოცხლეში ამაზე ლაპარაკი აუკრძალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წმინდა სერგის ასეთი ხილვა ჰქონდა:


ერთხელ, ჩვეულებისამებრ ილოცა, სკამზე ჩამოჯდა და თავის მორჩილ მესენაკე მონაზონს უთხრა: „შვილო, არ შეგეშინდეს — ახლა რაღაც გასაოცარი იქნება!“ და გაისმა ხმა: „ყოვლადწმიდა მობრძანდება!“ ღირსი მამა წინკარში გამოვიდა, ხოლო მესენაკე შიშით იატაკზე დავარდა და შეშინებულმა სახე ტანსაცმლით დაიფარა. უეცრად მთელი სენაკი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა და მოციქულ პეტრესთან და მოციქულ იოანესთან ერთად დედა ღვთისა შემოვიდა. ღვთისმშობლის ხმამ უჩვეულო ალერსით გაიჟღერა. მან აღუთქვა სერგის, რომ წმინდა სავანეს შეწვევის გარეშე არასდროს დატოვებდა.

ამის შემდეგ მალე ღირსი სერგი ავად გახდა და მიხვდა, რომ უფალი თავისთან უნებობდა. ყველა მონაზონს დაუძახა, დალოცა და უკანასკნელად დაარიგა — როგორ ეცხოვრათ, ელოცათ და ღვთისათვის სათნონი ყოფილიყვნენ. ასევე დაიბარა ყველა ჰყვარებოდათ, განსაკუთრებით კი მათხოვრებსა და მოგზაუ-

რებზე ეზრუნათ. შემდეგ ქრისტეს წმინდა საიდუმლოებს ეზიარა და 1392 წლის 25 სექტემბერს ამქვეყნიდან მიიცვალა.

მას შემდეგ 600 წელზე მეტმა განვლო. რუსეთში ბევრი რამ შეიძვალა, ცხოვრება სხვანაირი გახდა, მაგრამ იმავე ადგილზე წმინდა სერგის დაარსებული წმიდა სამების ლავრაა ფართო ქვის კედლით შემოზღუდული. ღირსი სერგის ნაწილებთან რუსეთის ყოველი კუთხიდან მოდის ხალხი და უამრავი კურნება აღესრულება იქ, სადაც ოდესღაც უღრან ტყეში ახალგაზრდა ბართლომე დასახლდა, რათა განმარტოებით ელოცა ღვთისადმი.





მონაწილე ტატიანა

ხს. 12 იანვარს

წმინდა ტატიანა რომში დაიბადა ქრისტეს შობიდან 200 წელს. მისი მშობლები მდიდარი და წარჩინებული მოქალაქეები იყვნენ. ისინი ამაკდროულად ფარული ქრისტიანები იყვნენ.

მაშინ ქრისტიანად ყოფნა ძნელი იყო. რომი წარმართული ტაძრებით იყო სავსე და საზოგადოებრივი ცხოვრება რელიგიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული: ლეგიონერები მტერზე გამარჯვების შემდეგ ბრუნდებოდნენ – ყველას „ღმერთებისათვის“ უნდა შეეწირა მსხვერპლი; ახალი იმპერატორი ადიოდა ტახტზე – ყველანი ტაძრებში მიდიოდნენ და „იმპერატორის გენიის“ წინაშე გუნდრუკს აკმევდნენ; ახალი წელი დგებოდა – „ღმერთები“ მსხვერპლშეწირვით ყველას უნდა ედიდებინა. კიდევ რამდენი ასეთი ცხოვრებისეული შემთხვევა იყო, როცა ყველასთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ „ღმერთებს“ პატივს სცემდნენ და სახალხო რელიგიის ყველა წესს ასრულებდნენ.

ქრისტიანები სამსხვერპლოზე გუნდრუკის კმევასა და იმპერატორის გენიის დაფიცებას ქრისტეს ღალატად, მის უარყოფად თვლიდნენ და ყოველნაირი საბაბით ცდილობდნენ სახალხო დღესასწაულებზე ამისთვის თავი აერიდებინათ; მათ მიმალვა და თავიანთი რწმენის დაფარვა უხდებოდათ. ქრისტიანების მორიგი დევნა რომ იფეთქებდა, როცა მათ აიძულებდნენ ყველას თანდასწრებით ქრისტე დაეგმოთ და კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირათ, მაშინ ფარული ქრისტიანებიც თავიანთ რწმენას ხმამაღლა აცხადებდნენ, ტანჯვას იტანდნენ და სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ, როგორც ეს წმინდა ტატიანას მამას დაემართა.

მშობლები ტატიანას ადრეული ასაკიდანვე აჩვენებდნენ კეთილმსახურებას. მათ შვილი დაჰყავდათ საიდუმლო ღვთისმსახურებებზე, რომლებიც კატაკომბებში სრულდებოდა. ზეთის ღამპრებით განათებული კატაკომბების ვიწრო დერეფნების გავლისას ტატიანა ხედავდა რწმენასა და ქრისტეს ერთგულებაში აღსრულებულ მოწამეთა ნაწილებს, რომლებიც დერეფნის კედლებში ინახებოდა. მოწამეთა ხსენების დღეებში მათი ღვაწლის სადიდებელი ჰიმნები ესმოდა, თრთოლვით და ყურადღებით ისმენდა მათი წმინდა ცხოვრებისა და ღვაწლის ამბებს. მას თავადაც მოუნდა ისეთივე ყოფილიყო, როგორიც ეს წმინდა მოწამენი იყვნენ, ასევე ჰყვარებოდა ქრისტე და მისთვის სიცოცხლე ასევე გაეწირა.

ზშირად, ჯერ ისევ პატარა გოგონა – ტატიანა შუალამისას იღვიძებდა, ხელებს ალაპყრობდა და ღვთისადმი თავის ბავშვურ ღოცვას ალაველენდა:

– მინდა წმინდანი ვიყო, – ჩურჩულებდა ის, – მასწავლე, უფალო, არავინ მიყვარდეს ისე, როგორც შენ! მასწავლე მხოლოდ ის ვაკეთო, რაც შენ მოგეწონება; შენი მსახური გამხადე! წმინდა ტატიანა როცა გაიზარდა, ნატვრა აუსრულდა. თავისი

კეთილმსახური ცხოვრების, ღვთისადმი ერთგულებისა და ყველასათვის სიკეთის კეთების მზადყოფნისთვის ის დიაკონისად დაადგინეს. მის მოვალეობას შეადგენდა ნათლისღებად განმზადებული ქალებისა და გოგონებისათვის სარწმუნოების სწავლება, ნათლისღებისთვის მათი მომზადება, ამ საიდუმლოს შესრულების დროს მათი მომსახურება, ღარიბებზე, ავადმყოფებსა და ობლებზე ზრუნვა.

ამ დროს რომში კვლავ იფეთქა ქრისტიანთა დევნამ. ნაბრძანები იყო ყველა მოქალაქეს ღმერთებისთვის შეეწირა მსხვერპლი. ვინც ამაზე უარს ამბობდა, ყველას იჭერდნენ. შეპყრობილთა შორის წმინდა ტატიანაც აღმოჩნდა.

– შესწირე მსხვერპლი აპოლონს! – უთხრეს მას. ამის მაგივრად ტატიანამ ქრისტესადმი ლოცვა დაიწყო. უცებ მიწა შეტორტმანდა, აპოლონის ქანდაკება ჩამოვარდა და მცირე ნაწილებად დაიმსხვრა, ტაძრის კედლები აზანზარდა და კვნესა მოისმა.

– ეს ბოროტებისა და სიცრუის სულები კვნესიან, – თავისთვის ჩაილაპარაკეს ქრისტიანებმა, – გრძნობენ, რომ მათი სიცრუის დასასრული მოდის. ტატიანა წამების ადგილზე წაიყვანეს. იქ სახეში სცემდნენ და კაუჭებით ფლეთდნენ. წმინდანი ტანჯვას მამაცურად იტანდა და მტანჯველთათვის ლოცულობდა, რათა მათთვის უფალს სულიერი თვალი აეხილა და ჭეშმარიტება გამოეჩინა. შესძენილ იქნა მისი ლოცვა: მათ ზეციური ნათელი მოეფინათ და ოთხი ანგელოზი დაინახეს, რომლებიც წმინდანს შემოხვეოდნენ. მაშინ ისინი ტატიანას ფეხებთან დაემხნენ და პატიება სთხოვეს:

– ჭეშმარიტი ღმერთის მსახურო, მოგვიტევე! მოგვიტევე, რადგან ჩვენი ნებით არ გვიტანჯიხარ. გაბრაზებულმა მსაჯულებმა ბრძანეს ეს მონანიე ჯარისკაცები შეეპყროთ და სიკვდი-

ლით დაესაჯათ. ახლადმოქცეული მოწამეები ხმამაღლა ადიდებდნენ ქრისტეს და ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი წამების შემდეგ რვავეს (ისინი რვანი იყვნენ) თავი მოჰკვეთეს. მათ წმინდა ნათლობა საკუთარი სისხლით მიიღეს და უფალთან წავიდნენ.

მეორე დღეს ტატიანას განსასჯელად თვით რომის მმართველი, ულპიანე მივიდა. მოწამე როცა საპყრობილედან მოიყვანეს, ყველა გააოცა იმან, რომ მას წინა დღის ტანჯვის კვალიც არ ეტყობოდა. სახე მშვიდი და გახარებული ჰქონდა. ულპიანემ წმინდა ქალწულს დარწმუნება დაუწყო, რომ კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ მან უარი თქვა. მაშინ მმართველმა ბრძანა ის გაეშიშვლებინათ და მისთვის სხეული ბასრი სამართებლით დაეჭრათ. ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძე გადმოვიდა, როგორც ნიშანი უმწიკვლოებისა, და ჰაერი კეთილსურნელებით აივსო, რადგან წმინდა ტატიანა წმინდა მირონის მსგავსად აღვსილი იყო სულიწმიდით.

შემდეგ ტატიანა მიწაზე გააწვინეს და კვერთხით იმდენ ხანს სცემდნენ, რომ ჯალათებს ღონე ეცლებოდათ და ერთმანეთს ხშირად ცვლიდნენ. ის კი შეუდრეკელი იყო, რადგან უფლის ანგელოზები უწინდებურად მის გვერდით იდგნენ, ამხნევებდნენ და დარტყმებს იმათკენ მიმართავდნენ, ვინც მას ტანჯვას აყენებდა. ბოლოს ჯალათებიდან ცხრა უსულოდ დაეცა, დანარჩენები კი ცოცხალ-მკვდარნი მიწაზე უძრავად ეყარნენ.

წმინდანი წამოდგა, მსაჯული და მისი მსახურები სიცრუეში ამხილა. თქვა, რომ მათი ღმერთები — ეს უსულო კერპები არიან, ხოლო ის ერთადერთ ჭეშმარიტ, სასწაულმოქმედ ღმერთს ემსახურება.

წმინდანი საპყრობილეში დააბრუნეს, რადგანაც უკვე საღამოვდებოდა. იქ მან უფლისადმი ლოცვასა და ხოტბის შესხმაში მთელი ღამე გაატარა. მას ზეციური ნათელი ეფინებოდა. ანგე-

ლოზები უფალს მასთან ერთად აღიდებდნენ. დილით ისევ მიიყვანეს სამსჯავროზე. მისმა მშვენიერმა შესახედაობამ ყველა გააოგნა. ამ დღეს წმინდანმა ლოცვით ქალღმერთ დიანას ტაძარი შეძუსრა და ამისათვის კვლავ საშინელი ტანჯვა აიტანა. მომდევნო დილას წმინდა ტატიანა ცირკში მიიყვანეს და მასთან ლომი მიუშვეს. კოლიზეუმის არენა, სხვა რომაული ცირკის არენებივით მოწამებრივი სისხლით იყო მორწყული.


სისხლიანი სანახაობანი იქ გამუდმებით იმართებოდა. გულად ქრისტიან მოწამეებს მხეცებს დასაფლეთად უგდებდნენ. ახლა კი ამავე არენაზე წარჩინებულ და პატივცემულ რომაელთაგან ერთ-ერთის ასული იყო მიყვანილი. ეს საერთო ცნობისმოყვარეობას ჩვეულებრივზე მეტად ამძაფრებდა.


ყველას გასაკვირად გალიიდან გამოშვებულმა ლომმა წმინდანი არ დაგლიჯა. ამის ნაცვლად ეალერსებოდა და ფეხებს ულოკავდა. ბრბომ იფიქრა, ეს მოთვინიერებული ან უძლური ლომიყო და არენიდან მისი მოშორება მოითხოვეს. მაყურებელთაგან ზოგიერთმა, ერთი ჩინოსნის თაოსნობით, ბრბოს სურვილის შესრულება განიზრახა და ამ მიზნით ისინი ლომთან არენაზე ჩავიდნენ, მაგრამ ლომი წარჩინებულს ეცა და დაფლითა. ამის შემდეგ წმინდა ტატიანა არენიდან გაიყვანეს და სხვადასხვანაირი ტანჯვის შემდეგ ცეცხლში ჩააგდეს. ცეცხლი არათუ მის სხეულს არ შეეხო, უმშვენიერეს თმასაც არ მოსდებია, რომლითაც წმინდა მოწამე სიშიშვლეს იფარავდა. მაშინ ჯალათებმა დაასკვნეს, რომ სასწაულები ტატიანას თმის ძალით ხდებოდა. ის გაკრიჭეს და ზევსის ტაძარში დაამწყვდიეს.

მესამე დღეს, როცა ტაძარში ქურუმები მივიდნენ, ნახეს, რომ ზევსის ქანდაკება ნაწილებად იყო დამსხვრეული, წმინდანი კი გახარებული იყო და ღვთის მიმართ ლოცულობდა. მა-

შინ ულპიანემ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და წმინდა ტატიანას თავი მოჰკვეთეს. მასთან ერთად მამაც დასაჯეს, რომელმაც ხმამაღლა გამოაცხადა თავი ქრისტიანად. ასულის წამების შემხედვარემ ფარულ ქრისტიანად დარჩენა არ ისურვა და გადაწყვიტა მასთან ერთად ვნებულიყო. ეს ყოველივე 225 წელს მოხდა.

„ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჳირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურვამან ანუ მახვილმან?“ (რომ. 8,35). წმინდა მოციქულ პავლეს ეს სიტყვები პირდაპირ აღსრულდა წმინდა ტატიანას ცხოვრებაში, ვერაფერმა შეაფერხა მისი რწმენა ქრისტესადმი, ვისაც მან თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე მიუძღვნა.





მოწამენი ქრისანთე და ღარია

სს. 19 მარტს

*„რომელმან მოიპოვოს სული თვისი,
წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყ-
მიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს
იგი“*

მათ. 10,39.

მესამე საუკუნეში, როცა ქრისტიანებს სასტიკად დევნიდნენ, ერთი წარჩინებული კაცი, სახელად პოლემიუსი, თავისი ვაჟის, ქრისანთეს აღსაზრდელად ალექსანდრიიდან რომში ჩავიდა. პოლემიუსს რომში პატივით შეხვდნენ, იმპერატორმა სენატორის წოდებაც კი უბოძა. ახალგაზრდა ქრისანთემ იმ დროის საუკეთესო მასწავლებლებთან დაიწყო სწავლა და დაბადებიდანვე ნიჭიერი ყველა მეცნიერებას სწრაფად ითვისებდა, განსაკუთრებით კითხვის მიმართ იყო ბევრითი. სხვა წიგნებთან ერთად მას ხელში ჩაუვარდა წმინდა სახარებაც, რომელიც უდიდესი ყურადღებით წაიკითხა.

სახარება ჭაბუკის სულს შეეხო და ის ღვთის სიტყვის შესწავლას შეუდგა. უწინდელი მასწავლებლების მიმართ მისი რწმენა შეირყა. მიხვდა, რომ ვინც არაფერი იცის ქრისტეზე, მან საერთოდ არაფერი იცის და წყვდიადში დაძრწის, რადგან ქრისტეს გარეშე ჩვენ ყველანი უმწყემსოდ დარჩენილი ფარავართ. მაშინ ქრისანთემ მასწავლებლის ძებნა დაიწყო, რომელიც მას ქრისტეს სჯულს შეასწავლიდა. მალე ქრისტიანი განდეგილი გაიცნო, რომელიც განმარტოებით ცხოვრობდა და მთელ დროს მარხვასა და ლოცვაში ატარებდა.

ბერს ყმაწვილი კაცი ძალიან მოეწონა. ქრისანთეს ყოველთვის დიდი სიყვარულით ხვდებოდა, ჭაბუკი იმ სახარებისეულ ყმაწვილს აგონებდა, ქრისტეს რომ ჰკითხა, სულის ცხონებისთვის რა გზას დავადგეო. ქრისანთესაც ძლიერ სურდა ცხონების გზის შესახებ შეეტყო. მრავალი ჭაბუკი ისე ცხოვრობს, რომ არც კი უფიქრდება ცხოვრება რისთვის მიეცა და რით მთავრდება. მაგრამ ქრისანთე ასეთი არ იყო. მან პირველი შეხვედრისთანავე ჰკითხა განდეგილ ბერს, თუ რა ემართება ადამიანს სიკვდილის შემდეგ, და ერთი და იგივე ბედი ეწევათ თუ არა ბოროტებსა და კეთილებს, რატომ ცხოვრობენ ერთნი უზრუნველად, მეორენი კი სიღატაკეში, და რატომაა ამდენი ბოროტება დედამიწაზე.

განდეგილმა ყველა ამ კითხვაზე ვრცლად გასცა პასუხი: ისაუბრა ღვთის მიერ სამყაროს შექმნაზე, პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემაზე, ავადმყოფობებსა და ტანჯვაზე, რომლებიც ქვეყნად ადამისა და ევას ცოდვით დაცემის შედეგად გაჩნდა. შემდეგ ბერმა ქრისანთეს იესო ქრისტეს შესახებ უამბო, რომელიც, თავად ძე ღვთისა, მიწაზე ჩამოვიდა და ხალხს სარწმუნოება მისცა, ასწავლა, რომ ისინი ღვთის შვილნი არიან, რომ

ღმერთს უყვარს მართალნი, ცოდვილები ებრალება და არ უნდა რომელიმე მათგანი დაიღუპოს, არამედ მათი სინანული და ცხონება სურს. კიდევ მოუთხრო, რომ ყველას, ვისაც სწამს იესო ქრისტე – ძე ღვთისა – ეძლევა იმედი ქრისტესთან ერთად საუკუნო ცხოვრებისა.

განდევილი როგორც კი დარწმუნდა, რომ ქრისანთემ გულწრფელად ირწმუნა ქრისტე, მონათლა იგი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ნათლობის ემბაზიდან ქრისანთე სულთი განახლებული და ღვთისადმი სიყვარულით აღვისილი ამოვიდა. მან ჭეშმარიტად განაგდო სატანა, ყოველი მისი საქმე და შეუდგა ქრისტეს. ქრისანთე ახალი ადამიანი გახდა. მას წარმართულ ტადარში როცა ეძახდნენ, უარობდა და ამბობდა: – იქრა მესაქმება? – სამეგობროში წვეულებაზე როცა ეპატიჟებოდნენ, პავლე მოციქულის სიტყვებით სცემდა პასუხს: *„ნუ დაითრვებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე!“* (ეფეს. 5,18). – ყველგან, სადაც არ უნდა დაეწყოთ „ღმერთების“ თაყვანისცემაზე საუბარი, ქრისანთე უშიშრად ამბობდა, რომ წარმართთა „ღმერთები“ – ეშმაკები არიან და, როგორც ქრისტიანი, მსხვერპლს მათ არასდროს შესწირავს. ამ ამბავმა ბოლოს და ბოლოს ქრისანთეს ნათესავებამდე მიაღწია და ისინი ძლიერ შეშფოთდნენ.

– შეხედე, რას აკეთებს შენი ვაჟიშვილი, – ეუბნებოდნენ პოლემიუსს, – მისი დანაშაულისთვის პასუხი შენ არ გაგებინონ! ის ღმერთებს გმობს და ვილაც იესო ქრისტეზე როგორც ჭეშმარიტ ღმერთზე, ისე ლაპარაკობს. ეს რომ მეფემ გაიგოს, მის რისხვას ვერ გადაურჩები, რადგან ღმერთების მგმობელი მეფესაც გმობს. პოლემიუსი შეშფოთდა. ვაჟიშვილს უხმო, არწმუნებდა ძველი ღმერთების ერთგული დარჩენილიყო და ქრის-

ტე დაევიწყებინა; როცა დაინახა, რომ მისი სიტყვები უძლურია, უფრო მკაცრ ზომებს მიმართა: ქრისანთე დაამწყვდია იმ იმედით, რომ წმინდა სარწმუნოებაზე უარს იტყოდა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. პირიქით, განმარტოებული ქრისანთე გულმოდგინე ლოცვას მიეცა. მაშინ პოლემიუსს ნათესავებმა უთხრეს:

— რას აკეთებ?! ამ საშუალებით მას ქრისტიანობას ვერ მოაშორებ. ქრისტიანებს ტანჯვის არ ეშინიათ: ისინი ხალხისთ ეწამებიან თავიანთი ღმერთისთვის, დევნა კი მხოლოდ ალაგზნებს მათ გულმოდგინებას. სჯობს ქრისანთე ფუფუნებასა და სიამოვნებაში გყავდეს და მაშინ, ამქვეყნიურ სიამეში, თავისი ღმერთი სულ მალე დაავიწყდება.

პოლემიუსმა რჩევა მიიღო. მან სახლი მდიდრულად მორთო. შვილი კარჩაკეტილობიდან გამოიყვანა და ყველანაირ სიამეში ჰყავდა, როგორც მოფიქრებაც შეეძლო: მთელი დღე არ წყდებოდა მუსიკა და სიმღერა, სახლი ვაჟებითა და ქალწულებით აივსო, მაგიდები ძვირფასი კერძებისა და ღვინის სიმძიმისაგან იდრიკებოდა — ერთი სიტყვით, ყველა ღონე იხმარეს, რათა ჭაბუკი გაერთოთ და მისთვის სიამოვნება შეეყვარებინათ, მაგრამ ქრისანთე არ დაჰყვა ცდუნებებს, ის ღმერთს შეწევნას ევედრებოდა და ისიც შეეწია ცდუნებისაგან თავის დაღწევაში, სულის სიწმინდისა და რწმენის სიმტკიცის დაცვაში. მამამისი ის-ის იყო სასოწარკვეთაში ვარდებოდა, რომ ისევ უკარნახეს:

— ქალღმერთ მინერვას ტაძარში ახალგაზრდა ქალწულია — დარია. ის უჩვეულოდ ლამაზი და გონიერია. ის კი ნამდვილად შეძლებს შენი შვილი ჩვენს ღმერთებს დაუბრუნოს. პოლემიუსმა მრჩველებს სთხოვა იმ დარიასთან მისულიყვნენ და დაერწმუნებინათ, ქრისანთეს ცოლად გაჰყოლოდა. დარია და-

თანხმდა და მაშინვე პოლემიუსის სახლში გადმოვიდა, რომელიც ცრემლით ევედრებოდა ეხსნა მისი შვილი.

დარია საოცრად ლამაზი იყო და ყველაფერს აკეთებდა, რომ ჭაბუკს მოსწონებოდა. საუკეთესო სამოსს იცვამდა, ცდილობდა ქრისანთე ბრწყინვალე გონებით მოეხიბლა და ალერსიანი სიტყვებით მიეხიდა, მაგრამ ჭაბუკი მთელი გულით მხოლოდ ღვთისაკენ ისწრაფოდა და დარიას მიმართ გულგრილი რჩებოდა.

— ქალწულო! — უთხრა მას ერთხელ, — როგორი რუდუნებით ირთვები, როგორ ცდილობ! ტკბილ საუბარს როგორ ამოდ ფლანგავ იმისათვის, რომ ჩემი სული კეთილ საწყისს მოაშორო, შენსკენ მიიქციო ჩემი გული, რომელიც სულ სხვა სიყვარულითაა სავსე! უკეთესი იქნებოდა შენი მცდელობა იქით მიგემართა, რომ საუკუნო ღმერთმა, იესო ქრისტემ სათნო-გიჩინოს! როგორადაც ახლა რთავ სხეულს მრავალფერი სამოსით, ასევე მორთე შენი სული სიწმინდითა და რწმენით და მაშინ მოიპოვებ თვით ქრისტეს, რომელიც მარადიულ სავანეს განგიმზადებს, შენს სახელს სიცოცხლის წიგნში ჩაწერს და დაუსრულებელ სიხარულს მოგანიჭებს!

ქალწული ქრისანთეს გაოგნებული უსმენდა. მისი გონება და გული ჯერ კიდევ არ იყო რწმენითა და ჭეშმარიტებით განათლებული, საუკუნო ცხოვრებაზეც ჯერ არაფერი იცოდა და წარმართობაში აღზრდილს სჯეროდა, რომ ცხოვრების აზრი სწორედ მიწიერი ბედნიერებაა. მან ლაპარაკი დაიწყო ცხოვრების სიხარულზე, დიდ წარმართ ბრძენებზე, რომლებმაც ბუნება შეისწავლეს და მრავალი საიდუმლო იციან. ქრისანთე ამ ყველაფერზე ქრისტიანული სიბრძნით სცემდა პასუხს და, ბოლოს, ახალგაზრდა წარმართის სული ჭეშმარიტების სინათლემ გა-

ასხივოსნა. მან ირწმუნა და ქრისტიანად გახდომა მოისურვა. მაშინ მათ მოითათბირეს, ერთად ეცხოვრათ წმინდა, ღვთისადმი ერთგული ცხოვრებით. ქრისანთემ მამას გამოუცხადა, რომ თანახმაა დარია ცოლად შეირთოს.

ამის შემდეგ, სულ მოკლე ხანში, პოლემიუსი გარდაიცვალა, დარია მონათლა და ქრისანთესთან ერთად მთლიანად ღვთისა და მოყვასისადმი სამსახურში ცხოვრობდა. ისინი ორ სხვადასხვა სახლში დაბინავდნენ. სახლები მონასტრების მსგავსად იყო მოწყობილი. ერთ-ერთ მათგანში დარია რწმენაში შესულ ქალწულებს იღებდა, მათთან ერთად ლოცულობდა და საღვთო სჯულს სწავლობდა. მეორეში – ახალმოქცეულ ქრისტიანებთან ერთად ქრისანთე ცხოვრობდა. ახალმოქცეულები ერსა და ოჯახურ ცხოვრებას მასავით განუდგნენ, რათა თავი მთლიანად უფლისთვის მიეძღვნათ.

ასე გავიდა რამდენიმე წელი. ბოლოს და ბოლოს რომის მმართველს მოახსენეს, რომ ქრისანთე და დარია ქრისტეს ქადაგებენ. გაიცა ბრძანება ქრისანთე და მისი ცოლი შეეპყროთ და ეწამებინათ, მაგრამ უფალი თავის მსახურებს სასწაულებრივად იფარავდა: ღვედები, რომლითაც მათ შეკვრას ცდილობდნენ, თავისთავად იხსნებოდა, ხოლო რკინის ბორკილები ნაწილებად იშლებოდა. მტრებმა ბოლოს შეძლეს ქრისანთეს შეპყრობა. ის ბნელ დილეგში რომ ჩააგდეს, იქაურობა უცებ უჩვეულო, არამიწიერმა სინათლემ გაანათა. შეშინებულმა გუშაგებმა ამის შესახებ ტრიბუნ კლავდიუსს მოახსენეს. ამაში დასარწმუნებლად ის თვითონ მივიდა. მან ყველაფერი ქრისანთეს ჯადოსნობას მიაწერა და პატიმარს უთხრა:

— მიატოვე შენი ჯადოქრობა — ის ცრუ რწმენისგანაა. თაყვანი ეცი ღმერთებს, როგორც ეს წესიერ ადამიანს შეჰფერის.


— ნუთუ არ გესმის, — უპასუხა ქრისანთემ, — რომ ჯადოქრობა კი არა, ღვთის ძალა მეხმარება? შენ ამას სულ მალე მიხვდები, რადგან უფალი შენს ხსნასაც ეძიებს!


კლავდიუსმა ბრძანა ქრისანთე ბოძზე მიეკრათ და როკებიანი ჯოხებით სასტიკად ეცემათ, მაგრამ ჯოხები წმინდა მოწამის სხეულზე კვალსაც არ ტოვებდა. ყველანი გაოცებულნი იყვნენ. კლავდიუსი მიხვდა, რომ ქრისანთეს ზეციური ძალა იფარავდა. მან უბრძანა მეომრებს, შეწყვიტეთ მისი ტანჯვა. — ახლა კი მესმის, რომ მისი ღმერთი დიადი და ძლიერია. იმის გარდა არაფერი დამრჩენია, რომ პატიება ვთხოვო მიყენებული შეურაცხყოფისათვის. ყველა იქ მყოფ ჯარისკაცთან ერთად მის ფერხთით დაეცა და წარმოთქვა: ჭეშმარიტად, შენი ღმერთი — ერთი და ყოვლადძლიერი ღმერთია. გევედრებით, მიგვიყვანე მასთან, მისი მონები გაგვხადე!

ქრისანთემ აუხსნა, რომ ღმერთი ახლოსაა ყოველ ადამიანთან, რომელიც მას გულით ეძიებს; ის ღმერთის ძლიერებაზე, მის მოწყალეობასა და სიკეთეზე საუბრობდა. ყველა დიდი ყურადღებით უსმენდა, შემდეგ თავიანთი ნათესავების მოყვანაც დაიწყეს. რამდენიმე დღის შემდეგ ჭეშმარიტ რწმენაზე მრავალი წარმართი მოექცა. თავად კლავდიუსი, მისი ცოლი ილარია, ორი ვაჟი და ჯარისკაცებიდან მრავალნი მონათლნენ. ამან იმპერატორის ყურამდე მიაღწია. მან ბრძანა კლავდიუსი წყალში დაეხრჩოთ, მისი ოჯახი და ახლადმოქცეული მეომრებიც სიკვდილით დაესაჯათ. მათ თავები მოჰკვეთეს. თითოეული სიხარულით შეეგება აღსასრულს.

ქრისანთეს და დარიას წამება განახლდა, მაგრამ აღრინდელივით ღვთის ძალა იფარავდათ, და სასწაულებმა, რომლებსაც უფალი მათ გამო აღასრულებდა, მრავალი წარმართი ჭეშ-

მარიტი ღმერთისკენ მოაქცია. ბოლოს ქრისანთე და დარია ქა-
ლაქიდან გაიყვანეს და მიწაში ცოცხლად ჩამარხეს. შემდგომ-
ში ქრისტიანები ამ ადგილზე ხშირად იკრიბებოდნენ. საკმა-
რისი იყო მხოლოდ იქ ყოფნა, რომ ავადმყოფები სასწაულებ-
რივად განკურნებულიყვნენ.





ღირსი პროკოვი, ქრისტესთვის სულელი

სს. 8 ივლისს

„ბატონი დიდი ნოვგოროდი!“ — ასე ეძახდნენ ძველად თავიანთ მშობლიურ ქალაქს მისი სიმდიდრით გაამაყებული ნოვგოროდელები. მართლაც, სახელოვანი და დიდი იყო ძველი ნოვგოროდი. მდინარე ვოლხოვის ორივე ნაპირზე გაშენებული ქალაქი მკვეთრად გამოირჩეოდა იმ დროის სხვა ღარიბი დასახლებებისაგან. მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა სოფიის მხარე კრემლითურთ, რომლის შუაგულშიც თეთრად ელვარებდა სოფიის ტაძარი და მრავალრიცხოვან ეკლესიათა გუმბათები და ჯვრები ბრწყინავდა.

მარჯვენა სანაპიროს სავაჭრო მხარე გასდევდა. იქ მთელი დღე ხალხი ირეოდა და ცხოვრება დულდა. უცხო ქვეყნის ვაჭრებს იქ თავიანთი საქონელი მიჰქონდათ: ღვინო, მრავალფე-

როვანი თხელი ქსოვილები, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი. ნავსადგურთან, სადაც უცხო ქვეყნის გემები იდგა, ათასნაირი გნიასი ისმოდა: ზღვის გაღმელი ვაჭრები ერთმანეთს გადასძახოდნენ. ქალაქის სავაჭრო მხარეს მათთვის საგანგებოდ ქარვასლები აშენდა, სადაც ისინი თვეობით ცხოვრობდნენ.

მე-13 საუკუნის ნახევარში ნოვგოროდში ყოველწლიურად ჩამომავალ ზღვისგაღმელ სტუმართა შორის სილამაზით გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა ვაჭარი. ის ძლიერ მდიდარი იყო, უამრავი საქონელი ჩამოჰქონდა, ყველაფერს რომ გაყიდა, შინ დაბრუნებას არ ჩქარობდა. მას დიდი ნოვგოროდი იზიდავდა; არა — მისი სისხლსავსე ცხოვრება, არა — მხიარული დროსტარება ან ვაჭრობიდან მოგება, არამედ — მშვენიერი, თეთრი ტაძრები ცის ფონზე ოქროს ჯვრებით, მათი იღუმალის ბინდი, ხატების წინ დანთებული თაფლის სანთლების ციმციმი, მწყობრი, სულში ჩამწვლომი გალობა. უყვარდა ქალაქის განაპირა მონასტრებში სიარული და მონაზვნებთან დიდხანს საუბრობდა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე.

ნოვგოროდიდან ათიოდე ვერსზე, ვოლხოვის მარჯვენა ნაპირზე ღირსი ვალაამის მიერ ცოტა ხნის წინათ დაფუძნებული ხუტინის სავანე იდგა. ეს უდიდესი მოღვაწე სიცოცხლეშივე აღასრულებდა სასწაულებს და წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა. ერთხელაც ნოვგოროდელების საყვარელ და ყველასთვის სათაყვანებელ ღვთივსათნო მოღვაწესთან ის უცხოელი ვაჭარი მივიდა და თავისი სანუკვარი სურვილი გაუმხილა: მას სურდა მართლმადიდებლობის მიღება, საერო ცხოვრების, სახლისა და მეგობრების დატოვება, მათხოვრებისთვის სიმდიდრის დარიცება და ღვთისადმი თავის მიძღვნა. გამჭრიახმა ბერმა ჭაბუკი ვაჭარი თავის სავანეში სიხარულით დატოვა. მალე ახალგაზრდა უცხოელმა მორჩილებაში ისეთი გულმოდგინება

გამოამჟღავნა, რომ ღირს ვალაამს აღარ დაუყოვნებია, ის მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთა და პროკოფის სახელით მონაზვნად აღკვეცა.

პროკოფიმ სავანეში თავისი სახსრებით ახალი ტაძარი ააშენა; ყველაფერი, რაც ჰქონდა, უკანასკნელ კაპიკამდე მათხოვრებს დაურიგა და მთლიანად ღვთის სამსახურს შეუდგა. მაგრამ ხუტინის სავანე ხალხმრავალი იყო, აქ ძნელი იყო სიმშვიდის პოვნა, რომელსაც პროკოფი ეძებდა. სავანეში ბევრი ხალხი მოდიოდა: თავადები, ბოიარები, მოვაჭრენი და უბრალო გლეხები; ისინი მოდიოდნენ ლოცვისთვის, წმინდა მოძღვართან რჩევისთვის ან ცხოვრების მძიმე წუთებში ნუგეშისთვის. ისინი ხშირად პროკოფის შესახებ საუბრობდნენ:

— თუ იცი ამ ადამიანმა რა გააკეთა? — ეუბნებოდა ერთი მეორეს. — ის სახელოვანი და მდიდარი იყო, მაგრამ ამქვეყნიურ სიკეთეზე ნებაყოფლობით თქვა უარი, ახლობლები და მეგობრები მიატოვა, რათა მთლიანად ღვთისთვის მიეძღვნა თავი. ყველა განადიდებდა მის სიმდაბლეს და ქრისტესთვის ყველაზე მძიმე აკრძალვების დასათმენად მზადყოფნას.

ასეთი საუბრები პროკოფის აშფოთებდა; ის მათგან საფრთხეს გრძნობდა, გაამაყების ეშინოდა. მან იცოდა, რომ ადამიანის მტერს, ეშმაკს არ სძინავს და მოხერხებულ დროს ელოდება, რომ მოღვაწის სული აამღვრიოს და დაღუპოს. მან წინამძღვრის კურთხევით გადაწყვიტა ხუტინის სავანე დაეტოვებინა და ისეთი ყრუ, ყველასგან მივიწყებული ადგილი მოეძებნა, სადაც არავინ იცნობდა. ერთხელ მწუხრის ლოცვის შემდეგ, როცა მონაზვნები სენაკებში წავიდ-წამოვიდნენ, პროკოფიმ ისე დატოვა სავანე, რომ არავის გაუგია.

ვაჭარი ამხანაგებისგან პროკოფის ჯერ კიდევ ადრე ნოვგოროდის სამფლობელოს აღმოსავლეთით ერთი ველური ადგილის

შესახებ ჰქონდა გაგონილი. ეს მხარე უდაბური და ნაკლებ დასახლებული იყო. წელიწადში შვიდი თვის მანძილზე მიწას თოვლი ფარავდა, ხოლო მდინარეები ყინულით იყო შებორკილი. აპრილში, როცა თოვლი და ყინული დნობას იწყებდა, მდინარეები და ტბები ნაპირებს გადმოლახავდნენ, დიდ სივრცეს ტორავდნენ და ადამიანებისთვის დიდი უბედურება მოჰქონდათ. სამაგიეროდ, ზაფხულის ხანმოკლე თვეებში ყველაფერი იცვლებოდა. ტყიანი მდელოები და დამშრალი ჭაობები კენკრით ივსებოდა, შემოდგომით კი – სოკოთი.

პროკოფი აღმოსავლეთისკენ მიდიოდა, მდინარის დინებას მიჰყვებოდა. გზა სახიფათო და მძიმე ჰქონდა. მას მდინარის გადაცურვა, ჭაობებში სიარული და გაუვალ ტყეში გაღწევა უხდებოდა. მალე სამოსი კონკრეტად ექცა, ფეხები დაეკაწრა, მაგრამ პროკოფი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ასე გაიარა ასი ვერსი, სანამ დიდ უსტიუგს არ მიაღწია.

უსტიუგში პროკოფი ნახევრად დანგრეულ, მიტოვებულ ქოხში დაბინავდა, მაგრამ დროის დიდ ნაწილს ეკლესიების კარიბჭეებთან ატარებდა. ამ ველურ მხარეში არავის არაფერი სმენოდა ახალგაზრდა უცხოელ ვაჭარზე, რომელმაც ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე თვითონ თქვა უარი. ამ გაძვალტყავებულ მათხოვარში ახალგაზრდა, მოხდენილ, ულამაზეს ვაჭარს იცნობდა კი ვინმე? დიდ უსტიუგში ის უბრალო, უცნობი მათხოვარი იყო, რომელიც მოწყალეობას სხვა მათხოვრებთან ერთად იღებდა.

პროკოფის სიმდაბლისათვის ესეც ცოტა იყო: მან თავის თავზე „ქრისტესთვის სულელის“ (სალოსის) ღვაწლი იტვირთა. ის ჭუჭყიან პერანგში, სიცივიტ გალურჯებული შიშველი ფეხებით, გრძელი, აბურღული თმით, უქულოდ დადიოდა ქალაქში და ზოგში სიბრალულს იწვევდა, ზოგისგან კი უხემ დაცინვას

იტანდა. რაც უფრო ცუდად, უხეშად ექცეოდნენ, მის სულს მით უფრო ეფინებოდა სიხარული და ნათელი. ის ყოველი დამცირებისთვის ღმერთს მაღლობას სწირავდა და ვინც ცუდად ეპყრობოდა, მათთვის საიდუმლოდ ლოცულობდა. თავის გონებასა და ცოდნას ის სათუთად მალავდა ადამიანებისაგან, თავს ისულებელბდა და თავისი უცნაური, მათთვის გაუგებარი ლაპარაკით სიცილს იწვევდა. ქრისტესთვის სულებლთა წესის მიხედვით პროკოფი ტაძრის კარიბჭესთან დაბინავდა. იქ ატარებდა ღამეებს ლოცვაში ჩაძირული. ღამით, როცა მისი დანახვა არავის შეეძლო, ის იცვლებოდა: მის თვალეებში ღრმა სიმშვიდე და გონიერება იყო არეკლილი, სახე ზეციური სილამაზით მოელვარე უხდებოდა. მისი ბაგე ღვთის ღიდებას და მისღამი სამადლობელს აღავლენდა. ის ლოცულობდა შემოქმედის მიმართ არა მხოლოდ თავისთვის, არამედ მთელი ქრისტიანი ხალხისთვის, უსტიუგის მცხოვრებთათვის, რომლებმაც ღმერთი დავიწყეს და ამოებასა და ცოდვაში იყენენ ჩაფლულნი, მისი მოძულეებისა და შეურაცხყოფელთათვის. მისი კეთილი საქმეებიდან ერთს მოგითხრობთ.

ერთ ღარიბ ქვრივს შეშა არ ჰქონდა. თავის შვილებთან ერთად მთლად გაიყინა. მათ წმინდა პროკოფი რომ არ დახმარებოდა, ცუდ ღღეში ჩაცვივდებოდნენ. მან მდიდარ ვაჭართან შეირბინა, რომელსაც შეშის ღიდი მარაგი ჰქონდა. ეზოში ვაჭარი დაინახა და შესძახა:

— აი ისიც! აი ისიც! ის მათ გაათბობს. — ვის მათ? — ჰკითხა ვაჭარმა. — ვის და საწყალ ქვრივს... შენ წინ ცხოვრობს... მისცემ შეშას! მისცემ!

— იყიდოს და მივცემ, — უპასუნა ვაჭარმა, — ისე მიეცი, ისე! შენვე... შენვე მოგეშვება!

— არ მესმის რას ამბობ — თქვა ვაჭარმა.

– მიეცი, მიეცი – უთხრა პროკოფიმ, – რად გინდა ამდენი? ჯოჯოხეთში ხომ ამით დაგწვავენ... ნაკლები შეშა, ნაკლები ცეცხლი, შენთვისაა უკეთესი!

პროკოფი გაიქცა, ვაჭარი კი მისმა სიტყვებმა დააფიქრა.

– ამბობენ, რომ გიჟია... მაგრამ ვინ იცის, იქნება მართალ-საც ამბობს...

ვაჭარმა ქვრივს ორი საყენი შეშა გაუგზავნა.

ცხელი ზაფხული იდგა. ერთხელ შაბათს, ღამით, ხანგრძლივი და მხურვალე ლოცვის შემდეგ დაქანცულ პროკოფის ჩაეძინა. ამ დროს ხმა მოესმის: „პროკოფი, ილოცე, ილოცე ცოდვილი უსტიუგელებისთვის, რომ ღვთის რისხვა არ დაიტეხონ!“ გამოფხიზლებული პროკოფი მიხვდა, რომ გამოცხადება ჰქონდა. როცა ტაძარში წირვაზე ხალხი მოგროვდა, პროკოფიმ ხმამაღლა დაიწყო წამოძახება:

– ძმანო, ცოდვები შეინანეთ! მარხვითა და ლოცვით ღვთის წყალობა გამოითხოვეთ: თუ არ შეინანებთ, ყველანი დაიღუპებით, რადგან ღვთის რისხვა ახლოვდება!

ყველას გაუკვირდა პროკოფის სიტყვები, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

– ეს სულელია – თვითონ არ იცის, რას ამბობს, – ამბობდნენ ხალხში.

პროკოფი ღიდად დამწუხრებული გამოვიდა ტაძრიდან, კარიბჭესთან დადგა და შემსვლელ-გამომსვლელს კვლავ ემუდარებოდა ცოდვები მოენანიებინათ. დღედაღამ ასე იდგა, ევედრებოდა და ქვითინებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა.

მესამე დღეს კარიბჭეს თავი ანება და სინანულის საქადაგებლად ქალაქის ქუჩებში გავიდა. დადიოდა და ცრემლიანი გაიდახლოდა:

— შეინანეთ, ცოდვებზე იტირეთ და იქვითინეთ, უფალს ევედრეთ, რომ სამართლიანი სასჯელი აგაცილოთ და თქვენი ქალაქი სოდომ-გომორით არ დაღუპოს!

სალოსის სიტყვებისთვის ამჯერადაც არავის დაუგდია ყური; ბევრი დასცინოდა კიდეც. ის კი კარიბჭეში დაბრუნდა და ღმერთს ქალაქისა და ხალხის გადარჩენას მხურვალედ ევედრებოდა.

მომღევნო კვირას უსტიუგის თავზე საშინელი შავი ღრუბელი გამოჩნდა და ზარდამცემი ქუხილი ატყდა. უეცრად დაბნელდა, ქუხილმა შეშინებული მოსახლეობა გააყრუა. მხოლოდ ახლა მიხვდნენ ისინი, რას ამცნობდა წმინდა პროკოფი და ეკლესიას მიაწყდნენ. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში პროკოფიც მივიდა და ხარების ხატის წინ ლოცვა დაიწყო. მის ლოცვას მოთქმით იმეორებდა ხალხი. უცებ ხატიდან მირონი გადმოედინა. ჭექა-ქუხილი მაშინვე შეწყდა, შავი ღრუბელი კი ქალაქს 20 ვერსით დაშორდა და უღაბურ ადგილზე სეტყვად დაიცალა, რომელმაც უზარმაზარი ტყე გაანადგურა.

უსტიუგი გადარჩა. ყველა ტაძარში სამადლობელი პარაკლისები გადაიხადეს. მირონით მრავალი ავაღმყოფი განიკურნა. პროკოფის გარშემო ხალხი მოგროვდა; მას ქალაქის მხსნელს უწოდებდნენ, ხელებს უკოცნიდნენ, ყველას უნდოდა მის ძონძს შეხებოდა. საწყალი სალოსი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ყველა დასცინოდა, უსტიუგში პირველი კაცი გახდა. ის საჩუქრებით აავსეს: ვინ პერანგს სთავაზობდა, ვინ — მაუდის კაბას, ვინ — ჩექმას. ყველას იმ წუთს გამომცხვარი პური მოჰქონდა, მაგრამ ნეტარ პროკოფის არაფერი სჭირდებოდა. ყველაფერი მათხოვრებს დაურიგა, თავისთვის კი ღარიბი ქვრივის ნაჩუქარი ერთი ძველი პერანგი დაიტოვა.

წლები ერთმანეთს შეუჩერებლად ისე მისდევდა, როგორც მდინარე, ტალღებს ოკეანისკენ რომ მიაცურებს. სიბერე ახლოვდებოდა. პროკოფის სხეული გამოუშრა, ნესტისა და სიცივისაგან ხელ-ფეხი დაეკრუნჩხა, მაგრამ მოხუცებულსაც კი თავისი მოღვაწეობრივი ცხოვრების წესისთვის არ უღალატუნია. უკანასკნელ წლებში ის სუხონის ამაღლებულ ნაპირზე ხშირად ადიოდა და დიდ ქვაზე ჯდებოდა. ეს ადგილი უყვარდა და აქედან საათობით უცქერდა მეთევზეების ნაკვებს, ღმერთს მათთვის მშვიდობით ცურვას ევედრებოდა. მრავალჯერ გამოთქვა სურვილი, ამ ქვის ქვეშ დაეკრძალათ.

ნეტარის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე განსაკუთრებულად მკაცრი ზამთარი დადგა. ისე საშინლად ყინავდა, რომ ფრინველები გაყინულები ცვიოდნენ დაბლა, მინდორში მხეცები და ადამიანები იყინებოდნენ. მათხოვრებისა და უსახლკაროებისთვის მძიმე დრო დადგა.

მოხუცი, ყინვისგან გალურჯებული, ძონძით ძლივს დაფარული პროკოფი კვლავ ეკლესიის კარიბჭესთან ყოფნას აგრძელებდა. ბოლოს მასაც გაუჭირდა და თავშესაფრის ძებნა დაიწყო. ბევრს უყვარდა და ეცოდებოდა ნეტარი მოხუცი და მას სინარულით მიიღებდა, მაგრამ თავისი ღვაწლის ერთგული პროკოფი თავშესაფარს არ ეძებდა იმათთან, ვისაც უხვად ჰქონდა ყველაფერი, ის ღარიბულ ქოხს ეძებდა. პროკოფის ღარიბებთან ერთად არაერთხელ გაუყვია მოწყალება, ზოგჯერ პურის უკანასკნელი ნატეხიც მიუცია, მაგრამ მათ ეს არ ახსოვდათ, მათ ნეტარის გამუდმებული ლოცვა მობეზრდათ და უყვირეს:

— წადი ჩვენგან, სულელო! შენმა ლოცვებმა თავი მოგვაბეზრა.

— იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე! — ჩუმად იმეორებდა პროკოფი. კუთხეში შეეყუჟული

იკუნტებოდა, რომ როგორღაც დამალვოდა ყინვას და შეუჩერებლად ლოცულობდა: „მიიღე, უფალო, სული ჩემი მშვიდობით!“

უცებ რაღაც თბილი სიო იგრძნო. თვალი გაახილა: მის წინ არამიწიერი სილამაზის ჭაბუკი იდგა თოვლივით თეთრ სამოსში, ხელში სამოთხის კეთილსურნელოვანი ყვავილების კონა ეჭირა. ეს ყვავილები სახეზე შეაზო. პროკოფის სხეულში მაცოცხლებელი სითბო ჩაიღვარა. ამ სასწაულის შესახებ მან თავის მეგობარს, უსტიუგელ მღვდელს, სვიმონს უამბო და სთხოვა, ეს ამბავი მის სიკვდილამდე არავისთვის ეთქვა.

1303 წლის 8 ივლისს, ღამით, ნეტარი მღ. სუხონის ნაპირზე გაშენებულ მონასტერში წავიდა. მონასტრის ზღუდეს რომ მიადწია, მიწაზე დაეშვა. იცოდა, რომ მისი გარდაცვალების დრო მოვიდა, რომ უფალი უხმობდა. გაყინული ბაგით ლოცვას ვედარ წარმოთქვამდა, სიკვდილი თვალს უხუჭავდა, მაგრამ მისი გული განაგრძობდა ღვთის დიდებას: „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ!“


გამთენიისას ძლიერი ქარი ამოვარდა. ცაზე შავი ღრუბელი დაეკიდა. აცივდა და თოვა დაიწყო.


— უფალი განვარისხეთ, დაგვსაჯა ცოდვებისთვის, — ამბობდნენ მაცხოვრებლები და თოვლით დაფარულ მინდვრებსა და ბალებს უყურებდნენ.

ზაფხულისთვის უჩვეულო, უცნაური მოვლენით შეწუხებულმა ხალხმა პროკოფის გაუჩინარება ვერც კი შენიშნა. მხოლოდ მეორე დღეს მოაგონდათ, რომ ის არც წირვაზე უნახავთ და არც ღამისთევაზე. ის ხომ არც ერთ მსახურებას არ აკლდებოდა! ძებნა დაუწყეს და მეოთხე დღეს, სრულიად შემთხვევით, მის სხეულს ჯერ ისევ გაუმდნარი თოვლის საფარის ქვეშ გადააწყდნენ.

ნეტარი პროკოფის გარდაცვალების ამბავი მთელ ქალაქს წამში მოედო. მას წესი მთავარ ტაძარში აუგეს, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. ის სუხონის ნაპირას იმ ქვის ქვეშ დაკრძალეს, რომელზეც უყვარდა ჯდომა, როცა მეთევზეების ნაკებს გაჰყურებდა და ღმერთს მათ მშვიდობიან ცურვას ევედრებოდა.

„რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი“ (მარკ. 8,35).





მართალი ფილარეტი მოწყალე

ხს. 1 ღმკმპპმპრს

მრავალი წლის წინ, როცა საბერძნეთის იმპერიას კეთილმსახური დედოფალი ირინე მართავდა (მე-8 ს-ის დასასრული), მცირე აზიის ერთ-ერთ პროვინციაში კეთილმსახური კაცი, სახელად ფილარეტი ცხოვრობდა მეუღლე თეოზვასთან ერთად. მათ სამი შვილი ჰყავდათ: ერთი ვაჟი და ორი ქალი. მათი სახლი, როგორც იტყვიან „სავსე ფიალა“ იყო. დიდი მეურნეობა ჰქონდათ — მრავალი პირუტყვი, დიდი და ნაყოფიერი მინდვრები, მრავალი მონა. ფილარეტი ამ სიუხვეში ღვთის განსაკუთრებულ წყალობას ხედავდა და თავისთვის ამბობდა:

— ნუთუ ეს ამოდენა სიმდიდრე ღმერთმა მხოლოდ მე და ჩემს ცოლს მოგვცა? ქვეყნად რამდენი ღარიბია: ქვრივები, ობლები, ავადმყოფები — ისინი, ვისაც არაფერი აქვთ. მათ ვინ დააპურებს და შემოსავს თუ არა ჩვენ, მდიდრები?

ფილარეტი გაჭირვებულთა მიმართ მოწყალე გახდა. მასთან როგორი ღარიბიც არ უნდა მისულიყო და რა სათხოვარიც არ უნდა ჰქონოდა, ყოველთვის იღებდა რასაც ითხოვდა. უბოვართაგან ვინმეს ცხენი, სახედარი ან სამოსი რომ დასჭირვებოდა, ფილარეტთან მიდიოდა, იცოდა, უარს არაფერზე ეტყოდა. როცა მას ცოლი ეტყოდა, რომ ასეთი მოქცევით თვითონ გალატაკდებოდა, ფილარეტი ფსალმუნის სიტყვებით უპასუხებდა: „*ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დავდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა*“ (ფსალ. 36,25).

ერთხელ იმ ადგილს, სადაც ფილარეტი ცხოვრობდა, მუსლიმანები დაეცნენ. მათ აიკლეს და გააჩანაგეს ქვეყანა, ფილარეტის მრავალი მსახური ტყვედ წაიყვანეს და მთელი საქონელი წაასხეს. არც ღარიბები დაინდეს: ერთს ცხენი წაართვეს, მეორეს — უკანასკნელი ძროხა. დახმარებისთვის ყველამ ფილარეტს მიაშურა და მანაც არავის უთხრა უარი. მდიდარი ფილარეტი გაღარიბდა — დარჩა მხოლოდ წყვილი ხარი, ძროხა, ცხენი და ორი მსახური. მას აღარავინ ჰყავდა, რომ მინდორში გაეშვა და დარჩენილი მიწის მოსახნავად თვითონ დადიოდა... როგორც ზოგიერთს უხარია სიმდიდრე, ფილარეტს ასევე უხაროდა სიღარიბე და იხსენებდა ქრისტეს სიტყვებს, რომ მდიდრისთვის ძნელია ცათა სასუფეველში შესვლა.

ერთხელ, როცა წმინდა ფილარეტი თავის მინდორში შრომობდა, ერთ თანასოფელს, რომელიც ასევე მიწას ხნავდა, ხარი მოუკვდა. რაღა მეშველება! — ხმამაღლა ატირდა გლეხი. — ხარს ვიღა მათხოვებს, რომ მინდორი მოვხნა?! ადრე ფილარეტთან მაინც მივიდოდი, მაგრამ ისიც გალატაკდა. მაინც წავალ, დარდს გავუზიარებ, იქნებ ცოტათი გულზე მომეშვას.

გლეხმა ფილარეტს თავისი უბედურება რომ უამბო, მან ერთი ხარი გამოხსნა უღლიდან და უთხრა: წაიყვანე, ძმაო, ეს ხა-

რი. მე ის არ მჭირდება. მე კიდევ მყავს ერთი. ეს ისე ალერსიანად თქვა, ისეთი დაჟინებით, რომ ღარიბს უარის თქმა აღარ შეეძლო, ფილარეტს მიწამდე თავი დაუკრა და ხარი სახლში წაიყვანა. ფილარეტმა სამუშაო დაასრულა და შინ წავიდა. კარიბჭის შორიანხლოს თეოზვა იდგა. ქმარი ხართან ერთად რომ დაინახა, გაუკვირდა და იკითხა: მეორე სადღაა?

ქალმა ხარის საძებრად მაშინვე ვაჟიშვილი გაგზავნა და მანაც მალევე იპოვა ის გლეხის უღელში შებმული. როცა გლეხმა უამბო, როგორ მოხვდა მასთან ხარი, ბიჭს იმის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, რომ ცარიელი მისულიყო სახლში.

— უბედურო ჩემო თავო, ასეთი ქმრის ხელში! — ამოიკვნესა თეოზვამ, როცა შვილისგან ეს ამბავი მოისმინა. — რა უნდა ვქნათ შვილებო, როცა მამათქვენი ასეთი უგულო და სასტიკი კაცია! ის ყველაფერს ანიავებს, ჩვენ კი მშვიდები ვრჩებით.

შემდეგ ქალი ფილარეტთან წავიდა და სიზარმაცეში, უღარდელობასა და სხვებზე გადამეტებულ ზრუნვაში დასდო ბრალი. ფილარეტს თავი არ უმართლებია, მხოლოდ თქვა:

— ჩემო მეუღლე, მე და შენ ქრისტიანები ვართ. შეხედე ფრინველებს — ისინი არ ხნავენ, არ თესავენ, მოსავალს არ იღებენ. მათ ჩვენი ზეციური მამა ასაზრდოებს. განა ის არ გამოკვებავს იმათ, ვინც ფრინველებზე უკეთესია?

ამ და სხვა ამგვარი სიტყვებით ცდილობდა ფილარეტი ცოლისთვის ნუგეში ეცა. ხუთი დღეც არ იყო გასული, რომ გლეხმა კვლავ მიიღინა ფილარეტთან და უთხრა:

— გაწყენინე, შენი ხარი რომ წავიყვანე. ამიტომაც მისგან დიდად არ მისარგებლია: რაღაც ბალახი ჭამა და მოკვდა. მიწათმოქმედს სათქმელი დასრულებული არ ჰქონდა, რომ ფილარეტმა მეორე ხარი გამოუყვანა და გლეხს ვედრება დაუწყო, რომ წაეყვანა დაცემული საქონლის სანაცვლოდ.

— მე შორეულ ქვეყანაში გამგზავრებას ვაპირებ, — თქვა მან, — არ მინდა, რომ მუშა საქონელი უქმად იდგეს.

გლეხმა ხარი წაიყვანა, თან ფილარეტის უზვეულო გულ-მოწყალეობა უკვირდა. ოჯახმა როცა შეიტყო, რომ უკანასკნელი საქონელი ეზოდან წაიყვანეს, ატყდა ტირილი და მოთქმა. ცრემლიანი თეოზვა მოთქვამდა: — ეს რა ქმარი მარგუნა უფალ-მა! საკუთარი ოჯახის მოძულე. ღმერთმა ერთი წყვილი ხარი დაგვიტოვა, რომ შიმშილს არ მოვეკალით, ამან კი ისიც სხვას მისცა!

მტირალი დედის დანახვაზე ბავშვებიც ატირდნენ. ნეტარმა ფილარეტმა ამის ყურება ვეღარ შეძლო, თავადაც ატირდა და თქვა:

— რისთვის მიწოდებთ უმოწყალოს და ფიქრობთ, რომ შიმშილით მინდა თქვენი დახოცვა?! შიმშილით არასდროს დაიხოცვით იმიტომ, რომ ერთ ადგილას განძი მაქვს დამალული, რომელიც ასე წელი გვეყოფა.

ბავშვები დამშვიდდნენ და დაიწყეს ფიქრი, რა განძზე ლაპარაკობდა მამა. წმინდა ფილარეტი მათ არ ატყუებდა, მას გულმა უგრძნო ის ბედნიერება, რომლის გამოსაგზავნადაც მზად იყო უფალი. რამდენიმე ხნის შემდეგ იმ მხარეში შიმშილი დაიწყო. ფილარეტმა ნახა, რომ სახლში პური არ იყო, ვირზე შეჯდა და შორეულ მხარეში მეგობართან გაემგზავრა. ამ კაცს ექვსი ფუთი ხორბალი გამოართვა და შინ გახარებული დაბრუნდა, უხაროდა, რომ შვილები უნდა დაეპურებინა. სანამ ნამგზავრი ისვენებდა, მასთან ღარიბი მივიდა, რომ ხორბალი ვალად აედო. ფილარეტმა უთხრა ცოლს:

— ამ ღატაკს ერთი ფუთი ხორბალი მიეცი.

ცოლმა უპასუხა: მოდი, ჯერ ცოლ-შვილმა ჭამოს! ან, ჯობს ისე გაანაწილე, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს. ყველას, მონა ქა-

ლის ჩათვლით, თითო ფუთი დაგვირიგე, დანარჩენი კი ვისაც გინდა, იმას მიეცი!

ფილარეტმა შეხედა ცოლს და გაიცინა:

— მე რა, დაგავიწყდი? მე არაფერს მაძლევ?

ამაზე ცოლმა უპასუხა:

— შენ ხომ აღამიანი არა ხარ, შენ ანგელოზი ხარ! საკვები რომ გჭირდებოდეს, ვალად აღებულ ხორბალს არ დაარიგებდი. მაშინ ფილარეტმა ტომარაში ორი ფუთი ხორბალი ჩაყარა და მთხოვნელს მისცა. ცოლმა გაბრაზებით უთხრა: — სამი ფუთი მიეცი, შენ ხომ მდიდარი ხარ! ნეტარმა ფილარეტმა ორ ფუთს მესამეც მიამატა და საწყალი კაცი მშვიდობით გაისტუმრა.

ფილარეტის ერთმა მეგობარმა მისი უკიდურესი გაჭირვების ამბავი შეიტყო და 40 ფუთი ხორბალი გაუზავნა. თეოზვას ღვთის წყალობა ძლიერ გაუხარდა და ფილარეტს უთხრა: — ბატონო ჩემო, მე და ბავშვებს ჩვენი წილი მოგვეცი, მეზობლებს ვალი დაუბრუნე, შენს წილს კი რაც გინდა ის უქენი. ფილარეტმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ცოლმა უთხრა. თავისი წილი კვლავ ღარიბებს დაურიგა. ცოლმა დაინახა, რომ ფილარეტი გამოუსწორებელი იყო და საერთო სუფრაზე აღარ ეძახდა. მათ ფილარეტის უჩუქრად დაიწყეს ჭამა. ერთხელ, როცა დედა და შვილები სადილობდნენ, მათთან ფილარეტი შევიდა.

— მიმიღეთ, შვილებო, სთხოვა ფილარეტმა — არა როგორც მამა, არამედ როგორც მწირი.

ბავშვებს გაეცინათ და უთხრეს:

— დაჯექი, მამა! თუმცა მაგიდაზე დიდი არაფერი აწყვია, მაგრამ რაც არის შენც გეყოფა!

სადილობის დროს თეოზვამ ქმარს ჰკითხა: რატომ აქამდე არ გვაჩვენებ იმ განძს, რომელზეც ამბობდი. თუ არ გვატყუებ, გვიჩვენე სად გაქვს დამალული — ყველაფერს ვიყიდით და შენც ჩვენთან ერთად ისადილებ.

— ცოტა მოითმინე, — უპასუხა ფილარეტმა — თქვენ ძალიან დიდ სიმდიდრეს მიიღებთ!

საბერძნეთის იმპერიას იმ დროს მართავდა კეთილმსახური ირინე ვაჟთან — კონსტანტინესთან ერთად. კონსტანტინეს ცოლის შერთვის დრო როცა მოვიდა, ირინემ სასახლის წარჩინებულნი მთელ იმპერიაში შვილისთვის ღირსეული საცოლის მოსაძებნად გაგზავნა. წარგზავნილები იმ მხარეშიც მოხვდნენ, სადაც ფილარეტი ცხოვრობდა. მისი სახლი შორიდანვე შენიშნეს, რადგან ის სილამაზით გამოირჩეოდა. მათ უთხრეს, რომ სახლში ღარიბები ცხოვრობდნენ, რომლებთან შესვლას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ დიდებულებმა ბრძანეს მასპინძელი მათი სტუმრობის შესახებ გაეფროთხილებინათ.

ფილარეტმა დიდი სტუმრები სიხარულით მიიღო, გამოეგება, მიწამდე თავი დაუკრა და უთხრა: ჩემთვის დიდი პატივია ჩემს სახლში თქვენისთანა სტუმრების მიღება. შემდეგ მან იმპერატორის მსახურთათვის ცოლს კარგი სადილის მომზადება უბრძანა, მაგრამ ის შეეპასუხა:

— კარგი სადილის მომზადებას რით მიბრძანებ? სახლში წიწილაც კი არ არის, ნაცარქათამას თუ მოვხარშავ და იმასაც უხეთოდ — ზეთის სუნიც კი დამავიწყდა.

ქალს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ კარი გაიღო და მდიდარი მუხობლები შემოვიდნენ, ხორცი, ფრინველი, ღვინო და პური მოიტანეს, რომ ის წარჩინებულ სტუმრებს გამასპინძლებოდა. ამ ყველაფრიდან თეოზვამ გემრიელი სადილი მოამზადა და სუფრა ზედა ოთახში გაშალა. იმპერატორის ელჩე-

ბი ოთახში რომ შევიდნენ, ისინი გააოცა ოთახმა, სპილოს ძვლის დიდმა მოოქროვილმა, ძალზე დახვეწილად ნაკეთმა მაგიდამ. სუფრას ფილარეტის ვაჟი და შვილიშვილები ემსახურებოდნენ. მათმა საუკეთესო მომსახურებამ დიდებულებიც კი გააკვირვა და მათ ჰკითხეს მასპინძელს:

— პატივცემულო კაცო, ცოლი თუ გყავს?

— მყავს, — მიუგო ფილარეტმა, — ესენი კი ჩემი შვილები და შვილიშვილები არიან.

ოთახში თეოზვა რომ შემოვიდა, სტუმრებმა ჰკითხეს, გასათხოვარი ქალები ხომ არ ჰყავდა?

ქალმა უპასუხა, რომ სამი შვილიშვილი ჰყავდა და ისინი სახლის საქალბო ნაწილში იყვნენ. მაშინ სტუმრებმა თქვეს, რისთვისაც იყვნენ მოსულები და სთხოვეს ისინი მათთვის ეჩვენებინათ. გოგონები რომ შემოვიდნენ, სტუმრები მათი სილამაზით გაოცდნენ და შესძახეს:

— მაღლობა უფალს, რომ გვაპოვნინა რასაც ვეძებდით. ამ ქალწულებიდან ერთ-ერთი უეჭველად გახდება ჩვენი იმპერატორის მეუღლე, ამათზე ლამაზებს ჩვენ უკვე ველარსად ვნახავთ.

ნეტარი ფილარეტის ოჯახს მაშინვე მგზავრობისთვის მომზადება ებრძანა. ამ დროს დედაქალაქში მთელი იმპერიის მზეთუნახავები ჩამოვიდნენ, რომლებიც ახალგაზრდა იმპერატორის ცოლობაზე ოცნებობდნენ. ისინი ირინესთან ერთი მეორის მიყოლებით შეჰყავდათ. კონსტანტინე და სასახლის მმართველი მათ აკვირდებოდნენ და რამდენიმე შეკითხვას უსვამდნენ. ფილარეტის შვილიშვილები როცა შემოიყვანეს, ამათგან უფროსი — მარიამი მშვიდი შესახედაობითა და გონიერი პასუხებით იმპერატორსა და დედამისს ყველაზე მეტად მოეწონათ. კონსტანტინემ საცოლედ სწორედ ის აირჩია. მისი დები კი სულ

მალე მდიდარ წარჩინებულებს შერთეს. ფილარეტი მთელი ოჯახით დედაქალაქში დატოვეს, სახლები უბოძეს და ყოველგვარი სიკეთე მიაგეს. ოჯახის წევრებს მაშინდა გაახსენდათ ფილარეტის ნათქვამი დამალულ განძზე, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფოდათ.

კვლავ გამდიდრებულ ფილარეტს ღარიბები უწინდებურად არ ავიწყდებოდა — მას კიდევ უფრო დიდი წყალობის გაცემის საშუალება მიეცა. ხშირად მათ თავის სახლში კრებდა, მათ სუფრას თვითონ ემსახურებოდა, შემდეგ თითო მონეტას დაურიგებდა და ისე ისტუმრებდა. მთელ კონსტანტინოპოლში არ იყო მათხოვარი, ფილარეტის გულუხვობა რომ არ ჰქონოდა ნაგემი. უფალმა ფილარეტს მისი გარდაცვალების მოახლოება როცა ამცნო, მან ყველა შვილსა და შვილიშვილს დაუძახა და უთხრა:

— შვილებო, თქვენ ნახეთ, როგორი ცხოვრება განვვლე! სხვისი შრომით არასდროს მიცხოვრია, თავი არასდროს ამიმალღებია ღვთისგან ბოძებული სიმდიდრით, სიამაყეს გავურბოდი და სიმდაბლე შევიყვარე. როცა გავლატაკდი, არ დავმწუხრებულვარ, ღმერთი არ დამიგმია, პირიქით, ვემადლიერებოდი, რომ დამსაჯა. შემდეგ მან უფრო ამამალღა, მაგრამ თავი არც მაშინ ამიმალღებია. ღვთისგან ბოძებულ სიმდიდრეს უბოვართა მეშვეობით კვლავ ზეციურ მეუფეს ვუბრუნებდი. თქვენც ასე იცხოვრეთ. წარმავალ სიმდიდრეს ნუ გაედევნებთ, ის იმ ქვეყანაში გაგზავნეთ, საითაც ახლა მივემგზავრები. მწირთა ნუგეში ნუ დაგავიწყდებათ, ნურც ქვრივების დაცვა, ობოლთა შეწევა, პატიმართა და ავადმყოფთა მონახულება, იყავით გულმოდგინენი ეკლესიის მიმართ, სხვისას ნუ მითთვისებთ, ნურავის აწყენინებთ, ბოროტს ნუ იზამთ და ნუ განიზრახავთ. ნურავის ცუდი ნუ გაგახარებთ, მტრებისაც კი, მკვდრები დამარხეთ

და ეკლესიაში მოიხსენიეთ. მეც, უღირსი, მომიხსენიეთ მანამდე, ვიდრე ნეტარ ცხოვრებაში თავად არ გახვალთ.

შემდეგ ნეტარმა ყველანი სათითაოდ დალოცა და 90 წლისა მიიცივალა. გულისამაჩუყებელი სანახავი იყო მისი დაკრძალვა. ცხედარს ყოველი მხრიდან ჩამოსული გლახაკები მიაცილებდნენ. ყველა მწარედ ტიროდა. მათ ხომ ასეთი მოწყალე და კეთილისმყოფელი დაკარგეს.

